პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებებს, გარდა განცხადების ფასისა, ემატება 10 % საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 5 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 28 (2374)

დ ღ ი უ რ ი

— დამატებითი არჩევნების დროს პიუტოში (საფრანგეთი) არჩეს კომუნისტი ანდრე მარტი.
— გადადგა ჩეხო-სლოვაკიის პრემიერი შვეგლა.
— პუანკარე ახალი რეპრესიებით ემუქრება ელზასელ ავტონომისტებს.
— ლატვიის პრესა საბჭ. კავშირის წინადადების შესახებ.
— ტრამვაელების გაფიცვა ცეილონში (ბრ[illegible]).
— დიდი ყინვები ევროპაში—გრიგალი თურქეთში.
— მოსკოვში ჩავიდნენ ამერიკული „ჯენერალ ელექტრიკ-კომპანი"-ს წარმომადგენლები.
— გრიგალი შავ ზღვაზე.—დაიღუპა იტალიის გემი „ბუმელიტა".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმი

გაიხსნება დღეს 5 თებერვალს დილის 10 ს., საკავშირო კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკ. კომისიის შენობაში (რუსთველის პრ., № 24)

ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ნაზარეტიანი

აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა

მოწვეულია ბათომში 8 თებერვალს

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა,
2. საქართველოს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მდგომარეობა,
3. ყოფა-ცხოვრების საკითხები და
4. ქალების მონაწილეობა საბჭოებში.

„მსოფლიო დრამის" მოლოდინში

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ერთი დამახასიათებელი მომენტთაგანი, როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, არის ინგლის-ამერიკის ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის., ორივე მხარე ომისათვის ემზადება. ამას, რა თქმა უნდა, ვერ დაფარავს, მაგალითად, ისეთი „პაციფისტური" ჟესტი, როგორიცაა კელოგის პაქტი.

თვით ეს პაქტი ამერიკისათვის მხოლოდ იარაღია, რომლითაც მას სურს შესცვალოს ერთა ლიგის სისტემა და თავის გავლენას დაუმორჩილოს სხვა კაპიტალისტური ქვეყნები; მაშასადამე, იგი პირდაპირ მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ, რომლის ხელში ჟენევის „სამშვიდობო" ინსტიტუტი თავის ბატონობის განმტკიცების საშუალებას წარმოადგენს. ტყვილად კი არ უპასუხა ლონდონმა კელოგის პაქტზე ინგლის - საფრანგეთის საზღვაო კომპრომისით, რომელიც მიზნად ისახავდა ინგლისის საზღვაო ძლიერების უპირატესობის შენარჩუნებას ამერიკასთან შედარებით.

ამავე დროს კელოგის ხელშეკრულების გარშემო დისკუსია ცხადყოფს, რომ თვითეული იმპერიალისტური სახელმწიფო ცდილობს იგი თავის აგრესიულ ზრახვებისათვის გამოიყენოს და მხოლოდ ამოდენად უწევს მას ანგარიშს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად იქცევა, როგორი ბედიც არა ერთხელ სწვევია მსგავს „სამშვიდობო" დოკუმენტებს. მაგალითად, ამერიკის სენატში, რომელმაც პაქტი დაამტკიცა, აღნიშნავდენ, რომ მონროეს დოქტრინა ამ პაქტის შემადგენელ ელემენტად იგულისხმება. ეს დოქტრინა კი, რომელიც შეიცავს ფორმულას: ამერიკა — ამერიკელებისათვის — ნიშნავს ჩრდილო - ამერიკის იმპერიალიზმის განუზიარებელ ბატონობას დანარჩენ ამერიკაზე და უკანასკნელში ინგლისის გავლენის აღკვეთას. თავის მხრივ ინგლისმა (და საფრანგეთმა) ხელის მოწერა პაქტზე, როგორც ვიცით, განსაზღვრა ისეთი შენიშვნებით, რომელთა მიხედვით იგი ომისათვის სრულ „უფლებას" იტოვებს, როცა ამას ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესები მოითხოვენ. ბევრი სახელმწიფო იმსაც ცდილობს, რომ გააჭიანუროს კელოგის პაქტის რატიფიკაცია, რომ „მორალური" ვალდებულებებიც არ იქონიონ ომის აკრძალვის საქმეში.

რომ არავის სჯერა კელოგის „სამშვიდობო" შემოქმედების რაიმე ცხოველმყოფელი და დადებითი ძალა, ამას ყველაზე უკეთ ნათელყოფს ის გარემოება, რომ, ომის ამკრძალავ პაქტის გვერდით, იმპერიალისტური ქვეყნები სულ უფრო აძლიერებენ შეიარაღებას. ბრიანმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა წინადადება პაქტის დამტკიცების შესახებ, ხოლო იმავე პალატამ წინა დღეებში მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი ახალი სამხედრო გემების აგების პროგრამა. ამერიკის სენატი, რომელმაც კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინა, ამავე დროს იხილავს უდიდესი საზღვაო მშენებლობის კანონპროექტს, რომელიც 15 ახალ კრეისერ - გიგანტის აგებას ითვალისწინებს. ყველაფერი ეს იმპერიალისტებს ბუნებრივად მიაჩნიათ, მათ ბუნებრივად მიაჩნიათ თვალთმაქცური ლაყბობა მშვიდობიანობაზე და ამავე დროს საქმით ჩოცვა-ჟლეტის საშუალებათა მზადება.

მაინც ამერიკელი იმპერიალისტები ხშირად საკმაო გულახდილობას იჩენენ, და ზოგი მათგანი ზედმეტადაც სთვლის პაციფისტური სიტყვიერებით დაფაროს საქმის ნამდვილი ვითარება. ეტყობა, ამერიკის იმპერიალიზმი იმდენად დარწმუნებულია თავის სიძლიერეში, რომ ზოგ მის წარმომადგენელს საჭიროდ არ მიაჩნია პაციფისტის ნიღაბის აფარება. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა გავლენიან ამერიკელ სენატორის ხირამ ჯონსონის გამოსვლა; მან სენატში ასე განმარტა სამხედრო საზღვაო მშენებლობის გაძლიერების საჭიროება ამერიკისათვის: „ჩვენთვის აუცილებელია დიდი ფლოტი ვაჭრობის დარგში ახალი უპირატესი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. მსოფლიო დრამამდე ძალიან მცირე დრო დარჩა. ეს დრამა გათამაშდება წყნარ ოკეანეზე. ჩრ. ამ. შ. შტატები საზღვაო სახელმწიფოა, რომლის ვაჭრობა აღემატება რუსეთის დასავლეთით მდებარე ევროპის მთელ ვაჭრობას. ჩვენი საგარეო ბრუნვა წლიურად ათ მილიარდ დოლარს უდრის. ყველაფერი ეს მოითხოვს კომერციულ ფლოტს, რომელიც თავის მხრივ დასაცავად საჭიროებს სამხედრო საზღვაო ძალას... „ზღვების თავისუფლება" და „ომის აკრძალვა" ცალიერ ფრაზებს წარმოადგენენ... მე თავი მომაბეზრეს დაუსრულებელმა პაციფისტურმა ჟესტებმა".

გარკვეულადაა ნათქვამი. ამერიკა ისწრაფვის მსოფლიო ჰეგემონიისაკენ. ამ გზაზე მას ეღობება ინგლისი, რომელსაც თავის საზღვაო ბატონობის დათმობაზე გაგონებაც არ სურს. მათ შორის ომი აუცილებელია. ჯონსონის სიტყვებს, რომ მსოფლიო დრამა წყნარ ოკეანეზე გათამაშდება, — მხოლოდ ეს აზრი აქვს. ამიტომ, როგორც ამერიკა, ისე ინგლისი გამალებით ემზადებიან ამ გრანდიოზულ შეტაკებისათვის

ეს მზადება არ არის მარტო სამხედრო ხასიათის. მსოფლიო პირველობის ორი კონკურენტი ახდენენ ძალთა გადაჯგუფებას. ეძებენ მომხრეებს ამერიკა ცდილობს შეიჭრას ინგლისის „გავლენის სფეროებში", „დაუმეგობრდეს" მისგან დამოკიდებულ ქვეყნებს. თავის მხრივ ინგლისის იმპერიალისტები გულზე ხელდაკრეფილი არ სხედან: ისინი ლამობენ ლათინურ ამერიკის ამხედრებას ვაშინგტონის წინააღმდეგ, კრავენ ბლოკს საფრანგეთთან, ცდილობენ იაპონიის თავისკენ გადაბირებას. ამავე დროს ინგლის - ამერიკას შორის წარმოებს ბრძოლა გერმანიის მისამხრობად და სხვ.

ამნაირად, სულ უფრო რეალური ხდება ახალი მსოფლიო კატასტროფის საშიშროება. ასეთ დროს სოციალ-გემცემლები ძველებურად ცდილობენ შეაფუჩეჩონ ეს საფრთხე და კელოგის პაქტს და ერთა ლიგას ხოტბას ასხამენ, როგორც ვითომდა მშვიდობიანობის განმტკიცების ფაქტორებს. დაუზოგავი მხილება მათი მოღალატეობის ახალი სისხლის ღვრის საშიშროების გამოაშკარავება, მუშათა კლასის დარაზმვა ომის წინააღმდეგ — ასეთი კომპარტიების ამოცანები, რომელთა განსახორციელებლად ისინი აძლიერებენ მუშაობას.

ომისათვის იმპერიალისტების მზადების საერთო ფონზე ერთად - ერთი საბჭოთა კავშირი აწარმოებს ნამდვილ სამშვიდობო პოლიტიკას. ის ცდილობს რა ყველა ქვეყანასთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას, ამავე დროს გამოდის საყოველთაო განიარაღების წინადადებით. ჩვენ ვიცით, თუ როგორი ბოროტი საბოტაჟით შეხვდნენ იმპერიალისტები ჩვენს ნაბიჯს. ამავე დროს ცნობილია, თუ როგორ ამზადებენ იმპერიალისტები ნიადაგს ჩვენზე გამოსალაშქრებლად. ყველაფერი ეს საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს ავალებს თავის რიგების მობილიზაციის დაჩქარებას საბჭოთა კავშირის დასაცავად და სისხლს მოწყურებულ იმპერიალისტების ასალაგმავად.

პოლონეთ-საბჭოთა შეთანხმების ოქმი 7 თებერვალს იქნება ხელმოწერილი

კელოგის პაქტის განხილვა გერმანიის რეიხსტაგში

დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ბერლინში.—დაჭრილია რამდენიმე კაცი

ბაჩე-საკაოს განდევნის ახალი დამარცხება.—ქაბულში აჯანყებას მოელიან

პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკება

შეთანხმება დანიშნულ ვადაზე იქნება ხელმოწერილი

ვარშავა, 4 თებერვალი. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განუცხადა უცხოელ კორესპონდენტებს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოქმზე ხელს მოაწერენ დანიშნულ ვადაზე, ე. ი. 7 თებერვალს. (ადს).

პოლონეთის პრესა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ

ვარშავა, 2 თებერვალი. (გადმოცემულია დაგვიანებით). პოლონეთის ოფიციოზმა „ეპოქამ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ. ცნობას გაზეთმა გაუკეთა ასეთი სათაური: „ოქმი კელლოგის პაქტზე, აღმოსავლეთ ევროპაში". შემდეგ ცნობას გაკეთებული ჰქონდა ქვესათაური—„7 თებერვალს, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და რუმინეთი ხელს მოაწერენ ოქმს მოსკოვში".

ცნობას გაზეთი უკეთებდა კომენტარიებს და სწერდა, რომ ლიტვინოვსა და პატეკს შორის წარმოებულ მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მთავრობის თანხმობა იმის შესახებ, რომ პოლონეთმა, საბჭოთა კავშირმა, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და რუმინეთმა ერთდროულად მოაწერეს ოქმს ხელი. ასეთმა შეთანხმებამ პოლონეთში გამოიწვია გულწრფელი კმაყოფილება. პოლონეთის მთავრობა, უეჭველია, მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ გადალახოს ყოველგვარი ტეხნიკურ დაბრკოლებანი, რათა ოქმზე ხელისმოწერა მოხდეს დანიშნულ ვადაზე, ანუ 7 თებერვალს.

პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი", საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას უძღვნის მოწინავეს, რომელიც სავსეა ორაზროვანი წინადადებებით, მაგრამ ბოლოს გაზეთი მაინც ესალმება საბჭოთა მთავრობის პოზიციას—ყველა აღნიშნული სახელმწიფოების მიერ ოქმზე ერთდროულად ხელისმოწერის შესახებ. გაზეთი შიშს გამოსთქვამს, რომ ხელისმოწერის დროს საჭირო ფორმალური ხასიათის დეტალებმა შეიძლება იმდენად დააბრკოლონ საქმე, რომ დანიშნულ ვადაზე ვერ მოხერხდეს ხელისმოწერა, თუმცა გაზეთი ამასთანავე ამბობს, რომ ეს დაბრკოლებები, არც ისე ძნელი გადასალახავია, რომ იმედი არ ვიქონიოთ მათ მოგვარებაზე. საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წინადადება გაზეთს მიაჩნია საბჭოთა კავშირის „ახალ პოზიციაზე დადგომად"! გაზეთის აზრით, ეს ახალი პოზიცია საბჭოთა მთავრობის ინიციატივას აძლევს ხანგრძლივ დადებით ხასიათს, რომელიც შესაძლებელია მომავალში გადაიქცეს აღმოსავლეთის ლოკარნოს საფუძვლად.

„გლოს პრავდის" განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენად მიაჩნია ის, რომ ოქმზე ხელისმოწერაში მონაწილეობას ღებულობს რუმინეთი.

„რუმინეთის მონაწილეობა,—აცხადებს გაზეთი,—ნიშნავს რუმინეთ-საბჭოთა კავშირს შორის არსებულ სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

„კურიერ პორანნი" აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის წინადადება, რომ ოქმზე ხელი მოაწერონ 7 თებერვალს, შეიცავს „ულტიმატუმის ელემენტს". (ადს).

ლატვიის პრესის გამოძახილი

რიგა, 3 თებერვალი. ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო ეხება საბჭოთა წინადადებას კელლოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ და სწერს:

„ლიტვინოვის ოქმს საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა ხელი უნდა მოაწერონ დაუყოვნებლივ და ხანგრძლივი კამათის გარეშე. მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებს იგი დიდი პოლიტიკური დოკუმენტის მნიშვნელობას. **პოლონეთის საქციელი გვიჩვენებს, რომ იგი ყოველგვარი საშუალებით სცდილობს გააჭიანუროს ოქმზე ხელის მოწერის მომენტი, მაგრამ ლატვია დაინტერესებულია, რომ აქტი, რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანობის დემონსტრაციას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, არ ჩაიშალოს**, აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ ერთად ხელის მოწერა ოქმზე მხოლოდ გააჭიანურებს საქმეს, გარდა ამისა, ლიტვას და ფინეთს არა სურთ ერთად მოაწერონ ხელი ოქმს, ამიტომ ლატვია თავის მხრივ ხელს შეუწყობს ოქმის ხელისმოწერის დაჩქარებას, თუ იგი ნათლად განაცხადებს, რომ მოხარული იქნება იხილოს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მიერ ხელმოწერილი ოქმი, რომელსაც შემდეგ შეუერთდებიან ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები. (ადს).

დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 3 თებერვალი. 2 თებერვალს ბერლინში გაიმართა ძლიერი საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ პოლიციამ, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ, აკრძალა დემონსტრაციები, აგრეთვე ბერლინის პოლიციის ხელმძღვანელის სოციალ-დემოკრატ **ცერგიბელის** წინააღმდეგ. ყურადღებას იქცევდა დემონსტრაციის დარაზმულობა. პოლიციური რეჟიმის გამო წინასწარი ცნობა დემონსტრაციის შესახებ არ ყოფილა გამოქვეყნებული. მრავალი ათასი დემონსტრანტი უცებ შეგროვდა 25 შესაკრებ პუნქტზე. მათ კოლონებად დარაზმულებმა, გაიარეს ბერლინის მთავარ ქუჩებში. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „ძირს დემონსტრაციების აკრძალვა", „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!"

სასწრაფოდ გამოწვეული **პოლიციის რაზმები სცდილობდნენ დემონსტრანტების გაფანტვას, მაგრამ პოლიციელების ყოველი იერიშის შემდეგ დემონსტრანტები ხელახლად გროვდებოდნენ. პოლიციამ დააპატიმრა დემონსტრაციის 120 მონაწილე, რამდენიმე კაცი დასჭრეს, მიუხედავად მიღებული ზომებისა, პოლიციამ ვერ შესძლო დემონსტრანტების დაშლა, და დაღამემდე ბერლინის ქუჩებში გაისმოდა „ინტერნაციონალის" სიმღერა. დემონსტრაციამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დემონსტრაციის წარმატებით ჩატარება მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი მომზადებულ იქნა არალეგალურ პირობებში.**

„როტე ფანე" სწერს:

„ბერლინის სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება დემონსტრაციების აკრძალვით სცდილობს კლიტე დაადოს პირზე მუშათა კლასს, მაგრამ ბერლინის მუშებმა გვიჩვენეს, რომ ცერგიბელის დიქტატურას მკაცრ წინააღმდეგობას გაუწევენ მუშათა მასები". (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

მოსახლეობის სიმპატია ამანულას მხარეზეა

ტერმეზი, 3 თებერვალი. ქაბულიდან მიღებული ცნობით, კუჰისტანელების მიერ დაშინებული ქალაქის მოსახლეობა მოუთმენლად მოელის ჯელალაბადელთა მოახლოვებას. მოსახლეობაში ისეთი განწყობილებაა, რომ **მოსალოდნელია აჯანყება ბაჩე-საკაოს წინააღმდეგ. თვით წინანდელი მოწინააღმდეგენიც ეხლა ამანულას თანაგრძნობით უყურებენ.** (ადს).

ბრძოლა ჩრდილოეთ ავღანისტანში

ტერმეზი, 3 თებერვალი. მაზარ-შერიფიდან (ჩრდილოეთ-ავღანისტანი) მიღებული ცნობების თანახმად, ხაზარიელთა ტომმა, რომელიც **კუჰისტანელების წინააღმდეგ იბრძვის, ამ უკანასკნელებს დაახევია ქაბულისაკენ**, შიბარის უღელტეხილს იქით. **ხაზარიელები განაგრძობენ შეტევას** აღმოსავლეთისაკენ, ჩარიკარის მიმართულებით. ჯელალაბადელებს შეუერთდნენ ნურისტანის ტომები. (ადს).

„დეილი ტელეგრაფი" ქაბულის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 3 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის პეშევარელი კორესპონდენტის აზრით, „**ბაჩე-საკაოს** ესმის, რომ გაზაფხულიდან „**მისი რწმუნებების ვადა**" დამთავრდება".

კორესპონდენტის სიტყვით, ქაბულში გახშირდა მკვლელობა, მაგრამ დიპლომატიურ მისიებს საფრთხე არ მოელის. (ადს).

ინაიატულა ბერლინში

ბერლინი, 4 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „გუშინ პარიზიდან ბერლინში ჩამოვიდა, ავღანისტანის ფადიშაჰის—ამანულა-ხანის ძმა ინაიატულა.

ინაიატულა ბერლინში დარჩება რამოდენიმე დღე და შემდეგ მიემგზავრება მოსკოვში. (ადს).

„ჯენერალ ელექტრიკ კომპანის"-ს წარმომადგენლები მოსკოვში

მოსკოვი, 4 თებერვალი. ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან უდიდესი ამერიკული ელექტრო - ტეხნიკური ფირმის „ჯენერალ ელექტრიკ"-ის წარმომადგენლები **ტრონი** და **პრაქსი**, რომლებიც ნიუ-იორკიდან ჩამოვიდნენ „გლაველექტროსთან" მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების მიზანს შეადგენს იმ ხელშეკრულების რეალიზაცია, რომელიც ამას წინად დაიდო ამ ფირმასთან ელექტრომოწყობილობის ნისიად შესყიდვის შესახებ.

ამავე დროს ჩამოვიდნენ უდიდესი ამერიკული ელექტრო - მშენებლობის ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ჩვენ მსხვილ ელექტრომშენებლობაში მათი ფირმის მონაწილეობის შესახებ. ამერიკის ელექტრომშენებლობის ფირმის წარმომადგენელნი მიიღო „გლავ-ელექტრო"-ს უფროსმა ამხ. კსანდროვმა.

ამერიკის ელექტრომრეწველნი დაათვალიერებენ კავშირის უდიდეს ელექტრო - სადგურებს და გაეცნობიან ჩვენი ელექტრო-მშენებლობის ხასიათს (ადს).

პუანკარე ემუქრება ელზასელ ავტონომისტებს

პარიზი, 3 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში პრემიერმა პუანკარემ სიტყვა წარმოსთქვა ელზასა და ლოტარინგიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. პუანკარემ აღნიშნა, რომ ავტონომისტური მოძრაობა თანდათან საფრანგეთის საწინააღმდეგო ხასიათს ღებულობს და რომ პანგერმანელები ცდილობენ გამოიყენონ ეს მოძრაობა.

შემდეგ პუანკარემ განაცხადა, რომ იგი დეპუტატთა პალატას წარუდგენს კანონ-პროექტს ავტონომისტთა მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

„ავტონომისტების ფონდი,—პუანკარეს სიტყვით,—660 ფრანკამდე აღწევს". (ადს).

პუანკარემ იმედი გაუცრუა რადიკალ-სოციალისტებს

პარიზი, 3 თებერვალი. პუანკარეს განცხადებამ, რომ საჭიროა ელზასში შენარჩუნებულ იქნა კლერიკალური წესები, იმედი გაუცრუა რადიკალ-სოციალისტებს. ეს უკანასკნელნი მოელოდნენ, რომ პუანკარე ელზასის საკითხში მათთვის უფრო მისაღებ პოზიციას დაიჭერს და იმედი ჰქონდათ, რომ ასეთი პოზიცია მათ საბაბს მისცემს დაიწყონ ახალი მოლაპარაკება მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ მარცხნივ". პუანკარეს გამოსვლას ელზასის საკითხში საერთო პოლიტიკური დასკვნა გაუკეთა სოციალისტურმა ორგანომ „სუარ"-მა, რომელიც სწერს:

„პუანკარე შეეცადა სიტყვებით დაეკმაყოფილებია მემარცხენეები, ნამდვილად კი მან ერთხელ კიდევ დაუთმო მემარჯვენეებს, რომელთა პოლიტიკაც ელზასის საკითხში პუანკარემ მტკიცედ შეითვისა". (ადს).

პოლონეთის პოზიციების გამაგრება დანციგში

ახალი მახინაციები გერმანიის წინააღმდეგ

ბერლინი, 3 თებერვალი. „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის დანციგელი კორესპონდენტი იუწყება: „დანციგის გემთსაშენებელი სააქციო საზოგადოების მეთვალყურე საბჭოს წევრად გენერალ ლერონის (ფრანგი გენერალი, ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზატორი) ამორჩევამ აქ დიდი ყურადღება მიიპყრო, რადგან ეს ამორჩევა ინგლის-საფრანგეთის დახმარებით მოხდა. გენერალ ლერონის ამორჩევას მიზნად აქვს დანციგის გემთსაშენებელის გადაქცევა პოლონეთის სამხედრო მისწრაფებათა იარაღად. სამხედრო თვალსაზრისით პოლონეთი გამაგრდა დანციგში ვესტერპლატოზე (პოლონეთის ტერიტორიაა, მოწყობილია სამხედრო საწყობები დანციგის ნავთსადგურის შესავალში); ნავთსადგურის შიგნით კი, დანციგ-პოლონეთის ხელშეკრულებით, პოლონეთმა უფლება მოიპოვა, რომ იქ გაჩერდნენ პოლონეთის სამხედრო გემები. აქ ყველასათვის ცხადია, თუ რა საფრთხეს უქადის გენერალი ლერონის ამორჩევა დანციგის გერმანულ ხასიათს". (ადს).

მარტის არჩევა დეპუტატათ

პარიზი, 3 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პიუტოში დამატებითი არჩევნების დროს არჩეულ იქნა კომუნისტი მარტი, რომელმაც მიიღო 8.306 ხმა. მემარჯვენეთა კანდიდატმა გოტერომ მიიღო 7.676 ხმა. (ადს)

კელოგის პაქტის განხილვა გერმანიის რეიხსტაგში

ბერლინი, 3 თებერვალი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, რეიხსტაგი შეუდგა კელოგის პაქტის განხილვას. პაქტის განხილვა დაიწყო შტრეზემანის სიტყვით. შტრეზემანმა მოიყვანა ბრიანის აზრი იმის შესახებ, რომ პაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მომავლისათვის ომს იგი უკანონოდ აცხადებს. შტრეზემანმა განაცხადა:

გერმანიას არა აქვს არავითარი საბაბი და არავითარი ინტერესი უფრო ნაკლები მნიშვნელობა მისცეს კელოგის პაქტს, ვიდრე ის შეაფასა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა".

შტრეზემანის სიტყვის დროს სხდომის დარბაზში პაქტის შესახებ გაისმა სკეპტიკური ხმები, ამის გამო შტრეზემანმა განაცხადა:

„რამდენადაც ლაპარაკია გერმანიის ხალხზე, ეს ხმები არ შეიძლება ჩაითვალოს იმის დამამტკიცებლად, რომ გერმანია მშვიდობიანობისაკენ არ მიისწრაფვის. გერმანიის სკეპტიციზმი აიხსნება იმით, რომ არ არის გათვალისწინებული შედეგები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ საერთაშორისო ხასიათის განცხადებიდან. ეს არის ის გარემოება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და რომლის ხაზის გასმა ნიშნავს ყველაფერს, რაც გნებავთ, მაგრამ არა კელოგის პაქტის შეუფასებლობას. ჯერ კიდევ გერმანიის პირველ ნოტაში პაქტის პროექტის შესახებ გამოთქმული იყო ის აზრი, რომ პაქტის განხორციელებამ არ შეიძლება დაუყოვნებლივი გავლენა არ მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობაზე. მშვიდობიანობის ახალმა გარანტიამ უნდა შექმნას იმპულსი საყოველთაო განიარაღების განხორციელებისათვის; მეტიც; უნდა გამოინახოს ისეთი შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს სადაო საკითხებისა და წინააღმდეგობების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. ამაში მდგომარეობს ამოცანა, რომლის გადაჭრაც აუცილებელია, თუ გვინდა, რომ პაქტმა შეასრულოს თავისი მაღალი დანიშნულება".

მთავრობაში შემავალმა პარტიებმა უარი სთქვეს მონაწილეობა მიეღოთ შტრეზემანის სიტყვის გამო გამართულ კამათში. ამით უნდოდათ დაემტკიცებიათ ერთსულოვნება საგარეო პოლიტიკის საკითხებში, კამათში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტების, ნაციონალისტებისა და კომპარტიის წარმომადგენლებმა.

ნაციონალ-სოციალისტმა **რევენტლოვმა** სასტიკად გააკრიტიკა პაქტი, რომელსაც მან ცრუ დოკუმენტი უწოდა. ნაციონალისტმა ლინდენერ-ვილდაუმ განაცხადა, რომ მისი პარტია თავის შეხედულებას პაქტზე გამოსთქვამს მხოლოდ მაშინ, როცა მეორედ იქნება წაკითხული კანონპროექტი პაქტზე ხელისმოწერის შესახებ. ორატორმა წინადადება შეიტანა—კანონპროექტი საგარეო საქმეთა კომისიას გადაეცეს.

კომუნისტმა დეპუტატმა **შტეკერმა** პაქტის განხილვას რეიხსტაგში წმინდა წყლის კომედია უწოდა.

„კოალიციური ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ-დემოკრატები,—განაცხადა ორატორმა,—იმდენად არა სერიოზულად ეპყრობიან საქმეს, რომ მათ სიტყვები არც კი წარმოსთქვეს".

შტეკერმა აღნიშნა, რომ პაქტი ვერ შეუშლის ხელს ომის დაწყებას, ორატორის სიტყვით, **საბჭოთა მთავრობამ**, რომელიც მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფვის, **ხელი მოაწერა პაქტს, რათა დაემტკიცებია, რომ იგი მხარს უჭერს მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ყოველგვარ ცდას, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი. პირიქით, კულიჯმა, ბოლდუინმა, პუანკარემ, მუსოლინიმ, მიულერმა და ჰინდენბურგმა, რომელთაც ხელი მოაწერეს პაქტს, გაიმართეს საზიზღარი კომედია, რომლის მიზანსაც შეადგენს მშრომელი მასებისათვის თვალის ახვევა. „რამდენადაც მეტს ლაყბობენ ეს ვაჟბატონები მშვიდობიანობის შესახებ, იმდენად უფრო ენერგიულად ამზადებენ ისინი ომს",**— განაცხადა შტეკერმა.

შტეკერის სიტყვის დროს რეიხსტაგის თავმჯდომარემ **ლებემ** არა ერთხელ მოუწოდა მას წესრიგისაკენ, შემდეგ რეიხსტაგმა დაადგინა—კანონპროექტი რატიფიკაციის შესახებ საგარეო საქმეთა კომისიას გადაეცეს. (ადს).

მუკდენ-ნანკინის კონფლიქტი

ხარბინი, 3 თებერვალი. ხოზეის პროვინციის ჩრდილოეთით, ხოზეი-მუკდენის საზღვრის მახლობლად, ლუანჩჟოუს რაიონში ჩავიდნენ მოხელეები, რომლებიც ნაციონალურმა მთავრობამ გაგზავნა ხუთი მაზრის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შეთანხმება მუკდენელების მიერ ამ მაზრების სამხრეთის ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ, მუკდენელებმა უარი განაცხადეს გადაეცათ ხელისუფლება ჩამოსულთათვის (ადს).

პროფინტერნის სამდივნოს გადაწყვეტილება

მოსკოვი, 4 თებერვალი. პროფინტერნის სამდივნომ გადასწყვიტა — პროფინტერნის აღმასბიუროსთან დაარსოს განსაკუთრებული ლათინურ - ევროპიული ჯგუფი, რომელშიაც შევლენ საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ესპანეთის და პორტუგალიის წარმომადგენელნი (ადს).

მენშევიკური თაღლითობა

პარიზი, 3 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ამბობს: პარტია მთლიან ფრონტს არ შეჰქმნის არც ბურჟუაზიასთან ერთად კომუნისტების წინააღმდეგ, არც კომუნისტებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არჩევნების პირველი კენჭის ყრის დროს პარტიის ორგანიზაციები საკუთარი ძალებით იბრძოლებენ, მეორე კენჭის ყრის დროს ისე მოიქცევიან, რომ რეაქციის დამარცხება უზრუნველჰყონ ყველა საშუალებით, უმთავრესად, კენჭის ყრისაგან თავის შეკავებით". (ადს).

ირაქის ამბების გარშემო

„მილიეთ"-ის კომენტარიები ირაქში შექმნილი მდგომარეობის გამო

სტამბოლი, 3 თებერვალი. „მილიეთი" კომენტარიებს უკეთებს ირაქში შექმნილ მდგომარეობას; მისი აზრით, შეიძლება მართალი იყოს ცნობა იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანში ირაქის მეფის დიქტატურა გამოცხადდეს. გაზეთი ამაში ხედავს ინგლისის სისტემის გავლენას. მისი სიტყვით, „ეს სისტემა ინგლისის ინტერესების დამცველ მეფეებს უჭერენ მხარს, როცა პარლამენტი, პარტია და პრესა ილაშქრებენ ინგლისელების წინააღმდეგ". (ადს).

დაპატიმრებანი ზაგრებში

ვენა, 3 თებერვალი. ზაგრებიდან იუწყებიან, ვითომ, პოლიციას ზაგრების მიდამოებში აღმოუჩენია ფარული კომუნისტური ორგანიზაცია. პოლიციას, ვითომ, დაუჭერია ფურცლები, ჟურნალი „ახალგაზრდა ბოლშევიკის" ნომრები და ქაღალდის მარაგი. ამის გამო ზაგრებში მრავალი პირი დააპატიმრეს. ამ საქმის დაწვრილებით ცნობებს პოლიცია დიდის საიდუმლოებით ინახავს. (ადს).

გაფიცვა კოლომბოში

ლონდონი, 3 თებერვალი. რეიტერის სააგენტო ცეილონიდან იუწყება:

„წარსულ კვირას კოლომბოში დაიწყო ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელმაც არეულობის ხასიათი მიიღო. რამოდენიმე ვაგონს, რომლებსაც მართავდნენ მოხელე—ევროპიელები, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქვები დაუშინეს. პოლიციამ იერიში მიიტანა თავდამსხმელებზე. დაშავდა რამოდენიმე კაცი. როგორც ხმა დადის, მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა" (ადს).

პოლიტიკურ პატიმართა სიმშილობა

რიგა, 3 თებერვალი. კოვნოდან იუწყებიან: კოვნოს საპატიმროში უკვე მერვე დღეა, რაც შიმშილობა გამოაცხადა დაახლოვებით 100 პატიმარმა, რომლებიც ამით პროტესტს აცხადებენ საპატიმროს მეტის-მეტად მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ. შიმშილით უკვე გარდაიცვალა ერთი ქალი—პოლიტიკური პატიმარი.

შვეგლას გადადგომა

პრაღა, 3 თებერვალი. პრეზიდენტი მასარიკი უკვე 1928 წლის ნოემბერს დასთანხმდა პრემიერ შვეგლას გადადგომაზე. ავადმყოფობის გამო შვეგლას არ შეეძლო განეგრძო პრემიერის მოვალეობის ასრულება (ადს).

გემის დაღუპვა

პარიზი, 3 თებერვალი. ოპორტოსთან (პორტუგალია) დაიღუპა გერმანული გემი „დეისტერი". დაიღუპა 25 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი. (ადს).

გიბენის დაკრძალვა

მოსკოვი, 4 თებერვალი. 3 თებერვალს დაკრძალულ იქნა გიბენი. სამგლოვიარო მიტინგზე, ლენინის მავზოლეუმთან, განსვენებულის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ლუნაჩარსკიმ, კამენევმა და სხვ.

გიბენი დაკრძალეს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, იქ, სადაც განსვენებულ ლიტერატორებს ასაფლავებენ. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საკონცესიო ობიექტების გეგმა

მოსკოვი, 2 თებერვალი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მთავარ საკონცესიო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკონცესიო ობიექტების გეგმა კომუნალურ მშენებლობის დარგში.

საკონცესიო კომიტეტის გეგმა ითვალისწინებს სულ კომუნალური მეურნეობის 19 ობიექტს, რომელიც გაცემულ უნდა იქნეს საკონცესიოთ. ყველა საკონცესიო ობიექტების შესრულების საერთო ღირებულება უდრის 120 მილიონ მანეთს. საკონცესიო ობიექტებს შორის არის მოსკოვის მეტროპოლიტენის (მიწის ქვეშა რკინის გზა) და ორი ქალაქთაშორისო საელექტრონო რკინის გზა, ერთი მათგანი გაივლის შავი ზღვის ნაპირზე და დააკავშირებს ნოვოროსიისკსა და სოჩს.

კონცესიის ასეთი მასშტაბით შემოღება კომუნალურ მეურნეობაში პირველ ცდას წარმოადგენს საბჭოთა კავშირში. გაზეთების აზრით, მთავარ საკონცესიო კომიტეტის ასეთი ნაბიჯი დიდათ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის მთავარი ქალაქების კომუნალურ აღმშენებლობის დაჩქარებას.

მოსკოვის პრესა პაქსტონ გიბბენის შესახებ

მოსკოვი, 4 თებერვალი. მთელი მოსკოვის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებით იხსენიებს ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტ პაქსტონ გიბბენს, რომლის ცხედარიც ამ დღეებში ჩამოასვენეს მოსკოვში ამერიკიდან.

ყველა დანარჩენ საგაზეთო წერილებს შორის აღსანიშნავია ამხ. ა. ლუნაჩარსკის წერილი „პრავდა"-ში, „გასაოცარი ამერიკელი"—ასეთია ამხ. ლუნაჩარსკის წერილის სათაური.

ავტორი სწერს: გუშინ მოსკოვში დაკრძალული ამერიკელი ჟურნალისტი პაქსტონ გიბბენი იშვიათი ნიჭის კაცი იყო. მისი სიცოცხლე ხანმოკლე იყო, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავი თავის შინაარსით და თავისებურობით. არისტოკრატიულ დიპლომატის პოსტიდან პაქსტონ გიბბენი მივიდა ოქტომბრის რევოლიუციის მთელი აღგზნებით მოყვარული კაცის მდგომარეობამდე.

პაქსტონ გიბბენი ჩვენი დროის ჭკუამახვილ კაცთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო, პაქსტონ გიბბენი ამავე დროს განირჩეოდა თავისი იშვიათი კეთილშობილებით, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

კანონი მაგარი სასმელების წინააღმდეგ

(ჩვენი კორესპონდენტის საუბარი ამხ. ლარინთან)

მოსკოვი, 4 თებერვალი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ლარინი შეეხო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ კანონს მაგარი სასმელებით ვაჭრობის განსაზღვრისათვის და განაცხადა შემდეგი:

ახალი კანონის ძალით სამრეწველო ცენტრებში და მუშათა რაიონებში აკრძალულია არაყისა და სხვა მაგარი სასმელების სავაჭროთა გახსნა. გარდა ამისა სულ ყველგან აკრძალულია არაყისა და ღვინით ვაჭრობა უქმეების წინ ჯამაგირის დარიგების დღეებში.

ამასთან ერთად კანონი დაუშვებლად აღიარებს მაგარი სასმელების ყოველგვარ რეკლამას. აკრძალულია მაგარი სასმელებით ვაჭრობა კლუბებში და საზოგადო შეკრებულობის ადგილას.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ხუთწლიან სამეურნეო საპერსპექტივო გეგმის შედგენის დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში ალკოგოლიზმთან ბრძოლის ამოცანა, ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა კი ზომები უნდა მიიღოს მინერალური წყლების გასაიაფებლად. გარდა ამისა წინადადება მიეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაძლიერებულ იქნეს გამაგრებულ არაალკოგოლურ სასმელების წარმოება.

ყველა ეს ღონისძიებანი, დაასრულა ამხ. ლარინმა თავისი საუბარი, იმას მოწმობს, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მწვავე და მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად, ეს ღონისძიებები აგრეთვე იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ალკოგოლს ვებრძვით არა მარტო პროპაგანდით, არამედ საქმითაც.

„კაბუკი"-ს „გმირების" გასამართლება

მოსკოვი, 4 თებერვალი. გუშინ გრძელდებოდა ბრალდებულთა დაკითხვა. სასამართლომ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ზოგიერთ ბრალდებულთა ცდა, „კაბუკი"-ს უმზგავსოებანი დაესახათ, როგორც ლოთობის, მფლანგველობის, და გარყვნილების ჩვეულებრივი მოვლენა, უშედეგო აღმოჩნდა. სასამართლოს შემადგენლობისა და ბრალმდებელთა მიერ მიცემულ კითხვებიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ „კაბუკი", როგორც საზოგადოება მართლაც არსებობდა, იყო საზოგადოების პრეზიდიუმიც, რასაც არ უარყოფს თვითონ ბრალდებული კარგანოვი.

ახალ ლიტერატურის მუზეუმი

მოსკოვი, 4 თებერვალი. გუშინ, 3 თებერვალს. ოფიციალურად გაიხსნა მწერალთა კავშირთან დაარსებული ახალი ლიტერატურის მუზეუმი.

პროფკავშირები და მასების ხელმძღვანელობა

რეკონსტრუქციის ეპოქა ახალ რთულ ამოცანებს აყენებს ჩვენი ქვეყნისა და კომპარტიის—მთელი მშენებლობის ხელმძღვანელის წინაშე. სიძნელეების მიუხედავად და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, პარტია განუხრელად ატარებს ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, ახორციელებს მრეწველობის სწრაფ განვითარებას და სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას. პროფკავშირებმა, როგორც მუშათა მასიურმა ორგანიზაციამ, უნდა გაავრცელონ ეს ამოცანები მუშათა მასებში, დარაზმონ ამ ამოცანების ირგვლივ მასები, დაარწმუნონ ჩამორჩენილნი და მერყევნი და უკუაგდონ წვრილ ბურჟუაზიული გავლენა, რომელიც მიმართულია ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებისა და სოციალისტური მშენებლობის შესუსტებისაკენ. რეკონსტრუქციის ეპოქა თვალსაჩინოდ ართულებს პროფესიონალური კავშირების ამოცანებს და უაღრესად აძლიერებს მათ პასუხისმგებლობას პარტიისა და უფართოესი მასების დაკავშირების საქმეში

მთელი მეურნეობის ძირითადი გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების თაოსნობისა და თვითმოქმედების უაღრესად ენერგიული განვითარება. ჩვენი ქვეყნის წარმატებითი რეკონსტრუქცია წარმოუდგენელია იმის გარეშე, თუ მშენებლობაში უფართოესი მონაწილეობა არ მიიღეს მუშათა მასებმა. მეორეს მხრივ რეკონსტრუქცია თვით მუშათა კლასის „რეკონსტრუქციასაც" ნიშნავს. საკმაოა მოვიყვანოთ ციფრები მუშათა კლასის რიცხობრივი ცვლილების შესახებ, რომ ეს სავსებით ნათელი გახდეს. წასული ხუთი წლის განმავლობაში მსხვილი მრეწველობის მუშათა რიცხვი დაახლოვებით ორჯერ გაიზარდა. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევია გეგმით მოწესრიგებულ მრეწველობაში ჩაბმულ იქნას დაახლოვებით 740.000 ახალი მუშა, რაც მოასწავებს 1927—28 წელთან შედარებით მუშათა რიცხვის გადიდებას 35 პროცენტით.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ პროფესიონალური კავშირები ვალდებულნი არიან ახალ ნიადაგზე დასვან მთელი რიგი ამოცანები და გადამჭრელი გარდატეხა მოახდინონ მთელ თავიანთ მუშაობაში. პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ გაძლიერდეს მუშების პრაქტიკული მონაწილეობა მშენებლობაში. პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როლი, არაჩვეულებრივად იზრდება. პროფესიონალურმა კავშირებმა ახალ ნიადაგზე, უფრო მკვეთრად და ღრმად უნდა დასვან მშრომელთა იმ ახალი ფენების კომუნისტური აღზრდის ამოცანა, რომელნიც უერთდებიან მუშათა კლასს. პროფესიონალური კავშირები ვალდებულნი არიან ისე დარაზმონ თავიანთი რიგები, რომ მათი კავშირი მასებთან მაქსიმალურად გაძლიერდეს.

ამავე დროს პროფესიონალური კავშირების ეხლანდელ მუშაობაში ადგილი აქვს მრავალ სუსტ მხარეს. პარტიისა და მასების ეს დამაკავშირებელი ძაფი ყველა მიმართულებით სავსებით შეუფერხებლად ვერ მუშაობს. რაიონული პარიტეტული კონფერენციები, რომელნიც ამას წინად დამთავრდნენ მოსკოვში, დაწვრილებით შეეხნენ პროფკავშირების მუშაობის მრავალ არსებით ნაკლს.

ჯერ კიდევ არ მომხდარა სასურველი გარდატეხა იმ მხრივ, რომ მუშები ჯეროვან მონაწილეობას იღებდნენ მშენებლობაში. ვერც პროფკავშირები მუშაობენ სათანადოდ ამ მონაწილეობის ორგანიზაციისა და გაფართოვებისათვის. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ უნდა ყველგან გაცხოველდეს საწარმოო თათბირების მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ საწარმოო თათბირების მუშაობაში ნამდვილად მოხდა გარდატეხა. არ შეიძლება ითქვას, რომ ის ხელმძღვანელობა, რომელსაც უწევენ პროფკავშირები საწარმოო თათბირების მუშაობას, შეეფერებოდეს ეხლანდელ ამოცანებს მეურნეობის დარგში. მრეწველობის დარგში ეხლანდელი დროის გადამჭრელ ამოცანას წარმოადგენს თვითღირებულების შემცირება. თვითღირებულების შემცირება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობას დასახული სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის. ამავე დროს საწარმოო თათბირებს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებიათ ლაშქრობა მაღალი თვითღირებულების წინააღმდეგ. მათი მუშაობა გამსჭვალული არ არის ამ ამოცანის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით. საწარმოო თათბირები ჯერ კიდევ არ დარაზმულან თვითღირებულების შემცირების ამოცანის ირგვლივ. საწარმოო თათბირების დათვალიერებას, რომელსაც „პრავდა" შეუდგა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს დათვალიერება მოწმობს, რომ ყველგან გაცხოველდა და ფართოდ გაიზარდა მუშების ინტერესი წარმოების საკითხებისადმი, მაგრამ იმისთვის, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა ნამდვილად უმოკლეს ვადაში განახორციელონ გარდატეხა საწ. თათბირების მუშაობაში, ისინი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ ჩაებან ფართო ფრონტით ბრძოლაში და სავსებით გამოიყენონ დათვალიერება საწარმოო თათბირების მუშაობის გადამჭრელი გაუმჯობესებისა და გაძლიერებისათვის, სამეურნეო მშენებლობაში მასების მონაწილეობის გადამჭრელი გაფართოვებისათვის. პროფკავშირთა მე-8 ყრილობის დირექტივა იმის შესახებ, რომ „თავდადებული, გამძაფრებული მუშაობით გამოვიყენოთ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ პროფკავშირებს, მუშების ჩასაბმელად სოციალისტური მშენებლობის საქმეში", ეს დირექტივა განუხრელად უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

წარმოებაში ჩაბმული ახალი მუშების აღზრდის ამოცანა პროფკავშირების წინაშე ძალიან მწვავედ სდგას. გულახდილად უნდა აღვიაროთ, რომ პროფკავშირები ამ მხრით კვალდაკვალ ვერ მისდევენ ცხოვრების მოთხოვნილებებს. მასების სოციალისტურად აღზრდის ნაცვლად, ზოგჯერ ადგილი აქვს მაჩანჩალობის გამომხატველ სულიერ განწყობილებას ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებში, ადგილი აქვს, მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფების სულიერ განწყობილებასთან შეგუებას. პარტიის ც.კ-ის ეხლახან გამოტანილმა დადგენილებამ „დონბასის" შესახებ პროფკავშირებს ამოცანად დაუსახა: „გადაჭრით შეებრძოლონ მუშათა ჩამორჩენილი ფენების წაგლეჯის ტენდენციებს და მათ განუხორციელებელ მოთხოვნილებებს. ამ ბრძოლაში დაეყრდნონ მუშების ძველ კადრებს და მათის დახმარებით ხელახლა აღზარდონ წარმოებაში ახლად მოსული მუშათა ჯგუფები". ეს დადგენილება, როგორც უმნიშვნელოვანესი დირექტივა, აუცილებლად უნდა გავრცელდეს ყველა დანარჩენ პროფესიონალურ კავშირზე. მარტო „დონბასში" კი არა, საბჭოთა კავშირის მთელს მრეწველობაში პროფესიონალურმა კავშირებმა გეზი უნდა აიღონ კადრის მუშაზე, სოციალისტურად უნდა აღზარდონ მუშების ახალი, ჩამორჩენილი ფენები და არ შეეგუონ მათი „სოფლელობისა" და ინდივიდუალიზმის ფსიხოლოგიას. პროფესიონალური კავშირები მოვალენი არიან მტკიცედ აღზარდონ მთელი მუშათა კლასი იმ მიმართულებით, რომ მას სწორი დამოკიდებულება ჰქონდეს სახელმწიფო სოციალისტურ წამოწყებათადმი, სრულიად შეგნებული ჰქონდეს, რომ ამ წამოწყებათა წარმატებაზე დამოკიდებულია მუშათა კლასის წარმატება და მისი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

დღევანდელი დღისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენს შრომის დისციპლინის დაცემა. შრომის დისციპლინის დაცემას მწვავედ განიცდის მთელი სამრეწველო წარმოება. ჩვენ ვხედავთ აუარებელ შემთხვევას, როდესაც ცალკე ჩამორჩენილი მუშები ხშირად აღმაშფოთებელ დამოკიდებულებას იჩენენ მანქანა - იარაღისადმი, ნედლეულისადმი და სხვ. ხშირად მოწმენი ვართ მუშაობის გაცდენის, ლოთობის და ხულიგნობის აღმაშფოთებელი ფაქტებისა. ასეთ პირობებში პროფკავშირების ამოცანას შეადგენს ის, რომ თამამად აღმართონ ბრძოლის დროშა შრომის სოციალისტური დისციპლინის დასაცავად. მუშაობის გამცდენს, ლოთს და ხულიგანს სასტიკი ომი უნდა გამოეცხადოს. პროფესიონალური კავშირები მოვალენი არიან მუშაობის გაცდენასთან ბრძოლაში თვით მუშათა მასა ჩააბან. ისინი მოვალენი არიან მედგრად იბრძოლონ „ისეთი მორალური პირობების შესაქმნელად წარმოებაში, რომ მუშაობის გამცდენნი და შრომის დისციპლინის დამრღვევნი თავიანთ თავს მორალურად დასჯილად სთვლიდნენ და ამხანაგთა წრეში გამარტოებას გრძნობდნენ".

პროფესიონალური კავშირები ამ ამოცანებს მაშინ გაუძღვებიან, როცა ენერგიულად შესცვლიან მთელ თავიანთ მუშაობას და გადააჯგუფებენ თავიანთ რიგებს. ბევრ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს პროფესიონალური ორგანოების მოწყვეტა მუშათა მასისაგან. მუშები მარტო „პრავდა"-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში არა სჩივიან სამართლიანად, რომ მათგან სრულიად მოწყვეტილია კავშირის საგუბერნიო განყოფილება. თუმცა „კაბუკის" გახმაურებული საქმე ტიპიური მოვლენა არ არის, მაგრამ იგი მაინც ჩვენი პროფმოძრაობის სამარცხვინო ლაქას წარმოადგენს და ჩვენი მუშაობის ცერის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. საჭიროა აღინიშნოს, რომ პროფკავშირული დემოკრატია სუსტია, აშკარად საკმაო არ არის პროფკავშირული აქტივის გადახალისება, და გაფართოვება, საკმაოდ არა სწარმოებს უპარტიო მუშების დაწინაურება, აშკარად საკმაო არ არის თვითკრიტიკის გაშლა - გაფართოვება, არ ექცევა საკმაო ყურადღება მასების საჭიროებას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ პროფკავშირების ზოგიერთი საფეხური გაბიუროკრატებულია. ეს დეფექტები გათვალისწინებულ უნდა იქნან, რომ უფრო ენერგიულად და უფრო მეტის წარმატებით აღმოვფხვრათ ისინი. ბოლო უნდა მოეღოს აღმაშფოთებელ ჩვეულებას, როდესაც ბიუროკრატიზმისათვის და მუშებისადმი ქედმაღლობის გამოჩენისათვის დათხოვნილები მაშინვე გადაჰყავდათ სხვა ადგილებში, პასუხისმგებელ სამუშაოზე.

პროფკავშირები მოვალენი არიან მტკიცედ განახორციელონ კავშირების მე-8 ყრილობის დირექტივა, იმის შესახებ, რომ არ ირღვეოდეს არჩევნების პრინციპი, ადგილი არ ჰქონდეს კანდიდატების თავზე მოხვევას, მუშაობა ყველას თვალწინ სწარმოებდეს და კავშირების ყველა ორგანო ფართოდ აბარებდის ანგარიშს მუშათა მასებს.

„პროფკავშირული დემოკრატიის საუკეთესოდ განხორციელების მიზნით საჭიროა, რომ ვადის შესრულებამდე ამომრჩეველმა მუშებმა არჩეულ თანამდებობიდან უკან გაიწვიონ ყველა მოწყვეტილი და პროფკავშირთა აპარატში გაბიუროკრატებული ელემენტები, რომლებმაც არ გაამართლეს მათი ამომრჩეველი მუშათა მასების ნდობა. ასეთი უკან გაწვევის პრაქტიკა ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული".

საბჭოთა პროფკავშირების წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული. პროფესიონალური კავშირები განამტკიცებენ და გააძლიერებენ თავიანთ კავშირს პარტიასთან და მისი ხელმძღვანელობით გადასწყვეტენ ამ ამოცანებს, ყოველდღიური მუშაობით უზრუნველჰყოფენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, სოციალისტური მრეწველობის სწრაფ ზრდას, მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შეუფერხებლად ამაღლებას და წინ წასწევენ სოციალისტურ მშენებლობას ქალაქად და სოფლად.

„პრავდა", 3 თებერვალი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. იაროსლავსკი

როგორ უყურებდა ლენინი პარტიის წმენდას

როცა ვათვალიერებთ ყველაფერს იმას, რაც დღემდე თქმულა და დაწერილა პარტიის წმენდისა და მისი რიგების შემოწმების შესახებ, ვრწმუნდებით, რომ ასეთი წმენდისა და შემოწმების ამოცანა, თვით ასეთი პერიოდული წმენდის აუცილებლობის ამოცანა ყველაზე უფრო სწორად და გარკვევით წამოაყენა ვლადიმერ ილიჩმა. ზოგიერთი ფიქრობს, თითქოს ეს საკითხი ჩვენს წინაშე დაისვა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, თითქოს ჩვენი პარტიის ცხოვრების არალეგალურ პერიოდში მისი რიგები დაცული იყო უცხო ელემენტების შეჭრისაგან, დაცული იყო, თვით მისი არალეგალური არსებობის ფაქტის გამო, იმ გარემოების გამო, რომ პოლიციის დევნა აშინებდა და აფრთხობდა ყველა მშიშარა, მტკიცე რწმენის არ მქონე, კლასობრივად და სოციალურად უცხო და სხვ. ელემენტებს. რასაკვირველია, ვიწრო კონსპირატიულ ორგანიზაციაში შერჩევა უფრო სასტიკად ხდებოდა. მაგრამ საკმაოა გავიხსენოთ თუნდაც მეორე პარტყრილობაზე წარმოებული დავა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი, რათა დავინახოთ, რომ პარტიის წესდება მაშინაც უხსნიდა გზას მერყევ, არა მარქსისტს და მათ მსგავს ელემენტებს. ამის შესახებ ლენინი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“-ში (ლენინი, ტომი მე-7, ნაწ. 1, გვ. 24) სწერდა:

„პარტია არის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც დაიშლებოდა ჯერ იდეურად, ხოლო შემდეგ მატერიალურად, რომ იგი არ ხწმენდდეს თავის რიგებს ისეთი წევრებისაგან, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებებს ქადაგებენ. პარტიულსა და ანტიპარტიულს შორის მიჯნის გასავლებად ვერ გვაქვს პარტიის პროგრამა, ტაქტიკური რეზოლუციები და წესდება“. ეს სიტყვები უნდა გაიხსენოს ყველა იმან, ვინც ფიქრობს, თითქოს წესდების, პროგრამისა და ტაქტიკური რეზოლუციების დაცვა პარტიის ფორმალური მოთხოვნა იყოს.

არა,—ამბობდა ილიჩი — წესდების, პროგრამისა და ტაქტიკური რეზოლუციების დაცვა ან არ დაცვა განსაზღვრავს მიჯნას პარტიულსა და ანტიპარტიულს შორის. ვინც არ იცავს პროგრამას, წესდებასა და ტაქტიკურ რეზოლუციებს, ის დგება ანტიპარტიულის მიჯნაზე, გადადის ამ მიჯნის გადაღმა. ასეთი წევრებისაგან პარტია უნდა გაიწმინდოს. ამ დებულების წამოყენების დროს ლენინი იმოწმებდა ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა მოძრაობის, პროლეტარიატის საერთაშორისო ნებაყოფლობითი კავშირების გამოცდილებას, იმ პროლეტარიატის, რომელსაც თავის პარტიაში შემოჰყავდა არა სავსებით მტკიცე რწმენის მატარებელი, არა სავსებით მარქსისტული ელემენტები, ან მიმდინარეობანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მუდამ მიმართავდა თავისი რიგების პერიოდულ წმენდას.

ლენინი, როდესაც იგი მიმართავდა იმათ, ვინც მოითხოვდა პარტიის შიგნით უპრინციპო ბურჟუაზიული „კრიტიკის თავისუფლებას“, ვინც მოითხოვდა, რომ პარტია მოთმინებით მოპყრობოდა სხვადასხვა მიმდინარეობას პარტიის შიგნით, გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ასეთი ელემენტების მოწოლა პარტიის თავისუფალი არსებობის პირობებში კიდევ უფრო ძლიერი იქნება. „ასე დაგვემართება ჩვენც, ბურჟუაზიული „თავისუფალი კრიტიკის“ მომხრეებო: ეხლა ჩვენი პარტია უცბათ მასიურ პარტიად ხდება, ეხლა ჩვენ განვიცდით ორგანიზაციის უეცარ გადასვლას თავისუფალ არსებობაზე, ეხლა ჩვენს რიგებში, აუცილებლად შემოვლენ მერყევი (მარქსისტული თვალსაზრისით) ელემენტები; შეიძლება შემოვიდნენ, წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ქრისტიანებიც, შეიძლება ზოგიერთი მისტიკოსებიც. ჩვენ მაგარი კუჭი გვაქვს, ჩვენ მტკიცე მარქსისტები ვართ; ჩვენ გადავხარშავთ და მოვინელებთ ამ მერყევ ხალხს. აზროვნებისა და კრიტიკის თავისუფლება პარტიის შიგნით ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებინებს ადამიანთა დაჯგუფების თავისუფლებას ნებაყოფლობით კავშირებად, რომელთაც პარტიებს ეწოდება“. (ლენინი, ტომი 7, ნაწ. 1, გვ. 24).

ის, რასაც 1925 წელს ლენინი ჩვენი პარტიისაგან მოითხოვდა, მან ჩამოაყალიბა ერთ-ერთ პირობად იმ 21 პირობიდან, რომელიც საჭიროა კომინტერნის წევრობისათვის. (პუნქტი 18).

„ყველა იმ ქვეყნის კომუნისტური პარტიებმა, სადაც კომუნისტები არალეგალურ მუშაობას აწარმოებენ, პერიოდულად უნდა ახდენდან გაერიცხვა დაახლოებით წევრების და მადგენლობის წმენდას. (ხელახალ რეგისტრაციას) იმ მიზნით, რომ სისტემატიურად გასწმინდონ პარტია მიტმასნილი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისაგან“.

მაშასადამე, საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირში მმართველი პარტიაა და ამიტომ ივსება უცხო წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებით. არა, კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც, სადაც კომპარტიებს სდევნიან, პარტიის რიგებში შეიძლება შეიჭრან, მიეტმასნონ მას წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები. იქაც აუცილებელია პერიოდული წმენდა, რადგან კაპიტალიზმის საშინელებისაგან „გაცოფებულ“ წვრილ-ბურჟუას შეუძლია იქაც შერყვნას კომპარტიები ულტრა-მემარცხენეობით დაავადებული ისეთი წვრილ-ბურჟუაზიულ ფრაქციული ჯგუფების წარგზავნით, როგორიც არიან, მაგ., ტროცკისტები. მართველი პარტიის მიმართ მდგომარეობა, რასაკვირველია, კიდევ უფრო სახიფათო ხდება.

„ჩვენ,—სწერდა ლენინი—„მემარცხენეობის საყმაწვილო სენში“ (ლენინი, ტომი 17, გვ. 138),—გვეშინია პარტიის მეტისმეტი გაფართოვებისა, რადგან აუცილებლად ეცდებიან მთავრობის პარტიას მიეტმასნონ კარიერისტები და ვიგინდარები, რომელნიც მხოლოდ დახვრეტის ღირსნი არიან. უკანასკნელად ჩვენ ფართოთ გაუღეთ პარტიის კარი მუშებს და გლეხებს იმ დღეებში, როცა იუდენიჩი რამდენიმე ვერსით იყო დაშორებული პიტერს, ხოლო დენიკინი ორიოლში იყო (350 ვერსის მანძილზე, მოსკოვიდან), ე. ი. როცა საბჭოთა რესპუბლიკას განსაცდელი მოელოდა და როცა ავანტიურისტებს, კარიერისტებს, ვიგინდარებს და, საერთოდ, მერყევ ელემენტებს არ შეეძლოთ კომუნისტების მხარეზე გადასვლით ხელსაყრელი კარიერის შექმნის იმედი ჰქონოდათ, პირიქით, ამით ისინი სახრჩობელასა და წამებას მოიმზადებდნენ. სწორედ იმისათვის, რომ ასეთ საშიშ მომენტში პარტია უფრო ძლიერი გამხდარიყო. 1919 წელს შემოდგომაზე, პარტიამ, მუშებისა და გლეხების მიღებასთან ერთად, მიმართა ორგანიზაციების რიგების ხელახალ რეგისტრაციას. იგი სრულიად არ მოერიდა თავისი რიგებიდან გადარიცხვა დაახლოებით წევრების და კანდიდატების ერთი მესამედი. დაახლოებით ერთი მესამედი გარიცხა პარტიამ 1921 წლის გენერალური წმენდის დროს. „საჭიროა, პარტიამ ყველგან, პეტერბურგის მსგავსად, ხელი მოჰკიდოს პარტიის უსასტიკეს წმენდას მიტმასნილი ელემენტებისაგან და მისი რიგების გაძლიერებულ შევსებას საუკეთესო ელემენტებით მუშათა და გლეხთა მასებიდან“. (ლენინი, ტომი 20, ნაწ. 2, გვ. 341, გ. ზინოვიევის წერილის „ჩვენი პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ“. წინასიტყვაობა).

ლენინს განსაკუთრებით საშიშრად მიაჩნდა უცხო კარიერისტული და ავანტიურისტული ელემენტების არსებობა ჩვენი პარტიის ორგანიზაციებში სოფლად. ლენინი გვაფრთხილებდა ამ საფრთხის წინააღმდეგ. „აქა-იქ ჩვენ მოგვეტმასნენ კარიერისტები, ავანტიურისტები, რომელთაც თავიანთ თავს კომუნისტები უწოდეს და რომელნიც გვატყუებენ; ისინი იმიტომ მოგვეტმასნენ, რომ კომუნისტები ეხლა ხელისუფლების სათავეში დგანან, იმიტომ, რომ უფრო პატიოსანი „მოსამსახურე“ ელემენტები, თავიანთი ჩამორჩენილი იდეების გამო არ წამოვიდნენ ჩვენთან სამუშაოდ, კარიერისტებს კი არა აქვთ არავითარი იდეა, არავითარი პატიოსნება“. (ლენინი, ტომი მე-13, გვ. 149). თავის თავად იგულისხმება, რომ პარტიამ პირველ რიგში თავი უნდა გაინთავისუფლოს ისეთი ხალხისაგან, რომელიც თავის საქმიანობაში „წაგლიჯის“ ლოზუნგის გარდა, არაფერს არ სცნობს. ამ ორ ზომას: პარტიის გაწმენდას უცხო ელემენტებისაგან და მისი რიგების შევსებას პროლეტარული ელემენტებით ლენინი ყოველთვის ერთად აყენებდა. როდესაც მენშევიკებმა 1906 წელს წამოაყენეს „ფართო მუშათა პარტიის“, „მუშათა ყრილობის“, „უპარტიო პარტიის“ იდეა, ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი: „ჩვენი პარტია ხუთჯერ და ათჯერ უნდა გაფართოვდეს უმთავრესად და თითქმის მხოლოდ წმინდა პროლეტარული ელემენტებით და მხოლოდ რევოლუციონური მარქსიზმის იდეურ დროშის ქვეშ. ეხლა მართლაც საჭიროა პარტიის გაფართოვება პროლეტარული ელემენტებით“.

ლენინი აღნიშნავდა, რომ პიტერის პარტიულ ორგანიზ.-ში მუშების რიცხვი საკმაოდ არ იზრდებოდა; ამიტომ იგი მოითხოვდა: „ასეთ ცენტრებში უნდა შეგვეძლოს ხუთჯერ და ათჯერ მეტი მუშების ჩაბმა პარტიაში“. (ლენინი, ტომი მე-8, გვ. 47. „მენშევიზმის კრიზისი“). ლენინს პარტიის პროლეტარული შემადგენლობის გაძლიერება მიაჩნდა თითქმის ერთად-ერთ საშუალებად დაქსაქსულ წრეებად მუშაობისა („კრუჟკოვშჩინა“) და ჯგუფური ბრძოლის დაძლევისათვის. იმ წინასიტყვაობაში რომელიც უძღვის კრებულს „12 წლის განმავლობაში“, (ლენინი, ტომი მე-8, გვ. 480) ილიჩი სწერდა: „მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პარტია გაფართოვდება პროლეტარული ელემენტებით, შესაძლებელი იქნება, დაწყებულ მასიურ მუშაობასთან დაკავშირებით, „კრუჟკოვშჩინის“ მთელი იმ კვალის აღმოფხვრა, რომელიც წარსულმა გვიანდერძა და რომელიც აწმყოს ამოცანებს არ შეეფერება“.

1919 წელი მძიმე წელიწადი იყო საბჭოების ქვეყნისათვის. იმპერიალისტური ბლოკადის რკალი სანგრების მეორე წყებას წარმოადგენდა თეთრგვარდიელ გენერალთა არმიებისათვის, რომელნიც სცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და აღედგინათ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობა.. ხსენებული წლის მარტში ილიჩმა მიიღო სპეციალისტის, ვორონეჟის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორის მ. დუკელსკის „ღია წერილი“. ამ სპეციალისტმა ვერ შესძლო „დაეფარა თავისი უდიდესი აღშფოთება“, როდესაც „იზვესტია“-ში წაიკითხა ლენინის მოხსენება სპეციალისტების შესახებ. ეს სპეციალისტი კომუნისტებთან პატიოსანი თანამშრომლობის პირობას აყენებდა.... პარტიის წმენდას. „უწინარეს ყოვლისა, — მოითხოვდა იგი,—გასწმინდეთ თქვენი პარტია უსინდისო Mitläufer-ებისაგან (თანამგზავრებისაგან), გაძევეთ ისეთი მძარცველები, ავანტიურისტები, მაჩანჩალები და ბანდიტები, რომელნიც ეფარებიან კომუნიზმის დროშას და, ან თავიანთი უსინდისობის გამო, იტაცებენ სახალხო დოვლათს, ან, თავიანთი სისულელის გამო, ძირს უთხრიან ხალხის ცხოვრებას უაზრო დეზორგანიზატორული ფაცი - ფუცით“. (ლენინი, ტომი მე-19, გვ. 162-166). ლენინმა პასუხი გასცა ამ წერილზე. მან აღნიშნა, რომ „წერილი ბოროტია და მგონი გულწრფელიო“. ლენინმა აღადგინა სპეციალისტებთან ურთიერთობის ისტორიული სურათი და აღნიშნა, რომ საბოტაჟი დაიწყო ინტელიგენციამ და ჩინოვნიკობამ, რომელთა მასა ბურჟუაზიული და წვრილ - ბურჟუაზიულია. ლენინმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის წმენდის მოთხოვნა სწორი მოთხოვნა იყო.

„ეს სწორი მოთხოვნაა. ჩვენ ის დიდი ხანია დავსვით და ვანხორციელებთ მას. „ახლად მოტმასნილთ“ ჩვენს პარტიაში გასაქანს არ ვაძლევთ. ყრილობამ განსაკუთრებული ხელახალი რეგისტრაციაც კი დანიშნა. დაჭერილ ბანდიტებს, მძარცველებსა და ავანტიურისტებს ჩვენ ვხვრეტთ და მომავალშიაც დავხვრეტთ. მაგრამ, რომ გაწმენდა უფრო სრულად და სწრაფად ხორციელდებოდეს, საჭიროა, გულწრფელი უპარტიო ინტელიგენცია დაგვეხმაროს ამ საქმეში“. მას შემდეგ, რაც ლენინის ინიციატივით შესახვევში აფეთქებულ იქნა პასუხისმგებელ მუშაკთა პარტიული კრება, მოსკოვში ტარდებოდა პარტიული კვირეული, ლენინი სწერდა: „ის გარემოება, რომ პარტიული კვირეული მოსკოვში ტარდება მძიმე მომენტში (დენიკინის წარმატება), უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვინაიდან ეს საქმისათვის სახარგებლოა. პარტიული კვირეული ჩვენ აღლუმისათვის როდი გვჭირდება, პარტიის ისეთი წევრი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, მუქთადაც არ გვინდა. ჩვენი პარტია მთავრობის სათავეში მდგომი ერთად-ერთი პარტიაა მთელ მსოფლიოში, რომელიც სცდილობს არა წევრთა რიცხვის გადიდებას, არამედ მათი ღირსების გაუმჯობესებას, პარტიის გაწმენდას „მოტმასნილი“ ელემენტებისაგან. ჩვენ არაერთხელ ჩავატარეთ ხელახალი რეგისტრაცია, რათა გაგვეძევებინა ეს „მოტმასნილნი“, რათა დაგვეტოვებინა პარტიაში მხოლოდ შეგნებული და კომუნიზმის ერთგული ელემენტები. ჩვენ ვიყენებდით სამხედრო მობილიზაციებსაც და შაბათობასაც, რათა გაგვეწმინდა პარტია ისეთებისაგან, ვისაც სურს მხოლოდ „ისარგებლოს“ მთავრობის პარტიის წევრობის ხელსაყრელი მხარეებით, ვისაც არ სურს იტვირთოს თავდადებული მუშაობა კომუნიზმის სასარგებლოდ. და ეხლა, როდესაც გაძლიერებით სწარმოებს მობილიზაცია ფრონტზე გასაგზავნად, პარტიული კვირეული იმით არის კარგი, რომ ხალხის უკარგავს მოტმასნის მსურველებს. პარტიაში ჩვენ ფართოდ მოვუწოდებთ მხოლოდ უბრალო მუშებს და ღარიბ გლეხებს, მშრომელ გლეხებს და არა სპეკულიანტ გლეხებს. ამ უბრალო წევრებს ჩვენ არ აღუთქვამთ და არ ვაძლევთ არავითარ სარგებელს პარტიაში მიღებით. პირიქით, პარტიის წევრებს ეხლა ეკისრებათ ჩვეულებრივზე უფრო მძიმე, უფრო საშიშარი მუშაობა. მით უკეთესი. პარტიაში შემოვლენ მხოლოდ კომუნიზმის გულწრფელი მომხრენი, მხოლოდ კეთილსინდისიერნი და მუშათა სახელმწიფოს ერთგულნი, მხოლოდ პატიოსანი მუშაკნი, მხოლოდ ნამდვილი წარმომადგენელნი იმ მასებისა, რომელნიც კაპიტალიზმის დროს იჩაგრებოდნენ. ჩვენ გვესაჭიროებიან მხოლოდ ასეთი წევრები. პარტიის ახალი წევრები ჩვენ გვესაჭიროებიან არა რეკლამისათვის, არამედ სერიოზული მუშაობისათვის. მათ მოვუწოდებთ პარტიაში. მშრომელებს ჩვენ ფართოდ ვუღებთ პარტიის კარებს“ (ლენინი, ტომი მე-20, ნაწილი მე-2, გვერდი 345-347, „მუშათა სახელმწიფო და პარტიული კვირეული“).

ლენინი წინადადებას იძლეოდა, პროლეტარიატის ამ ახალ ფენებში მოეძებნათ „ნიჭიერი ორგანიზატორები და ადმინისტრატორები, რომელთაც კაპიტალიზმი გასაქანს არ აძლევდა, რომელთაც ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ დაწინაურდნენ და ჩაებან სოციალისტური მშენებლობის საქმეში“.. „რაც შეიძლება მეტი მუშაკი მასებიდან პარტიის რიგებში ახალი ცხოვრების შენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, — ასეთია ჩვენი ბრძოლის მეთოდი ყოველგვარი დაბრკოლების წინააღმდეგ, ასეთია ჩვენი გზა გამარჯვებისაკენ“ (იქვე).

პარტიის წმენდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვალოთ ერთდროულ კამპანიად, რომელმაც ერთბაშად უნდა გაგვანთავისუფლოს ყველა უვარგის ელემენტებისაგან. ლენინი აღნიშნავდა, რომ ასეთი წმენდის დროს აუცილებლად გადიდებულ უნდა იქნას ჩვენი მოთხოვნები პარტიის ყველა წევრის მიმართ, მთელი ჩვენი მუშაობის მიმართ. „პარტიის წმენდა, დაკავშირებული პარტიის მოთხოვნების გადიდებასთან ნამდვილი კომუნისტური მუშაობის სფეროში გააუმჯობესებს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატს და საგრძნობლად მოაახლოვებს გლეხობის საბოლოოდ გადასვლას რევოლუციონური პროლეტარიატის მხარეზე“ (ლენინი, ტომი მე-16, „კომუნისტურ შაბათობის უდიდესი მნიშვნელობა“). ამგვარად პარტიის წმენდით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა „ნამდვილი კომუნისტური“ გახდეს. პარტიის წმენდამ უნდა გააუმჯობესოს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი, პარტიის წმენდამ ხელი უნდა შეუწყოს იმ უდიდესი ამოცანების შესრულებას, რომლებიც დგანან პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის წინაშე — მუშათა კლასმა ხომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ დაეხმაროს დაქსაქსულ წვრილ გლეხურ მეურნეობებს გადავიდნენ სოციალისტურ რელსებზე, — ამიტომ პარტიის წმენდამ „ძალიან უნდა დაგვიახლოვოს გლეხობის საბოლოოდ გადასვლა რევოლუციონურ პროლეტარიატის მხარეზე“.

პარტიის წმენდის საკითხი, როგორც საერთო პარტიული ამოცანა, ყველაზე უფრო ფართოდ დაისვა პარტიის მე-10 ყრილობაზე. ჩვენ არ შეგვშინებია მაშინ, რომ წმენდა ხდებოდა დაუმთავრებელი სამოქალაქო ომის პერიოდში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, 1920-21 წლის სასტიკი დისკუსიის შემდეგ, კრონშტადტის შემდეგ, როცა საკავშირო კომპარტიის რიგებში თავი იჩინა მერყეობამ. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ: როცა ტროცკისტებთან გამართული დისკუსიის (1924 წელს) შემდეგ პარტიამ გადასწყვიტა შეემოწმებინა უმაღლეს სასწავლებელთა და საბჭოთა უჯრედები, რომელთაც ყველაზე მეტი მერყეობა გამოიჩინეს, ტროცკისტები შკიცხავდნენ პარტიას და ამბობდნენ, რომ მას უნდა „გაუსწორდეს“ სხვაგვარად მოაზროვნეებსო. ლენინი არ შეუშინდა ასეთ საყვედურებს, მაშინ პარტიის წმენდას განსაკუთრებით მოითხოვდა „მუშათა ოპოზიცია“. მე-10 ყრილობის რეზოლუციის (პარტიის მთლიანობის შესახებ) პირვანდელ პროექტში ლენინი სწერდა (მე-5 პუნქტი): „პარტია დაუზოგველად უარყოფს არასაქმიან ფრაქციულ, ვითომდა, კრიტიკას, მაგრამ ამავე დროს ის ყოველგვარი საშუალებებით განაგრძობს ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიზმისა და თვითმოქმედების გაფართოვებისათვის, პარტიასთან მიტმასნილი ელემენტების აღმოსაჩენად და გასაძევებლად და სხვ.“.

ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს წმენდის მსვლელობას, მის შედეგებს. ლენინი აუცილებლად სთვლიდა უპარტიო მუშების ჩაბმას პარტიის წმენდაში. 1921 წლის სექტემბერში ლენინმა პარტიის წმენდის შესახებ დასწერა სპეციალური სტატია, რომელშიაც ამ მომენტს დაუთმო განსაკუთრებული ადგილი, თითქმის ცენტრალური ადგილი. „არის ადგილები, — სწერს ლენინი, — სადაც პარტიის წმენდის დროს ეყრდნობიან უმთავრესად უპარტიო მუშათა გამოცდილებას და მითითებებს, ანგარიშს უწევენ უპარტიო პროლეტარული მასის წარმომადგენლებს. აი ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი. თუ ჩვენ მართლაც მოვახერხებთ პარტიის ამგვარად გაწმენდას თავიდან ბოლომდე, „პროვინციების განურჩევლად“, მაშინ რევოლუციის მონაპოვარი მართლაც რომ დიდი იქნება“. თავის-თავად ცხადია, ჩვენ კუდში არ უნდა მივჩანჩალებდეთ უპარტიო მასას. ლენინი ამ მხრივაც გვაძლევს გაფრთხილებას. „რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დავემორჩილოთ მასების ყველა მითითებას, ვინაიდან ხანდახან, განსაკუთრებით არაჩვეულებრივი მოღლილობისა და მოქანცულობის წლებში, მასებიც ემორჩილებიან არაპროგრესიული განწყობილების გავლენას“. მაგრამ „მიტმასნილი“, „ნიკაპ აფარებული“, „გაბიუროკრატებულ“ ელემენტების შეფასების საქმეში უპარტიო პროლეტარული მასის მითითებანი უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა. მშრომელი მასა თავისი ალღოთი მშვენივრად არჩევს პატიოსან ერთგულ კომუნისტებს ისეთ კომუნისტებისაგან, რომელნიც ზიზღს იწვევენ მშრომელ ადამიანში, ისეთ ადამიანში, რომელსაც არ აქვს არავითარი პრივილეგია, არავითარი უფროსობისაკენ.

პარტიის წმენდის საქმეში უპარტიო მშრომელი მასების ჩაბმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის ჩვენ სერიოზულ შედეგს მოგვცემს. ის პარტიას გადააქცევს მუშათა კლასის გაცილებით უფრო ძლიერ ავანგარდად, ვიდრე იგი წინად იყო. გადააქცევს მას ავანგარდად, რომელიც უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული კლასთან და გადაუხრელად წაიყვანს მას გამარჯვებისაკენ ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვით“.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პარტიიდან ყოფილი მენშევიკების გამორიცხვის საკითხი, რომელიც ლენინმა წამოაყენა 1921 წელს პარტიის წმენდის პერიოდში. ლენინი ამ ამოცანას კერძო ამოცანად სთვლიდა, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით ჩერდებოდა მასზე, „ჩემის აზრით, — სწერდა ლენინი, — იმ მენშევიკებიდან, რომელნიც პარტიაში შემოვიდნენ 1918 წლის დასაწყისის შემდეგ, შეიძლება დატოვებულ იქნას ერთი მესამედი, და ისიც მაშინ, როცა პარტიაში დატოვებულს შევამოწმებთ სამჯერ, ოთხჯერ. რატომ? იმიტომ, რომ მენშევიკებმა, როგორც მიმდინარეობამ, 1918-1921 წლების პერიოდში აშკარად დაგვიმტკიცეს თავიანთი ორი თვისება: პირველი — მუშებს შორის გაბატონებულ მიმდინარეობასთან მოხერხებულად შეგუება და „მიტმასნა“ და მეორე — კიდევ უფრო მოხერხებულად და ერთგულად სამსახურის გაწევა თეთრგვარდიელებისათვის, სამსახურის გაწევა საქმით, ხოლო სიტყვით მათ წინააღმდეგ გალაშქრება“. ლენინი სთვლიდა, რომ შეგუება არ არის შემთხვევითი, რომ ის არის ოპორტუნისტების თვისება, ოპორტუნისტების, რომელნიც „იმოსებიან თავდასაცავი ფერით, ისე, როგორც კურდღელი ზამთრობით „თეთრი ხდება“. ამიტომ ილიჩი ერთხელ კიდევ იმეორებს: „პარტია უნდა გაიწმინდოს გახრწნილი, ბიუროკრატიული, უპატიოსნო და არამტკიცე კომუნისტებისა და მენშევიკებისაგან, რომელთაც იცვალეს ფერი, მაგრამ სულით და გულით კი მენშევიკებად დარჩნენ“. ამას ლენინი სწერდა 1921 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ კი 7 ნახევ. წელიწადი გავიდა. ამ წლების განმავლობაში პარტიაში ბევრი მენშევიკი არ შემოსულა და, მაშასადამე, საქმე ეხება უმთავრესად იმათ შემოწმებას, ვინც დარჩა 1921 წლის წმენდისა და შემდგომი შემოწმების შემდეგ.

ამგვარად, შემოწმება იყო დაკვირვებული: მრავალი მენშევიკი „გაიცხრილა“ ამ წლებში პარტიიდან სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ბევრი კიდევ აღმოჩნდა ტროცკისტების არალეგალურ ფრაქციაში, სადაც მათ თავიანთი მენშევიკური „სახე“ გამოააშკარავეს. ეს ამოცანა — გავასწმინდოთ პარტია იმათგან, ვინც ფერი იცვალა, ვინც თავდასაცავი ფერით შეიმოსა, დღეისათვისაც მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. ლენინს პარტიის წმენდა მიაჩნდა ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებად, რომელიც ბიუროკრატიზმთან და გაჭიანურებასთან ბრძოლის შესაძლებლობის გარანტიას იძლევა. სამწუხაროდ, როგორც ამბობდა ლენინი, კომუნისტების ნახევარს არ ემარჯვება ბრძოლა. „ჩვენ გვყავხან კომუნისტები, მაგრამ ნახევარზე ნაკლებს არ ემარჯვებათ ბრძოლა, რომ არაფერი ვსთქვათ დანარჩენებზე, რომელნიც ამ ბრძოლას ხელს უშლიან“. პოლიტგანათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე დელეგატებისადმი მიმართულ სიტყვაში ლენინი ამბობდა:

„მართალია, თქვენ შორის 99 პროცენტი კომუნისტია, ხოლო თქვენ იცით, რომ კომუნისტებზე ჩვენ ეხლა ვახდენთ ოპერაციას, რომელსაც აწარმოებს პარტიის გასაწმენდად გამოყოფილი კომისია; გვაქვს იმედი, რომ 100 ათას კაცამდე გავრიცხავთ ჩვენი პარტიიდან. არიან ზოგიერთები, რომელნიც ამბობენ—200 ათასამდე უნდა გავრიცხოთო. მე ამ პირთა აზრი ჭკუაში მიჯდება. მე დიდი იმედი მაქვს, რომ პარტიიდან გავდევნით 100-დან 200 ათასამდე კომუნისტს, რომელნიც მიეტმასნენ პარტიას, რომელთაც არა თუ ემარჯვებათ ბრძოლა „გაჭიანურებასა და მექრთამეობასთან, არამედ ხელს გვიშლიან ამ ბრძოლაში“ (ლენინი, ტომი 18, ნაწ. 1, გვ. 382-383, პოლიტგანათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა).

მე-11 პარტყრილობის წინ ლენინი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი ცნობები ჩატარებული წმენდისა და მისი ფარგლების შესახებ, მაინც ითვალისწინებდა უმთავრესად იმ ცვლილებას, რომელიც მოხდებოდა კომუნისტურ პარტიაში სწორედ იმის გამო, რომ პარტიას ჩამოშორდებოდა ბალასტი,—გაბიუროკრატებული ხალხი და სხვ. 1922 წელს მეტალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე ლენინი ამბობდა: „მას შემდეგ, რაც ჩვენ პარტიის წმენდას შევუდექით და ჩვენ თავს უთხარით: შორს ჩვენგან პარტიაში შემომძვრალი, მძარცველი და ქურდი, — ამის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა. დაახლოვებით 100 ათასამდე გავაძევეთ. ეს ძალიან კარგია, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. პარტიის ყრილობაზე ჩვენ ამ საკითხს სათანადოთ განვიხილავთ, გავარჩევთ და მაშინ მე ვფიქრობ, იმ ათეულ ათასებს, რომელნიც ეხლა მხოლოდ კომისიებს აწყობენ და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებენ და არც აქვთ უნარი აწარმოონ, მოელით იგივე ხვედრი. აი, როცა ჩვენ ამგვარად გავიწმინდებით, ჩვენი პარტია შეუდგება ფაქტიურ მუშაობას და ისე გაიგებს ამ მუშაობას, როგორც იგი სამხედრო დარგში ესმოდა. (ლენინი, ტომი 18, ნაწ. 2, გვ. 16).

მიუხედავათ ამისა, ლენინი საჭიროდ სთვლიდა გაფრთხილებას იმ მიზნით, რომ პარტიის წმენდა ადგილებზე არ გადაქცეულიყო პირადი და ადგილობრივი ანგარიშების გასწორებად. ასეთი საფრთხე ყოველთვის არსებობდა და სწორედ ამით აიხსნებოდა ყოველთვის ის, რომ ადგილობრივი შემოწმებელი კომისიების დადგენილებათა დიდ რიცხვს განსაჩივრების დროს აუქმებდნენ შემდგომი საკონტროლო ინსტანციები.

„იქეს გარეშე, — სწერდა ლენინი ამხ. სტალინს 1922 წლის 20 მაისს, — ჩვენ დავცურავთ უკანონობის ზღვაში, რომ ადგილობრივი გავლენა კანონიერებისა და კულტურობის დამყარების საქმეში, თუ ერთად-ერთს არა. ერთ-ერთ უდიდეს მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. საეჭვოა იყოს ვინმე, რომელსაც არ გაეგონოს, რომ პარტიის წმენდამ გამოაშკარავა, როგორც ადგილობრივი შემომწმებელი კომისიების უმრავლესობის დამახასიათებელი ფაქტი, ის, რომ ადგილებზე წმენდის ჩატარების დროს შემჩნეული იყო პირადი და ადგილობრივი ანგარიშების გასწორების შემთხვევები“ (ლენინი, ტომი 20, ნაწ. 2, გვ. 510, „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ).

ლენინის ეს სიტყვები ადგილობრივი გავლენის შესახებ, რომლებიც გამოხატავენ ჯერ კიდევ ჩვენი ცხოვრებიდან განუდევნელ უკანონობას, გამოხატავენ ჩვენს უუნარობას ავმაღლდეთ იმდენად, რომ უკუვაგდოთ პირადი და ადგილობრივი ანგარიშების გასწორება, თუნდაც ისეთ მომენტში, როგორიც არის პარტიის წმენდა, — ლენინის ეს სიტყვები აუცილებლად უნდა ვიქონიოთ სახეში მომავალი წმენდის დროსაც. ეს სიტყვები სერიოზული გაფრთხილებაა ყველა ადგილობრივი შემმოწმებელი კომისიისათვის, რომელნიც მოვალენი არიან გულდასმით ადევნონ თვალყური იმას, რომ პარტიის რიგების შემოწმება არ დაეშვას უმაღლესი პრინციპიალობის დონეზე დაბლა, რომ ეს წმენდა მაქსიმალურად შეეფერებოდეს პარტიის საერთო ამოცანებს.

როგორც ცნობილია, 1921 წელს პარტიის რიგების შემოწმებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი პარტიის შემადგენლობის 30 პროცენტი გამოირიცხა და ნებაყოფლობით გავიდა წმენდის დროს. ამ ოპერაციებს არ დაუსუსტებია პარტია. ამ ოპერაციამ გააუმჯობესა მისი სოციალური შემადგენლობა, მისი იდეოლოგიური სიმტკიცე.

მიუხედავათ ამისა, შეცდომები და სიძნელეები წმენდის გატარების დროს იმდენად დიდი იყო, რომ ლენინმა აუცილებლად ჩასთვალა ამხ. მოლოტოვისადმი მიწერილ წერილში 1922 წელს 24 მარტს შეჩერებულიყო ამხ. ზინოვიევის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელიც პარტიაში მისაღებ ახალი წევრების სტაჟის გაგრძელებას შეეხებოდა. ლენინი წინადადებას იძლეოდა, ჯერ ერთი, გადიდებულიყო სტაჟი ყველა კატეგორიისათვის, გარდა მუშებისა, ხოლო მუშების მიმართ ლენინი საჭიროთ სთვლიდა შეღავათების გავრცელებას მხოლოდ იმ მუშებზე, რომელთაც ფაქტიურ მუშებად დიდ სამრეწველო წარმოებებში ათ წელზე ნაკლები არ გაუტარებიათ. ლენინი გვაფრთხილებდა: „ხშირად მუშების კატეგორიაში ხვდებიან ნამდვილი წვრილი ბურჟუები, რომელნიც შემთხვევით, ძალიან მოკლე ვადით გამხდარან მუშებად. ყველა ჭკვიანი თეთრგვარდიელი სავსებით ნათლად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი პარტიის პროლეტარული ხასიათი სრულებით არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ იგი დასძლიონ წვრილ - ბურჟუაზიულმა ელემენტებმა, ამასთან სრულიად მოკლე ხანში“.

ლენინი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ დიდათ გაფართოვებულიყო პარტიის რიცხობრივი შემადგენლობა. იგი წინადადებას იძლეოდა, შეგვემუშავებია საგანგებო ზომები, რომელიც შეუძლებელს გახდიდა პარტიის შერყვნას წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტებით, თუნდაც მუშათა შემადგენლობის სახელით. ამხ. მოლოტოვთან გაგზავნილ ამ ორ თავის წერილში ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ძველი, პარტიული გვარდიის როლს. მან გვიანდერძა — გაუფრთხილდეთ „იმ დიადი ფენის უდიდეს და უსაზღვრო ავტორიტეტს, რომელსაც ძველ პარტიულ გვარდიას ვუწოდებთ“. იმ შემთხვევაში, თუ პარტიაში დაქსაქსულობამ იჩინა თავი, „საკმაოა პატარა შინაგანი ბრძოლა ამ ფენაში, რომ მისი ავტორიტეტი, თუ მთლად არა, იმდენად მაინც შესუსტდეს, რომ გადაწყვეტილება უკვე მისგან აღარ იყოს დამოკიდებული“ (მე-14 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, ამხ. ტომსკის სიტყვა, გვერდი 285-287).

აი რატომ არ მოითხოვა ლენინმა 1922 წელს, პარტიის მე-11 ყრილობაზე, პარტიის წმენდა უახლოეს ხანში:

„მე არ მოვითხოვ პარტიის ახალ გენერალურ წმენდას, რადგან, ვფიქრობ, ეს ეხლა პრაქტიკულად განუხორციელებელია; მაგრამ საჭიროა რაიმე საშუალების გამოძებნა პარტიის ფაქტიური წმენდისათვის, ე. ი. მისი შემადგენლობის შემცირებისათვის. თუ ჩვენ ამას ჩავუკვირდებით, დარწმუნებული ვარ, შეიძლება გამოიძებნოს სხვადასხვა შესაფერი ზომები“. ასეთ ზომებად ლენინს მიაჩნდა საკანდიდატო სტაჟის გადიდება და, მეტადრე, დაწვრილებით გამორკვევა იმისა, თუ რითი უნდა გამოიხატებოდეს საკანდიდატო სტაჟის გავლა, როგორ უნდა შევამოწმოთ — სათანადოდ არის თუ არა გავლილი საკანდიდატო სტაჟი. უნდა შეიქმნას კვალიფიციური უმრავლესობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც პარტიის ახალი წევრების მიღების საკითხს სწყვეტენ, უნდა უზრუნველყოფილ იქნას საკონტროლო კომისიების მონაწილეობა ახალი წევრების მიღების საკითხის გადაწყვეტაში „და კიდევ რამე ზომები შევიმუშავოთ, რომ გაადვილდეს პარტიის განთავისუფლება იმ წევრებისაგან, რომლებიც სრულებითაც არ არიან პროლეტარული პოლიტიკის შეგნებულად გამტარებელი კომუნისტები“.

როგორ უნდა გავწმინდოთ პარტია; ვინ უნდა შეამოწმოს პარტია, რა თვალსაზრისით უნდა შევამოწმოთ, ვინ [illegible] უნდა [illegible] პარტიიდან და რა [illegible] უნდა [illegible]დოთ? ჩვენი პარტიის პირველი ხელახალი რეგისტრაცია მოხდა 1919 წლის შემოდგომაზე, როდესაც მძაფრი სამოქალაქო ომი სწარმოებდა და მრისხანე საფრთხე დასტრიალებდა საბჭოების ქვეყანასა და კომუნისტურ პარტიას, როდესაც რევოლუციის ერთგული პროლეტარული მასა მზად იყო სული დაელია კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, როდესაც კომუნისტს ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი სდარაჯობდა. პროლეტარულმა მასამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ახალი ძალები შემატოს კომუნისტური პარტიის რიგებს და შესცვალოს დაღლილნი, გახრწნილნი, მიტმასნებულნი და პარტიისათვის უცხო ელემენტები, რომლებსაც პარტია თავისი რიგებიდან ერეკება. ამ ხელახალმა რეგისტრაციამ გასცხრილა პარტიის შემადგენლობის დაახლოვებით ერთი მესამედი.

1921 წლის წმენდაც დიდ სიძნელეთა მომენტში მოხდა: ახლად დამთავრებული დისკუსიის დაღი რამდენიმე თვის განმავლობაში ემჩნეოდა პარტიას, ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო პარტიის ბრძოლა ფრაქციულ ჯგუფებთან წინააღმდეგ, ჯერ დამთავრებული არ იყო სამოქალაქო ომი და უდიდესი ნგრევა, სწარმოებდა პირველი მტკივნეული გადასვლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე და უკან დახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზით, როდესაც, როგორც ყოველთ უკან დახევის დროს ხდება ხოლმე, ჩნდებიან პანიკიორები, რომლებსაც არა სწამთ პარტიის საქმის წარმატება და მუშათა კლასის გამარჯვება. პარტიამ მაშინაც განითავისუფლა თავი შემადგენლობის ერთი მეხამედისაგან და შეიმატა ახალი ცოცხალი პროლეტარული ძალები. რაკი პარტიაში ახლად შესულთა ღირსებისა და სოციალური შემადგენლობის საკმაო კონტროლი არ სწარმოებდა, ახალ ცოცხალ პროლეტარულ ძალებთან ერთად პარტიაში შევიდნენ სიმტკიცეს მოკლებული ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიის მიდრეკილებას. ეს დაგვიმტკიცა მერყეობამ უმაღლეს სასწავლებელთა და საბჭოთა უჯრედებში ტროცკისტებთან დისკუსიის დროს 1923-24 წელს. საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების წმენდამ დაგვანახვა, თუ ვისგან შესდგებოდნენ ეს მერყევი ელემენტები: ესენი იყვნენ უმთავრესად წვრილ - ბურჟუაზიული წრიდან გამოსულნი.

1925 წელს პარტიამ მოახდინა სასოფლო უჯრედების ერთი ნაწილის შემოწმება. უკვე ამ შემოწმების დროს ცხადი გახდა, რომ უახლოეს წლებში გვერდს ვერ აუხვევდით ჩვენი პარტიის რიგების უფრო სერიოზულ შემოწმებას სოფლის ორგანიზაციებში, სადაც სოციალური შემადგენლობა გაცილებით უარესია, ვიდრე ქალაქის პროლეტარულ ორგანიზაციებში, პარტიული კონტროლი უფრო სუსტია, პოლიტიკური ცხოვრება უფრო შეზღუდული და მწირია.

ლენინი ერთმანეთს არ აშორებდა პარტიის წმენდის ამოცანებს და ახალი პროლეტარული ძალებით მისი შევსების ამოცანებს. ის ამ ამოცანას უკავშირებდა ახალი სიძნელეების დაძლევას, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის გზაზე წარმოიშვნენ, იგი მიაჩნდა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების დაძლევის საშუალებად, პარტიის გაწმენდის გზად უცხო ელემენტებისაგან, რომლებიც არამც თუ ხელს არ შეუწყობენ მუშათა სახელმწიფოს სიმახინჯეებთან ბრძოლას, არამედ ხელს უწყობენ ამ სიმახინჯეების გაძლიერებას. ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმმაც პარტიის წმენდის საკითხი ამ თვალსაზრისით წამოაყენა. უნდა სწარმოებდეს მუშათა მიზიდვის პროცესი, რომლის მიზანი იქნება სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, და ამავე დროს პარტიის წმენდამ უნდა გააუმჯობესოს ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობა იმ თვალსაზრისით, რომ განმტკიცდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი პარტიაში, გაძლიერდეს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან და შეიქმნას ახალი კადრები, რომლებსაც შეეძლებათ „ბუმბერაზული ნაბიჯით წასწიონ წინ ქალაქისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმე“.

საჭიროა, მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობდეს იმ დიდმნიშვნელოვან მითითებათა ხაზით, რომლებიც ლენინმა მოგვცა, ლენინი კი ჩვენი პარტიული რიგების სიწმინდისათვის ზრუნვას, პარტიის იდეოლოგიური და მორალური დონის ამაღლებისათვის ზრუნვას პირველ ადგილზე აყენებდა. ლენინს პროლეტარიატის პარტია მიაჩნდა მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდად, რომელიც შესდგება მუშათა კლასის ყველაზე შეგნებულ, რევოლუციონურ, კომუნიზმის ერთგულ წარმომადგენლებისაგან. წმენდამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიას, რომ იგი სწორედ ასეთ პარტიად გადაიქცეს და ყველაფერი, რაც ამ საქმეს ხელს უშლის, თავიდან მოიშოროს.

ე. იაროსლავსკი

ესპანეთში მღელვარება გრძელდება

პარიზი, 8 თებერვალი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება:

„გამოქვეყნებულია მთავრობის ცნობა იმის შესახებ, რომ ვალენსიაში შაბათს რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო. ესპანეთის მთავრობამ ვალენსიაში გაგზავნა გენერალი სანხურიო, რომელიც დიქტატორიული უფლებებით არის აღჭურვილი. ხმების მიხედვით, ვალენსიაში მოხდა შემდეგი ამბავი: ვალენსიის გარნიზონის ნაწილი ერთი გენერალის მეთაურობით შეეცადა ამ დღეებში დაპატიმრებულ გერას განთავისუფლებას. გერა ესპანეთში ამას წინად მომხდარ აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, აჯანყებულებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს თავიანთი განზრახვა, რადგან მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ მთავრობის ერთგული ჯარის ნაწილები.

როგორც იუწყებიან, შექმნილი მდგომარეობის გამო გერას უზენაესი ტრიბუნალი გაასამართლებს. (ადს).

აჯანყება ჩააქრეს

პარიზი, 8 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „გაზეთი „მატენ“-ის მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, ვალენსიის გარნიზონის მეტი ნაწილი მთავრობის ერთგული გამოდგა; აჯანყება შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს“. (ადს).

ლებემ განკარგულება „გააუქმა“

ბერლინი, 8 თებერვალი. რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ (სოციალ-დემოკრატი) გააუქმა თავისი განკარგულება იმის შესახებ, რომ კომფრაქციის ბილეთები არ მისცემოდა რეიხსტაგში სტუმრების შესაყვანად. **მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ ლებე იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი განკარგულება, რადგან ამ განკარგულებამ აღაშფოთა მუშათა ფართო წრეები, მეტადრე უმუშევარნი.** (ადს).

უკრაინული გაზეთის დახურვა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 3 თებერვალი. პოლიციამ სასამართლო ხელისუფლების დავალების გარეშე ბრძანებით პოდკარპატსკაია რუსში ერთად-ერთი უპარტიო უკრაინული ყოველკვირეული გაზეთი „ნაშა სემია“, რომელიც ორი წლის განმავლობაში გამოდიოდა და რომლის კონფისკაცია არც ერთხელ არ მომხდარა. გაზეთის დახურვას პოლიცია ასაბუთებს იმით, რომ „შესაძლებელი იყო ამ გაზეთს ამას წინად დახურული კომუნისტური ორგანოს „კარპატსკაია პრავდა“-ს მაგიერობა გაეწია“. (ადს).

6.900,000 მანეთი ამიერ-კავკასიის საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის

მოსკოვი, 4 თებერვალი. ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა განაწილა ამ.-კავკასიის კრედიტები საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის. კომუნალური მშენებლობისათვის გადადებულია 1,400.000 მანეთი. გარდა ამისა, ქალაქ თბილისს ნატახტარის წყალსადენის ასაგებად მიეცემა 500.000 მანეთი.

საკურორტო მშენებლობისათვის გადადებულია 150.000 მანეთი. საბინაო მშენებლობისათვის სულ გადაიდება 4.850.000 მანეთი. ამ თანხიდან რესპუბლიკანურ და ადგილობრივ მრეწველობას მიეცემა 1.300.000 მანეთი, აღმასკომებს—2.600.000 მანეთი, საბინაო კოოპერაციას — 850.000 მანეთი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობისათვის გადადებულია 100.000 მანეთი.

ქართული მენშევიზმის წარსულიდან

ჩვენ ვეწევით უკანასკნელ, გამანადგურებელ ბრძოლას ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მიმართულია არა მხოლოდ ამა თუ იმ მენშევიკური ფრაქციის წინააღმდეგ, არამედ ყოველგვარი, ყოველი ფერის და ჯურის მენშევიზმის, ნახევრათ მენშევიზმის, მენშევიკური გადახრის და სხვ. წინააღმდეგ. ბრძოლის ფორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს, — შინაარსი, მთავარი გეზი კი ერთია.

ამავე დროს ჩვენ ვხვდებით ფრიად გასაკვირველი ამბავის მოწამენი: ჩვენს პარტიის ირგვლივ, ნაწილობრივ თვით პარტიაშიც არიან ელემენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ 1917 წლამდე მენშევიზმი კარგი იყო, მხოლოდ შემდეგ გაფუჭდაო. ერთი სიტყვით, თქმულების თანახმათ: შარშან ჩემი შვილი ცხენს გააჭენებდა, დღეს კი; კარზეც ვერ გადისო.

არ არის ეს მართალი! მარქსისტული, პროლეტარული ბრძოლის „ცხენს“ მენშევიზმი საერთოდ, ქართული მენშევიზმი განსაკუთრებით, არასოდეს არ აჭენებდა. ნ. ჟორდანია მართალი იყო, როდესაც თავის ნაწერების კრებულის პირველი ტომის წინასიტყვაობაში განაცხადა:

— „უკანასკნელ ტომში შევა ჩემი მოხსენებები და სიტყვები, რევოლუციის ხანაში წარმოთქმულნი. ვინც პირველი ტომის პირველ საპროგრამო წერილს შეუფარდებს უკანასკნელ ტომს, ის აშკარათ დაინახავს მათ შორის მჭიდრო კავშირს, დაინახავს ოცდა შვიდი წლის წინეთ დაწერილი გეგმის დღეს განხორციელებას“. (ხაზი ჩვენია, ი. მ.).

ლეგენდებს ქართული მენშევიზმის წარსულის შესახებ ბოლო უნდა მოეღოს. ყოვლათ შეუწყნარებელია, როდესაც ი. კაკაბაძე ჩვენს მიერ გამოცემულ ჟორდანიას წერილების კრებულის წინასიტყვაობაში ნაციონალურ კითხვაზე სწერს:

— „მკითხველს, რომელსაც სურს ნაციონალური კითხვის შესწავლა, ვურჩევთ გულდასმით შეისწავლოს ეს წიგნი და შეადაროს ჟორდანია — მარქსისტი (1918 წლამდის) ჟორდანია — ნაციონალისტს (1918 წლის შემდეგ.) (იხ. ნ. ჟორდანია: ეროვნული კითხვა. თბილისი, 22 წ.).

ამგვარათ, ჟორდანია „მარქსისტი“ ყოფილა 1918 წლამდის! „მარქსისტი“ ყოფილა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ომის ხანაში, როდესაც იგი წმინდა სოციალ - იმპერიალისტი იყო, „მარქსისტი“ ყოფილა 1917 წელს, როდესაც ქართველ თავად-აზნაურებსა და ბურჟუაზიის „ეროვნულ საბჭოს“ მეთაურობდა!

ჟორდანიას კრებული, რომლიდგანაც, კაკაბაძის აზრით, ჩვენმა მკითხველმა ნაციონალურ კითხვაზე „მარქსისტული“ მიდგომა უნდა ისწავლოს, იწყება წმინდა ნაციონალ - დემოკრატიული წერილით: „ეკონომიური. წარმატება და ეროვნობა“. ამ წერილში მარქსიზმის ლანდიც არ არის. ეს გახლავთ ის საპროგრამო წერილი, რომელსაც ჟორდანია 1920 წელს თავის წინასიტყვაობაში „მჭიდროთ უკავშირებდა“ თავის მოღვაწეობას „1918 წლის შემდეგ“. ამ წინასიტყვაობაში ჟორდანია სწერდა:

—..„მეხუთე ხანაა დიდი რევოლუცია, როცა მე სრულიად ახალაფერი მიწერია და სამაგიეროთ წილათ მხვდა პრაქტიკულათ მემუშავა ცხოვრებაში გასატარებლათ იმ პრინციპებისა, რასაც წინეთ ვიცავდი მწერლობაში“. (ხაზი ჩვენია, ი. მ.).

ამ შემთხვევაში ქართული მენშევიზმის ბელადი სრულებით მართალია. ჟორდანია არ გამოცვლილა, — არ გამოცვლილა მისი პარტიაც. 1905 წლის რევოლუციამ ისინი ძალაუნებურად ცოტათი მარცხნით გადახარა. ამიტომ შესაძლებელი გახდა ბოლშევიკების და მენშევიკების ერთ დროს ერთ პარტიაში ყოფნა, თუმცა არსებითად მაშინაც ეს ორი პარტია იყო ფორმალურათ ერთი პარტიის ფარგლებში...

გრიგოლ გიორგაძის წიგნი: „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“ (სახელგამი, 1928 წ.) წარმოადგენს „ჟორდანიზმის“ სრულ აპოლოგიას. ჟორდანია, ჯიბლაძე და სხვ. იყვნენ ნამდვილი მარქსისტები, რევოლუციონერები, ინტერნაციონალისტები, იდგნენ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და სხვ., — ამბობს ავტორი.

გიორგაძეს მოჰყავს ამხ. ფ. მახარაძის აზრი იმის შესახებ, რომ ჟორდანია ოპორტუნისტი იყოვო. მაგრამ ეს ისე, „სინდისის გასაწმენდათ“ აქვს ავტორს დაშვებული, — არსებითად კი მის წიგნთან მახარაძის ციტატას არავითარი კავშირი არა აქვს. პირიქით, გიორგაძეს მოჰყავს ჟორდანიას ნაწერებიდან აუარებელი ციტატები, რომლებიც, მისი აზრით, ამტკიცებენ ჟორდანიას მარქსისტობას. ნამდვილათ კი ჟორდანიას „სანიმუშო“ მასალა ლიბერალურია, სტრუვისტული, და არასოდეს მარქსისტული...

ერთი სიტყვით, ქართული მენშევიზმის წარსული, განსაკუთრებით, მისი დასაწყისი, პირველი წყარო — დღემდის თითქმის შეუსწავლელი და მარქსისტულათ გაუშუქებელია. ჩვენ ასე თუ ისე ვიცით, როგორ მოქმედებდა ის პირველ რევოლუციაში. ამხ. ფ. მახარაძის შრომა: „1905 წელი ამიერ - კავკასიაში“ - ამ მხრით იძლევა მასალას. ჩვენ ვიცნობთ მენშევიზმს 1917 წლიდან, მაგრამ მენშევიზმი 1905 წლამდი, მენშევიზმი რეაქციისა და ომის ხანაში თითქმის სრულებით გამოუკვლეველია. ზოგიერთ მასალას მენშევიზმის დასაწყისის შესახებ ნაწილობრივ იძლევა **ხიმშ ხუნდაძე** თავის წიგნაკში: „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“. მაგრამ ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი..

⁂

ამჟამათ ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ქართულ მენშევიზმზე რეაქციის ხანაში. „რევოლუციის მატიანეს“ ერთ - ერთ ძველ ნომერში ჩვენ შემდეგი განსაცვიფრებელი სტრიქონები ამოვიკითხეთ:

— „პარტიულობის და არალეგალური აპარატის დამცველათ რუსეთში ლენინთან ერთად პლეხანოვიც დიდი ენერგიით გამოვიდა.. საქართველოში,. თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატია დადგა „პარტიულობის“ პოზიციაზე... ჟორდანიამ ერთ დროს შინაფერი თეორიაც შეთხზა: მენშევიზმ - ბოლშევიზმის სინთეზი... მართალია, მენშევიკები ჩვენშიაც უფრო ლეგალობისაკენ იხრებოდნენ, ვიდრე არალეგალობისაკენ. ისინი უფრო ლეგალურ შესაძლებლობის გამოყენებას და სახელმწიფო დუმაში მოღვაწეობას ეწეოდნენ, ვიდრე არალეგალურ აპარატზე მუშაობას, მაგრამ მათ საქვეყნოთ ლიკვიდატორობისათვის თანამოაზრეობა აშკარათ არ გამოუცხადებიათ. მართალია, ჩვენი მენშევიკებიც დიდათ აფასებდნენ დანს, ლიკვიდატორების ბელადს, მაგრამ არა მისი ლიკვიდატორობისათვის, არამედ მისი ძველი პარტიული მოღვაწეობისა და ნიჭისათვის“.

ასე იყო ნათქვამი „რევ. მატიანეში“ № 3, 1925 წლ., რ. კალაძის წერილში. რ. კალაძე ამბობს, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბოლშევიკები და მენშევიკები კიდევ დიდხანს ერთად თანამშრომლობდნენ. ის იგონებს, ფ. მახარაძე და კობა სტალინი მაშინდელ სოციალ - დემოკრატიულ გაზეთებში — „ელვა“-ში და „ტალღა“-ში თანამშრომლობდნენ...

ერთი სიტყვით, ქართველი მენშევიკები რეაქციის ხანაშიც კი, როდესაც რუსეთის მენშევიზმი ლიკვიდატორობის გზას დაადგა, არ იყო მაინც და მაინც ცუდიო! ეს ყოვლად შეუსაბამო ლეგენდა მეტის - მეტათ მავნეა. ეს პოლიტიკური დახმარების გაწევაა მენშევიზმისთვის. ამ განწირულ პარტიის ნაშთებს შორის ადვილათ მოინახება ჯგუფი, რომელიც დიდი სიამოვნებით წყევა - კრულვით მოიხსენიებს ჟორდანიას „1918 წლის შემდეგ“, ოღონდ მიეცით მას ისეთი რამ მენშევიზმის წარსულიდან, რასაც შეიძლება ხელი ჩასჭიდოს და დროებით მაინც ფეხი მოიმაგროს...

მეცნიერულ - ფაქტიური მხრით, კალაძის მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. რეაქციის ხანაში ქართული მენშევიზმი სავსებით იდგა ლიკვიდატორობისა და რენეგატობის ნიადაგზე. იგი სასწრაფოთ ითავისუფლებდა თავს იმ „უღლისაგან“, რომელიც იძულებული იყო ასე თუ ისე ეტარებინა რევოლუციის ხანაში უმაღლესი მოძრაობის ზეგავლენით ამ მხრით ის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის პირწავარდნილ ლიკვიდატორებს.

მაგრამ ქართველ მენშევიკებს — ამბობს კალაძე — „საქვეყნოდ ლიკვიდატორებისთვის თანამოაზრეობა აშკარათ არ გამოუცხადებიათო“. მერე განა უეჭველათ საჭიროა „აშკარათ გამოცხადება?“ განა არ არის საკმარისი ფაქტიური ლიკვიდატორობა? განა რევოლუციისთვის უკეთესი არ იქნებოდა, რომ მენშევიკებს პირდაპირ, „აშკარათ“ ეთქვათ: ჩვენ ვსწავავთ ყოველივე მას, რასაც რევოლუციასთან ქონდა კავშირი, ჩვენ ვანებებთ თავს რევოლუციონურ ბრძოლასო?

„აშკარათ გამოცხადება!“ საქმეც იმაშია, რომ არც ქართველი მენშევიკები, არც „ნიჭიერი“ დანი, არც მარტოვი „აშკარათ“ ლიკვიდატორობის დამცველათ არ გამოსულან.. ლენინი, შემდეგ პლეხანოვი იძულებული იყვნენ დიდი დრო დაეკარგათ იმის მტკიცებაში, რომ მარტოვ - დანის ჯგუფი ლიკვიდატორული ჯგუფია. აქ, თბილისში, ჩვენც გვიხდებოდა ამგვარი მუშაობა გაგვეწია. „რევ. მატიანეს“ მორიგ ნომერში იბეჭდება გაზეთ „თბილისის პროლეტარის“ ორი ნომერი. ვინც მას გაეცნობა, მისთვის ცხადი იქნება, იყვნენ თუ არა ქართველი მენშევიკები ლიკვიდატორები, და თუ იყვნენ, რატომ ეს მათ „აშკარათ არ გამოუცხადებიათ“. „თბ. პროლეტარი“-ს მეორე №-ში ჩვენ, სხვათა შორის, ვსწერდით:

— „ალ. მოსკოვსკიმ „არ იცის“ „Голос социал-демократа“-ს მიმართულება და ეკითხება მას ამის შესახებ. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს გაზეთი ლიკვიდატორული მიმართულებისაა, სამაგიეროთ „არ ვიცით“ რა მიმართულებისა არიან აქაური მენშევიკები და ვეკითხებით მათ: ვის მხარეზე არიან ისინი — „Голос социал-демократа“-ს თუ პლეხანოვისა? ამ შეკითხვაზე ჩვენ არავითარი გარკვეული პასუხი არ მიგვიღია. საეჭვოა, რომ ალ. მოსკოვსკიმაც მიიღოს რაიმე პასუხი სინამდვილეში „Голос социал-демократа“ („სოც. - დემოკრატის ხმა“) მუდამ იქნება ლიკვიდატორების ხმა, მაგრამ ამას აშკარათ არასოდეს არ განაცხადებს. სინამდვილეში აქაური მენშევიკები მუდამ იქნებიან „Голос социал-демократа“-ს მხარეზე, მაგრამ ისინიც ამას აშკარათ არ გამოაცხადებენ“. („თბ. პროლეტარი“, № 2, „პარტიული პრესიდან“).

ეს სტრიქონები დაწერილია ცხრამეტი წლის წინად. მართალი გითხრათ, მე მაშინ არ მეგონა, თუ ამდენი ხანი გავიდოდა და ვინმე ლაპარაკს დაიწყებდა იმის შესახებ, რომ რაკი ქართველმა მენშევიკებმა „აშკარათ არ გამოაცხადეს“ თავის თავი ლიკვიდატორებათ, — მაშასადამე არც ყოფილან ლიკვიდატორებიო! საინტერესოა ერთი წვრილმანი: რ. კალაძის ეხლანდელ და მაშინდელ ჩემს წერილში ერთი და იგივე ფრაზაა: „აშკარათ არ გამოაცხადებენ!“...

როგორი იყო სინამდვილეში ქართული მენშევიზმის პოზიცია რეაქციის ხანაში? როგორი დამოკიდებულება არსებობდა ამ დროს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის? კალაძე ერთმანეთში ურევს სხვადასხვა პერიოდებს. „მახარაძე და სტალინი თანამშრომლობდნენ „განთიადში“ და „ლამპარში“ 1906 წლის გაზაფხულზე. რევოლუციის გავლენა მაშინ, ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მენშევიკები მემარცხენეობდნენ. სტოკჰოლმის პარტიული ყრილობის შემდეგ ბოლშევიკები ოფიციალურ, საერთო გაზეთებში მენშევიკებთან ერთად აღარ თანამშრომლობდნენ. პირველი დუმის დროს (აპრილი — ივნისი 1906 წ.) ბოლშევიკებს მოკლე ხნით ჰქონდათ საკუთარი ყოველდღიური გაზეთი „ხმა“. 1906 წლის შემოდგომაზე ფრაქციული ბრძოლა გამწვავებულია. ბოლშევიკები ხელში იგდებენ პროფ. კავშირების ბიუროს, მათი ხელმძღვანელობით გამოდის პროფესიონალური ყოველკვირეული გაზეთი „ახალი ქვეყანა“.

1907 წლის დასაწყისს „ბოლშევიკები“ სცემენ ყოველდღიურ გაზეთ „დრო“-ს. მეორე დუმის საარჩევნო კამპანია, ლონდონის პარტიული ყრილობის არჩევნები — ყველა ეს ფრაქციულ განხეთქილებას აღრმავებს და ბრძოლას უკიდურესათ ამძაფრებს..

ჟორდანიამ „შეთხზა მენშევიზმ-ბოლშევიზმის სინთეზი“.. 1914 წელს, ესე იგი იმ დროს, როდესაც რეაქციის ხანა უკვე განვლილი იყო, როდესაც მუშათა მოძრაობა კვლავ გაძლიერდა, პროლეტარული ბრძოლის ხელმძღვანელობა აშკარათ ბოლშევიკების ხელში იყო, ლიკვიდატორები კი გარიყულნი დარჩნენ. აი, მხოლოდ მაშინ დაიწყო ჟორდანიამ მასლაათი იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები „ძმები“ არიან, — ერთი ძლიერია თეორიაში, მეორე — პრაქტიკაში, — ერთად კი ორივე ძალიან მაგარი იქნებიანო!

1909 წლის აგვისტოში პლეხანოვი თავის „დღიურში“ (№ 9), „Голос социал-демократа“-ში ნოე რამიშვილის („С“.) ლიკვიდატორული წერილის საპასუხოთ, სხვათა შორის, ამბობდა:

— „ტაქტიკა, რომელსაც ამ შემთხვევაში მენშევიკები მისდევენ, არის თვითმკვლელობის ტაქტიკა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ის მათ უქადის მას, რომ მათი გავლენა პარტიაში არარათ გადაიქცევა, მათი ანტაგონისტების გავლენა კი დაუძლეველი გახდება. განა ეს სიგიჟე არ არის?... თუ მენშევიკებს გავლენა არ ექნებათ პარტიაში — მათ არც ფართო მუშათა ორგანიზაციებში ექნებათ გავლენა“. (Сочин. том XIX, стр. 13).

ეს პლეხანოვის წინასწარმეტყველება მენშევიკებს ძალიან ჩქარა გაუმართლდათ. უკვე 1913 წელს ბევრმა მათგანმა, და მათ შორის ჟორდანიამაც, შეამჩნია, რომ ლიკვიდატორობა პარტიაში ნიშნავს „ფართო მუშათა ორგანიზაციებში“ გავლენის დაკარგვას. აღმოჩნდა, რომ, მიუხედავათ დიდი ტრაბახობისა და ბაქი - ბუქობისა, ლიკვიდატორებმა ვერ შექმნეს ახალი პარტია, ვერ მოექცნენ სათავეში მუშათა მოძრაობას. აღმოჩნდა, რომ მუშათა მოძრაობის საჭე „ძველი“ პარტიის ხელშია, იმ პარტიის, რომელიც არა ერთხელ იყო სხვადასხვა ჯურის რენეგატების მიერ „დამარხული“.

აი ამ ფაქტმა დააფიქრა ზოგიერთი მენშევიკი, მათ შორის ჟორდანიაც. 1913 წელს მან ერთი - ორი წერილიც მოათავსა ლიკვიდატორების ცენტრალურ ორგანო „Луч“-ში ზოგიერთ მეტის - მეტათ „აშკარა“ ლიკვიდატორულ წერილების საწინააღმდეგოთ. 1914 წელს კი, ტროცკის ჟურნალ „Борьба“-ში, ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავის „თეორია“ ბოლშევიზმ - მენშევიზმის „სინთეზის“ შესახებ. ის არც კი მალავდა, თუ რა პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია ეს „თეორია“. ვერა ხედავთო—ჰუნებოდა ის მენშევიკებს — პეტერბურგში ბოლშევიკებმა „ხელთ ჩაიგდეს თითქმის ყველა ლეგალური მუშათა ორგანიზაციებიო“. („Они ведь овладели почти всеми легальными рабочими организациями“).

დამეთანხმებით, როცა ამნაირი ფაქტის წინაშე დგეხარ, უნებლიეთ დაიწყებ „თეორიების“ „თხზვას“ „სინთეზზე“ და ძმობა - ამხანაგობაზე..

მაგრამ, ვიმეორებ, ეს იყო უკვე იმ დროს, როცა რეაქციის ხანა განვლილი იყო, ლიკვიდატორობა უკვე გაკოტრებული. 1912 წელს შეკრული „აგვისტოს ბლოკი“ დარღვეული იყო. ლიკვიდატორებს ჩამოშორდნენ ლატიშები, ბუნდელები, ტროცკის ჯგუფი, ბოლოს იძულებული იყვნენ განზე გადგომოდნენ ქართველი მენშევიკებიც.

დავუბრუნდეთ იმ დროს, როდესაც პოლიტიკური რეაქცია გამაგრდა და სოციალ - დემოკრატიის ერთი ნაწილი შედგა ლიკვიდატორობისა და რენეგატობის გზაზე. განვიხილოთ მოკლეთ ქართველი მენშევიკების მოქმედება ამ პერიოდში.

1908 წლის ივნისში თბილისის ბოლშევიკების ორგანო „Борьба“ (რედაქტორი — ბ. ნანეიშვილი) სწერდა:

— „ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წევრებმა თითქმის არაფერი არ იციან თავისი პარტიის ცხოვრებაზე. ბევრმა პარტიულმა ამხანაგმა ისიც კი არ იცის, არსებობს თუ არა რუსეთში რაიმე პარტიული ორგანიზაცია... ამჟამათ პარტიული ცხოვრების დამახასიათებელია მენშევიზმის თანდათანობითი დასუსტება და ბოლშევიზმის გადამჭრელი გამარჯვება. პარტიული ცხოვრების გაცნობა ნიშნავს ამ ახალ მოვლენის გაცნობას და, რასაკვირველია, საოლქო კომიტეტი თბილისის კოლექტივი და სხვ. განგებ მალავდენ საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას. ფრაქციულობა იქამდის მიდის, რომ ადგილობრივ ენებზე არ გამოუციათ ლონდონის პარტიული ყრილობის რეზოლუციები, მესამე დუმის არჩევნების დროს საჭიროთ არ დაინახეს პარტიული საარჩევნო პლატფორმის გამოცემა, არ ბეჭდავენ ცეკას რეზოლუციებს პროფკავშირებისა და კოოპერატივების შესახებ, არ გადაეცემდეს ცეკას სამაისო ფურცელი, არც ერთი ცეკას წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი. ამავე დროს ქვეშ-ქვეშათ ავრცელებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი პარტიული ორგანიზაცია. საჭიროა თვით მუშებმა მოუღონ ბოლო ამ არანორმალურ მდგომარეობას“.

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეხვდნენ ქართველი მენშევიკები რეაქციის გამეფებას პარტიულ - ორგანიზაციულ სფეროში, მათი მოქმედება ფაქტიურათ ეს იყო ბოიკოტი ცენტრალური პარტიული ორგანოებისა, ეს იყო არალეგალური ორგანიზაციის, როგორც პოლიტიკურათ მომქმედი და ხელმძღვანელი ერთეულის, ფაქტიური გაუქმება. თავისი მოქმედების ცენტრი მენშევიკებს გადაჰქონდათ ლეგალურ სარბიელზე. მთავარი მათთვის იმ ხანათ იყო ლეგალური ყოველდღიური გაზეთი, რადგან პროფკავშირები და კლუბები ჩვენში არ არსებობდნენ. რომ ეს სწორეთ ასე იყო, ეს შემდეგში დაამოწმა თვითონ ჟორდანიამ, უკვე ჩვენ მიერ ნახსენებ წინასიტყვაობაში ჟორდანია თავისი პარტიის მოღვაწეობას ყოფს ხუთ ხანათ და სწერს:

— „მესამე ხანა იწყება რევოლუციის დამარცხებით, 1906 წლიდან, და თავდება მსოფლიო ომით, 1914 წლით. ამ ხანაში სოციალ - დემოკრატია ებრძვის მწერლობაში სოც. - ფედერალისტებს და პოლიტიკაში გამეფებულ რეაქციას. **ბრძოლის მთავარი ორგანოა ყოველდღიური გაზეთი**“. (ხაზი ჩვენია, ი. მ.)

ფედერალისტებთან საკამათოთ ვარგოდა ყოველ-დღიური გაზეთი. მაგრამ გამძაფრებულ რეაქციის ხანაში, სამხედრო და საალყო წესების ატმოსფერაში — როგორც პოლიტიკური ბრძოლის „მთავარი ორგანო“, ის ყოვლად გამოუსადეგარი იყო. რუსეთის პროლეტარიატს 1907 წლიდან, 1912 წლამდე არ ქონია თავისი ყოველდღიური გაზეთი, რადგან რეაქცია არავითარ საშუალებას არ აძლევდა მას აშკარა პოლიტიკური ბრძოლა ეწარმოებია. ქართველ მენშევიკებს ასეთი გაზეთი ქონდათ. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ისინი ისეთი კაი ბიჭები იყვნენ, რომ მათ რეაქცია ვერაფერს ვერ უბედავდა, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქართველი მენშევიკები ვერ უბედავდნენ რეაქციას ნამდვილ პოლიტიკურ, რევოლუციონურ წინააღმდეგობას. „ბრძოლის მთავარი ორგანოა ყოველ-დღიური გაზეთი“ იმიტომ, რომ მენშევიზმი სდგას რეაქციასთან ასე თუ ისე შეგუების გზაზე, რევოლუციონური პოზიციის უარყოფის ნიადაგზე.

პარტიაში

ბანკეტების და საჩუქრების წინააღმდეგ

საქ. კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის სადირექტივო წერილი

მოსკოვი, 4 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიამ და საკავშირო კომპარტიის (ბ) და ეროვნული კომპარტიების ყველა კომიტეტს და საკონტროლო კომისიას მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დაუშვებელია საზოგადო თანხების ხარჯვა საჩუქრებისა და ბანკეტებისათვის.

უკანასკნელ დროს,—ნათქვამია წერილში,—ყველგან საბჭოთა კავშირში უფრო და უფრო ხშირდება სხვადასხვა საჩუქრების მიტანა როგორც ყრილობების და კონფერენციების მუშაობის დროს, ისე საზეიმო წლის თავის და სხვადასხვა ორგანიზაციებისა, წარმოებებისა და დაწესებულებების გახსნის დღეებში. ასეთი საჩუქრების დასამზადებლად უნაყოფოდ იხარჯება შრომა და თანხები. ზოგჯერ კი ეს საჩუქრები მზადდება ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საშუალებათა ხარჯზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისია, განსავითარებლად ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ცირკულიარისა (1928 წლ. 19 ოქტომბრის თარიღით № 58) ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებთან ბრძოლის შესახებ, წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციას მიიღოს სათანადო ზომები, იმისათვის, რომ მუშებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ გამოხატონ სოლიდარობის გრძნობა და აღნიშნონ ყრილობის, კონფერენციის, ან სხვადასხვა ორგანიზაციების, წარმოების, დაწესებულებების გახსნის დღე და სხ., ნებაყოფლობით, მაგრამ აუცილებლად ზედმეტ საათებში გაწეული შრომა ან კოლექტიურად შეგროვილი თანხები მოახმარონ ნამდვილ საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ყრილობების გახსნის და წლის თავების აღნიშვნა შეიძლება მოხდეს, მაგალითად, ამგვარად: კოლექტიურად ნაყიდი ტრაქტორი შეიძლება საჩუქრად მიეცეს ამა თუ იმ სოფელს, შეგროვილი ფულით შეიძლება მოეწყოს საბავშო ბაგები, მოხდეს სკოლების რემონტი, მოეწყოს საავადმყოფოები, გაყვანილ იქნას გზები, დაწესდეს სტიპენდიები და სხვა, ამასთანავე ამ საჩუქრებს შეიძლება ეწოდოს ყრილობის, ორგანიზაციის, წარმოების წლის თავის სახელი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისია წინადადებას აძლევს ყველა საკონტროლო კომისიას—თვალყური ადევნოს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იმ ცირკულიარის შესრულებას, რომლითაც აკრძალულია ყოველგვარი ბანკეტის გამართვა სახელმწიფო და საზოგადო ხარჯზე, საპატივსაცემო სალამოების გამართვა მუშაკებისათვის მათი იუბილეს და სხვა ადგილებზე გადაყვანის გამო, საჩუქრების მიტანა კომუნისტებისათვის და ძვირი ღირებულების საჩუქრების მიღება მათ მიერ. (ადს).

სომხეთის კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის რეზოლიუცია

ცეკას ანგარიშის გამო

ერევანი, 3 თებერვალი. მოისმინა რა ცეკას საანგარიშო მოხსენება, სომხეთის კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობა სცნობს, რომ (როგორც ეს აღნიშნეს სომხეთის კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციამ და ცეკას პლენუმებმა) პარტიის წინანდელმა ხელმძღვანელობამ თავის მუშაობაში დაუშვა მთელი რიგი უდიდესი პრინციპიალურ-პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც გამოიწვია ამ ხელმძღვანელობის მემარჯვენე-ნაციონალისტური გადახრა.

მე-6 ყრილობა, ერთხმად იწონებს რა ცეკას მე-4 (ივლისის) პლენუმის სათანადო გადაწყვეტილებებს, სცნობს, რომ ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ხაზი უშუალოდ იდგა საფრთხის წინაშე და ამიტომ სავსებით სწორი და აბსოლუტურად აუცილებელი იყო ცეკას მე-3 (აპრილის) პლენუმის გადაწყვეტილება ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. ამავე დროს მე-6 ყრილობა სავსებით იწონებს ყველა საორგანიზაციო ღონისძიებებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ცეკამ მიიღეს ხელმძღვანელობის შეცვლასთან დაკავშირებით.

ყრილობა სავსებით იწონებს ცეკას (ახალი შემადგენლობის) მოქმედებას, რაიც გამოიხატა ერთის მხრით იმაში, რომ მან პრინციპიალური მკაფიო პოლიტიკური ხაზი გაატარა მე-15 პარტყრილობის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმების გადაწყვეტილებათა ნიადაგზე ჩვენი მშენებლობის ყოველ დარგში (მრეწველობის, სოფლად მუშაობის, იდეოლოგიურ ფრონტზე, შინაპარტიული დემოკრატიის, თვითკრიტიკის დარგში, გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში მასიურ მუშაობაში. ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობაში და სხვ.), და მეორეს მხრით იმაში, რომ გაიშალა ფართო პრაქტიკული მუშაობა, რაიც გამომდინარეობდა აღნიშნული ხაზიდან, რომელმაც სრული გარდატეხა მოახდინა ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცეკას სწორმა პოლიტიკამ უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში უზრუნველყო პარტიის რიგების განმტკიცება და მონოლიტობა ცეკას ირგვლივ, ასწია ორგანიზაციის პოლიტიკური დონე და გამოაცოცხლა შინაპარტიული ცხოვრება. სწორი პოლიტიკის მეოხებით ახალმა ხელმძღვანელობამ შესძლო მთელი ორგანიზაციის ყურადღების დროულად მიქცევა იმ ძირითად ამოცანებზე, რომლებიც სოციალისტური გახვითარების ტემპის აჩქარების და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო დაისვა საკავშირო კომპარტიის (ბ) წინაშე და მაშასადამე ერთ-ერთი მისი რაზმის—სომხეთის კომპარტიის (ბ) წინაშეც. ეს ამოცანები, ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ინდუსტრიალიზაციის ეხლანდელი ტემპის შენარჩუნება და გაძლიერება, სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმე და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაბედულად გაშლა.

ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით უსვამს ხაზს, რომ ცეკამ არ შეასუსტა ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ და ამავე დროს სათანადო ნიადაგზე დააყენა მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წვრილბურჟუაზიული ანტილენინური რაზმის ახსნა-განმარტების საქმე. მე-6 ყრილობა სცნობს, რომ მე-4 და მე-5 პლენუმებმა სისწორით შეაფასეს შეცდომები, რომლებიც ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა იდეოლოგიურ ფრონტზე, და დაწვრილებით აღნიშნეს ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანები ამ ფრონტზე.

ყრილობა, სდგას რა გეგმიანი პრინციპის შეურყევლად გამოყენების თვალსაზრისზე, ესალმება ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას ამიერ-კავკასიის საზ. მეურნ. უმაღლესი საბჭო და ამით განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიური ბაზა და პრაქტიკულად გადაიდგას მთლიანი გეგმის განხორციელება.

შემდეგ რეზოლიუცია დეტალურად ეხება სოფლად მუშაობის საკითხებს და საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები ამ დარგში შენიშნული დეფექტების ასაცილებლად და პროფკავშირთა მუშაობის გასაუმჯობესებლად. რეზოლიუცია აღნიშნავს გარდატეხას კომკავშირის მუშაობაში, ახასიათებს ამოცანებს ამ დარგში, აღნიშნავს კავშირის გაძლიერებას ცეკას და წითელი არმიის ნაწილებს შორის და აუცილებლად სთვლის განმტკიცდეს მუშაობა მოსახლეობის გასაბჭოებისათვის (ადს).

ბაქოს კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 4 თებერვალი. გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) მე-18 მოწვევის ბაქოს კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი.

ბაქოს კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **მირზოიანი**, ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: მირზოიანი, კარაევი, ფენატოვი (შპონტის ქარხნის მუშა), იუსუფ კასიმოვი, ნიკიშინი, ალავერდოვი, კონუშკინი, რაგიმოვი, გუტინი, ეფენდიევი, ბარინოვი, რუმიანცევი, პარუშინი, რიზაევი, სტეპანოვი, დოშკევიჩი (ლენინის რაიონის ზეინკალი), ზეინალოვი, ადროვი და ბუნიატ-ზადე (მბეჭდავი). პრეზიდიუმის კანდიდატებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ალამიროვი სურენ, იარაგინი, პიტერსკი, რახმეევი, საველიევი (სადგურის რაიონი), სუროგინი, პერსიკოვი, იუსუპოვი ნურულა, დობროვოლსკი (ბაილოვის რაიონის ელექტრომონტიორი). ბაქოს კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის გამგედ დამტკიცებულ იქნა ამხ. ახკარ ეფენდიევი საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოვალეობათა დროებით აღმასრულებლად—ამხ. შაფიევი, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგედ ამხ. რახმეევა. ბაქოს კომიტეტის წარმომადგენლებად აზერბაიჯანის ახალგ. ლენ. კომკავშირში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ეფენდიევი და ნიკიშინი, აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) საკონტროლო კომისიაში—ამხ. მირზოიანი.

შემდეგ პლენუმმა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს რედაქტორად დაამტკიცა ამხ. აგამიროვი, „კომუნისტი"-ს (თურქული) რედაქტორად ამხ. იუსუფ კასიმოვი, მოადგილედ—ამხ. ტრინიჩი, „კომუნისტი"-ს (სომხური) რედაქტორად—ამხ. კარინიანი, „ვიშკა"-ს რედაქტორად—ამხ. ბარხაშევი, „ენი-ელა"-ს რედაქტორად—ამხ. ასკარ ეფენდიევი.

პლენუმის ყველა გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული (ადს).

მარქსიზმის დაუსწრებელი კურსები

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგ.-საპროპ. ბეჭდვითი განყოფილებისაგან

ც. კ-ის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება აცხადებს რა კომაკადემიასთან არსებულ მარქსიზმის დაუსწრებელ კურსებზე მიღების პირობებს, აცხადებს, რომ ხსენებულ კურსებზე შესვლის მსურველ ამხანაგებმა უნდა შემოიტანონ განცხადება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში არა უგვიანეს ა. წ. 10 თებერვლისა.

ც. კ-ის აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგის მოადგილე: **ა. ჟუჟიკაშვილი.**

თანაშემწე პროპაგანდის დარგში **დოლიძე.**

კურსებზე მიღების პირობები

თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებისა 1928 წლის 13 ოქტომბრის თარიღით („ცეკას იზვესტია" 21 ნოემბრის თარიღით № 31) მოსკოვში მარქსიზმის კურსებთან ეწყობა მარქსიზმის დაუსწრებელი კურსები.

I. მარქსიზმის დაუსწრებელი კურსების მიზანია საოლქო და საგუბერნიო ხელმძღვანელი პარტაქტივის თეორიტიული დონის ამაღლება. ამ მიზნით კურსებზე სისტემატიურად იქნება შესწავლილი პოლიტეკონომია და საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, საკავშირო კომპარტიის ისტორია და ლენინიზმი, დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმი; ყველა ეს საგნები შესწავლილ იქნება მარქსიზმის კურსების პროგრამის მიხედვით.

II. მარქსიზმის დაუსწრებელი კურსების კონტინგენტი პირველი წლისათვის განსაზღვრულია 150 კაცით. კურსების მსმენელთა მიღებას აწარმოებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სპეციალური სამანდატო კომისია.

III. მარქსიზმის დაუსწრებელი კურსების სავალდებულო მინიმუმს პირველ სამოსწავლო წელში წარმოადგენს ქვემოჩამოთვლილი დისციპლინების დამუშავება განსაზღვრულ ვადებში.

1) პოლიტეკონომიის თეორიტიული კურსი, რომელიც უნდა შეიცავდეს აგრეთვე იმპერიალიზმის პრობლემებს და საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლებს.

2) საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის კურსი.

დაუსწრებელი კურსების მსმენელებს მინიმუმის გარდა ნებაყოფლობით შეუძლიათ დამატებით აირჩიონ ერთ-ერთი ქვემოჩამოთვლილი დისციპლინა: 1) კაპიტალიზმის და კლასობრივი ბრძოლის ისტორია რუსეთში 2) კლასობრივი ბრძოლის ისტორია დასავლეთში და აღმოსავლეთში.

IV. მუშაობის მეთოდი დაუსწრებელ კურსებზე უმთავრესად დამოუკიდებელი მუშაობა უნდა იქნეს წარმოებული პირველ წყაროებზე განსაზღვრული სამოსწავლო გეგმისა და დავალებათა მიხედვით. კურსები აწყობს დაუსწრებელ და ზეპირ (მოსკოვში) კონსულტაციას. მუშაობის [illegible] საშიდაო კონფერენციები. ამ კონფერენციებზე მოსკოვში მოწვეულ იქნებიან დაუსწრებელი კურსების მსმენელნი, რომელთაც შეასრულეს მოთხოვნებათა სავალდებულო მინიმუმი.

V. მოთხოვნათა სავალდებულო მინიმუმად დაწესებულია წერითი სამუშაოების (მოკლე დასაბუთებული თეზისების სახით) წარდგენა კურსების სამოსწავლო ნაწილში; წარდგენილ უნდა იქნეს ორი წერითი სამუშაო ყოველ სავალდებულო დისციპლინიდან და ერთი საშედეგო წერითი სამუშაო ყოველ საგანში საბოლოო კონფერენციისათვის.

VI. დაუსწრებელი კურსების მსმენელთა კონფერენციაზე გაწვევის ვადას აწესებს კურსების სამოსწავლო ნაწილი სათანადო პარტორგანოებთან შეთანხმებით. კონფერენციაზე გაწვევის ვადას მსმენელს წინასწარ შეატყობინებენ.

VII. დაუსწრებელი კურსების ყველა მსმენელს იძლევა: 1) სამოსწავლო გეგმებს, 2) დავალებანი, 3) მეთოდიური მასალები კურსების ხარჯზე და 4) ძირითადი ლიტერატურა მსმენელთა ხარჯზე.

კურსები ჰკისრულობს საშიდაო კონფერენციების პერიოდში მისულ მსმენელს: 1) სადგომ-საცხოვრებელი, 2) სასმელ-საჭმელი 3) სამოსწავლო ლიტერატურა.

VIII. მეცადინეობა მიმდინარე სამოსწავლო წელში მარქსიზმის დაუსწრებელ კურსებზე დაიწყება 1929 წლის 15 თებერვალს. ამხანაგებმა, რომელთაც სურთ იმეცადინონ კურსებზე, განცხადება ამის შესახებ და მაღალმდგომი პარტორგანოს რეკომენდაცია უნდა გაგზავნონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპში მარქსიზმის დაუსწრებელი კურსების სამანდატო კომისიის მისამართით.

ყველა ცნობები მარქსიზმის დაუსწრებელ კურსების შესახებ უნდა დაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ცენტრი, ბოგოიავლენსკის შეს. № 3. მარქსიზმის კურსები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტ საპროპ. განყოფ. გამგის მოადგილე კრინიცკი.

ახალი კადრები პარტიის რიგებში

(თბილისი)

ლენინის გარდაცვალებიდან 5 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით თბილისის ორგანიზაციის რიგები შეავსო მუშათა ახალმა კადრებმა.

ლენქარხანში—ორთქმავალ-მანქანების შემკეთებელი ქარხნის, დეპოს, „26 კომუნარის" ქარხნის, ტრამვაის და სხვა წარმოებათა უჯრედებში შემოვიდა 173 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ამათგან პარტიის რიგებში მიღებულ იქნა 77 კაცი.

„26 კომუნარის" სახელობის რაიონში დღემდე მიღებულ იქნა 50 მუშა.

უჯრედში ყოველდღიურად შემოდის ახალი და ახალი განცხადებები. პარტიაში შესვლის მუშები განცხადებებში იმით ასაბუთებენ, რომ მათ სურთ კომუნისტური პარტიის რიგებში აქტიურად იბრძოლონ ლენინის დიადი ანდერძის წარმატებით შესასრულებლად.

ახლად მიღებულ მუშების უმრავლესობას აქვს დიდი (10—15 წლის) საწარმოო სტაჟი და საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილება.

ზ—ლ.

გორის მაზრკომის პლენუმი

ამ დღეებში შესდგა გორის მაზრკომის მე-2 პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება საბჭოთა საანგარიშო კამპანიის შედეგებზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანიას პარტიული ორგანიზაცია მომზადებულად შეხვდა. საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა პროცენტი წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა. განსაკუთრებით შესამჩნევია ქალთა აქტივობის ზრდა. საანგარიშო კრებებზე მათი რაოდენობა დამსწრეთა 50 პროც. შეადგენდა.

ანგარიში ჩააბარა 599 დეპუტატმა, მათ შორის 23 ქალმა. თემებში კამათში გამოვიდნენ 2,295 კაცი. წარსულ წელთან შედარებით მოკამათეთა რიცხვი 110 პროც. გაიზარდა. მოკამათეთა შორის წელს 385 ქალი იყო, წარსულ არჩევნების დროს კი მხოლოდ 43.

რაც შეეხება საანგარიშო კამპანიას ქალაქად, უნდა ითქვას, რომ აქ ჯერ ყველა საარჩევნო უბანში არ არის ჩატარებული ანგარიში. დღემდე საანგარიშო კრებები ჩატარდა 40 უბანში. კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 71 პროც., ქალთა დასწრება ამ უბნებში უდრიდა 49,5 პროც. კამათში მონაწილეობა მიიღო 278 კაცმა, მათში 33 ქალმა. საბჭოების საანგარიშო მოხსენებები ჩაბარდა ღარიბთა კრებებს და სხვა საზ. ორგანიზაციებსაც.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული ამხანაგები უპირველესად ეხებოდნენ ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის დარაზმვას, რამაც წელს განსაკუთრებით ხელი შეუწყო საანგარიშო კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

პლენუმმა დასასრულ მოისმინა ორგანიზაციული საკითხები და დაიხურა.

თესვის კამპანიისათვის

ყველა სათემო კომიტეტებს და უჯრედებს!

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერება, მისი ინტენსიფიკაცია განვითარების გზაზე შემდგარი მრეწველობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, წარმოადგენს პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას მიმდინარე პერიოდში. ამის და მიხედვით მომავალი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

ა) მარცვლეული და ტეხნიკური კულტურების გაზაფხულის ნათესი სივრცის გაფართოება (ნავარაუდევია გაფართოება 8 პროცენტით);

ბ) მოსავლიანობის გადიდება აგრო-კულტურულ ღონისძიებათა მიღების საშუალებით (1 ნახ.-დან 2 ნახ. პროცენტამდე).

გ) კონტრაქტაციის მაქსიმალური გავრცელება ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებზე.

დ) და, რაც უმთავრესია, თესვის კამპანია უნდა გახდეს ახალ კოლმეურნეობათა და უმარტივესი სახის ამხანაგობათა მოწყობის სტიმულად.

ამ ამოცანების შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ცენტრმა, ისე ქვედა საფეხურის ორგანიზაციებმა. კერძოდ, მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი ორგანიზაციების (პარტიული, საბჭოთა, კომკავშირის, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები) თვითმოქმედება და აქტივობა მთელი სოფლის საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად თესვის კამპანიის ამოცანების ირგვლივ.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ზემოხსენებული ამოცანების მიხედვით და შემოდგომის თესვის კამპანიის დეფექტების აღრიცხვის ნიადაგზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი მომავალი კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით წინადადებას აძლევს:

1) კომპარტიის და ლენინური კომკავშირის ყველა სათემო კომიტეტმა და უჯრედმა ზემოხსენებული დირექტივების საფუძველზე დაიწყონ მოსახლეობაში საგიტაციო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაზაფხულის თესვის კამპანიის ამოცანების შესახებ. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმულნი ღარიბთა ჯგუფები, უპარტიო გლეხთა აქტივი, სოფლის ინტელიგენცია და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები. მოწვეულ უნდა იქნან საბჭოების გაფართოვებული სხდომები აქტივთან ერთად, ღარიბ გლეხთა კრებები, სოფლის საერთო კრებები და სხვ.

2) თესვის კამპანიის ჩასატარებლად ადგილებზე უნდა მოეწყოს სპეციალური კომისიები, რომლებშიაც ჩაბმულ უნდა იქნან დაინტერესებული ორგანიზაციების (პარტია, საბჭო, აგრონომ. პუნქტი, უპარტიო გლეხთა და სხვ.) წარმომადგენლები. თესვის კომისიები სასწრაფოდ უნდა შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას, გამოარკვიონ მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი მომავალ თესვის კამპანიისათვის და ამის საფუძველზე შეიმუშაონ კამპანიის ჩატარების შესაფერი პრაქტიკული გეგმა. ღონისძიებათა შემუშავების დროს კომისიები უმთავრესად უნდა დაეყრდნონ ადგილობრივ შესაძლებლობებს.

3) ვინაიდან წარსულ თესვის კამპანიებში სუსტ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციები, მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები, რათა აღნიშნული ორგანიზაციები უყოყმანოდ ჩაებან ამ მუშაობაში. ამიტომ მათ წინადადება უნდა მიეცეს შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები და მომავალ თესვის კამპანიაში მონაწილეობის გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრონომიულ, მანქანების გამქირავებელ, შემკეთებელ, მარცვლის გამწმენდ პუნქტებს და სხვ., უნდა შემოწმებულ იქნას, თუ რამდენად არიან ისინი მზად თესვის კამპანიისათვის.

4) სათემო კომიტეტებმა და უჯრედებმა საგანგებოდ უნდა ადევნონ თვალყური იმას, თუ რამდენად სწორად ნაწილდება ის დახმარება (სათესლე მასალა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მუშა საქონელი, კრედიტები და სხვ.), რომელიც ეძლევა გლეხობას; უმთავრესად და პირველ რიგში დახმარება უნდა აღმოუჩინოს ღარიბ გლეხთა, ხელმოკლე და კოლექტიურ მეურნეობებს. ადგილობრივი კომიტეტები და უჯრედები აგრეთვე უნდა სცდილობდნენ, რომ ხსენებულ მეურნეობებს ეს დახმარება აღმოუჩინონ თავის დროზე და საქმის გაუჭიანურებლად.

5) მომავალმა თესვის კამპანიამ უნდა მისცეს გლეხობას სტიმული ახალ კოლმეურნეობათა და უმარტივესი სახის გაერთიანებათა მოსაწყობად. სათემო კომიტეტებმა და უჯრედებმა სათანადო პარტიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ახლად მოწყობილ კოლმეურნეობებს, ამ მეურნეობებში მათ პირველ რიგში უნდა ჩააბან პარტიისა და კომკავშირის წევრები და ღარიბი გლეხობა, აგრეთვე თვალყური ადევნონ იმას, რომ ახალ კოლმეურნეობებში უცხო ელემენტები არ გაიპარონ.

6) მომავალ თესვის კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მარცვლეულ კულტურათა კონტრაქტაციის ჩატარება, ამასთან დაკავშირებით ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ მოსახლეობას კონტრაქტაციის მნიშვნელობა და სარგებლიანობა, სათემო კომიტეტებმა და უჯრედებმა ყოველი ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ კონტრაქტაცია ნამდვილად იყოს დაკავშირებული აგრო-კულტურულ ამოცანებთან.

7) ამ მიზნით, რათა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა ფართოდ შეუწყონ ხელი იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დასახულია მოსავლიანობის გადიდებისა და ნათესების გაფართოების დარგში, რათა ხსენებულმა მასებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში, ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარდა, საბჭოებთან უნდა ჩატარდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა, კოლმეურნეობების წევრთა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები აგრონომიულ ძალებთან მონაწილეობით. ამ თათბირებმა უნდა განიხილონ და დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი. აგრო-კულტურული ზომების მასიურად გამოყენების დარგში მოსავლიანობის გადიდებისა, გაზაფხულის თესვის კამპანიის უკეთესად ორგანიზაციისა და მისი გეგმის შესრულების მიზნით.

თესვის კამპანიის მსვლელობისა და მისი შედეგების შესახებ სათემო კომიტეტებმა და უჯრედებმა დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ თბილისის კომიტეტს.

თბილისის კომიტეტის მდივანი **სუხიშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **შოგირაძე.**

დაყოვნება დანაშაულს უდრის

პარტია და ხელისუფლება მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ადგილობრივი ორგანიზაციების და ხელისუფლების მუშაკთა წინაშე მოსავლიანობის გადიდების საკითხს. ამიტომ საგაზაფხულო თესვა, როგორც მორიგი საპასუხისმგებლო მომენტი მოსავლიანობის გადიდების საქმეში, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვა შესაფერისად იქნეს მომზადებული, საჭიროა მაქსიმალურად გავაცხოველოთ იმ ორგანიზაციათა მუშაობა, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან. წარსულ თესვის კამპანიების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში არ აწარმოებდნენ პრაქტიკულ მუშაობას თესვის მომზადება-ჩატარებისათვის. თესვის სასარგებლოდ მიმართული საქმიანობა უმთავრესად აგიტაცია-პროპაგანდით ამოიწურა.

ამ მდგომარეობას საგაზაფხულო თესვის კამპანიაში ადგილი აღარ უნდა დაურჩეს. თვითეული სოფლად მომუშავე სამეურნეო ორგანიზაცია თავის ანგარიშს თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ ჩააბარებს არა კრებებისა და დადგენილებების რიცხვის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა მან რეალურად მოსავლიანობის გასადიდებლად: რამდენი ფუთი სათესლე მასალა მიაწოდა გლეხკაცობას, რამდენად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო იარაღების რაციონალურად გამოყენებას, დროზე მოაწესრიგა თუ არა კრედიტის საქმე, რა ზომები მიიღო უხარო მეურნეობათა მუშა-საქონლით უზრუნველსაყოფად და სხვა.

კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი, კოოპერატივები, გლეხკომები, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი. ერთი სიტყვით, სოფლად მომუშავე ყველა სამეურნეო ორგანიზაციები უნდა ამოძრავდნენ თესვის კამპანიის მოსამზადებლად. ამასთან ერთად საგაზაფხულო თესვის კამპანია უნდა გამოყენებულ იქნეს მარტივი სახის ახალ კოლექტიურ გაერთიანებათა შესაქმნელად. ამ მომენტს ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ ჩვენ ხელს შეუწყობთ სოფლის კოლექტივიზაციის საქმეს, ხოლო მეორე მხრით დიდ სარგებლობას მოუტანთ თესვის კამპანიას, რომლის წარმატებით ჩატარებისათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლეხთა კოლექტიურად დარაზმვას.

დაყოვნება დანაშაულს უდრის. რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნეს შედგენილი თესვის ხელმძღვანელი სათემო კომისიები, რომლებშიაც შევლენ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, როგორიცაა: პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული გაერთიანებანი. სათემო კომისიები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საქმეს.

დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ თესვის მომზადება-ჩატარებისათვის საშეფო ორგანიზაციებს. თესლის მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების დროზე შეკეთება, მარტივ კოლექტივებისა და ამხანაგობების შექმნა—ყველა ესენი ისეთი საქმეებია, რომელთა შესაფერისად მოწყობისათვის შეფს [illegible] დახმარების აღმოჩენა შეუძლია. ეს გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული [illegible].

დაუყოვნებლივ უნდა [illegible] საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებას.

რ. ბ—ე.

ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის

(საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება)

საქ. სახკომსაბჭომ მოიწონა და დაამტკიცა ის ღონისძიებანი, რომლებიც გატარებულ უნდა იქნეს საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. სახელდობრ: მარცვლეულობის სათესი სივრცის 10 პროცენტით და კარტოფილის კი 20 პროცენტით გადიდება, შედარებით 1927—28 წელთან, პურის მოსავლიანობის გადიდება 1,5—2 პროცენტით, სათიბი სივრცის გადიდება 10 პროცენტით, ტეხნიკურ კულტურათა (ბამბის, თამბაქოს, კენაფის და შაქრის ჭარხლის) ნათესების სივრცის გადიდება, სათესლე მასალის დიდი რაოდენობით გაწმენდა და აგრო-დახმარების გაძლიერება პირველ რიგში კოლექტიურ და ღარიბთა მეურნეობისათვის.

გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ცალკე ღონისძიებანი.

თესლით უზრუნველყოფის დარგში

საჭიროდ არის ცნობილი ყველა კოლექტიურ და ღარიბთა მეურნეობების და აგრეთვე საშუალო მეურნეობათა ნაწილის უზრუნველყოფა თესლით. გეგმით გათვალისწინებულია 2634880 მანეთის გადადება სათესლე მარცვლის დასამზადებლად (645464 ფუთი სიმინდის და 584200 ფუთი ხორბალის და ქერისათვის). გარდა ამისა სათანადო ორგანოებს ეთხოვა დამატებით 1 მილიონი მანეთი თესლით კოლექტიური და ღარიბთა მეურნეობების უზრუნველყოფის საჭიროებისათვის.

სახკომსაბჭომ მოიწონა მიწსახკომის გადაწყვეტილება თესლის ხარისხის გაუმჯობესებისა და სათესლე ფონდის შექმნის შესახებ. ამ მიზნისთვის გადადებულია თანხა 185000 მანეთის რაოდენობით. სახალხო მამულების ტრესტის და სამაზრო აღმასკომების განკარგულებაში ამჟამად არსებული 8.000 ფუთი მაღალი ხარისხის სიმინდის თესლი გამოყენებული იქნება მხოლოდ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

კონტრაქტაცია

საკონტროლო ციფრების მიხედვით მარცვლეულობის ნათესებზე კონტრაქტაცია გავრცელდება შემდეგნაირად: სიმინდის ნათესების 35.000 ჰექტარზე, ხორბლის ნათესების 1.500 ჰექტარზე და ქერის ნათესების 3.500 ჰექტარზე, სულ კი 40.000 ჰექტარზე. ავანსების რაოდენობა ნათესის თვითეულ ჰექტარზე შემდეგნაირად არის გათვალისწინებული: რიგებზე (მწკრივად) სიმინდის ნათესებზე—15 მან. ჩვეულებრივად ნათეს სიმინდზე 10 მანეთი, კოლექტიურ გაერთიანებებისათვის—10 მანეთი, ინდივიდუალურ მეურნეობებზე—8 მანეთი; ხორბლეულობის ნათესზე—15 მანეთი; ქერის ნათესზე—12 მანეთი.

ბალახის თესვა

ბალახის ნათესი სივრცე გადიდებული უნდა იქნეს 20 პროცენტით, ე. ი. 5.000 ჰექტარიდან აყვანილი უნდა იქნეს 6.000 ჰექტარამდე, ბალახის თესლეულობისათვის გადადებულია 85.000 მანეთი (25.000 მან. გრძელვადიანი და 60,000 მანეთი მოკლევადიანი სესხი), რაც შეტანილია საკრედიტო გეგმაში.

მანქანების მიწოდება

საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის გადაწყვეტილია მანქანა-იარაღების შემდეგი კონტინგენტის შემოტანა: 2.520 ცალი გუთანი (94.240 მან. ღირებული), 425 ფარცხი (8500 მანეთის), 62 ტრაქტორი (221.000 მან.), 100 ტრიერი (1.800 მანეთის), 200 კულტივატორი (6.000 მან.), სულ კი 343.540 მანეთის ღირებული მანქანა-იარაღები. 1929 წელში მოსაწყობად განზრახულ 6 სარემონტო სახელოსნოდან, გაზაფხულზე დაარსებული იქნება არა ნაკლებ 3 სარემონტო სახელოსნოსა. აღნიშნული სახელოსნოებისათვის გადადებულია 75.000 მანეთი.

გამქირავებელი და მარცვლეულობის გამწმენდი პუნქტები

განზრახულია 10 გამქირავებელი და 5 მარცვლეულობის გამწმენდი პუნქტის დაარსება. ამ 100 ტრიერიდან, რომელიც შემოტანილი იქნება ამ გაზაფხულზე, 50 გადაეცემა კოლმეურნეობებს და 50 კი გამქირავებელ და მარცვლ. გამწმენდ პუნქტებს. გამქირავებელი და მარცვლეულობის გამწმენდი პუნქტები კოლექტიურ და ღარიბთა მეურნეობებს მარცვალს უფასოდ გაუწმენდავენ. მიწსახკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს ყველა დასახელებულ პუნქტებში არსებული მანქანა-იარაღები. აღნიშნული პუნქტების საჭიროებისათვის მიმდინარე წლის საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულია 124.000 მანეთის გადადება.

ტეხნიკური კულტურები

ბამბა

ბამბის ნათესი სივრცე 1929 წელში აყვანილი იქნება 9.000 ჰექტარამდე, რომელთაგან 8.000 ჰექტარი იქნება კონტრაქტაციაქმნილი. ბამბის ნათესებზე ავანსების გაცემა იქნება შემდეგნაირად: 1 ჰექტარ ბამბის ნათესზე დაწესებული იქნება საშუალო ავანსი 45 მან.+საჭირო სათესლე მასალის ფასი (ანგარიშით 8 მ. 87 კაპ.—კილო). კოლმეურნეობებს 25 პროცენტით მეტი ავანსი მიეცემათ. სასუქი (კოპტონის და სუპერფოსფატის ნარევი) მეურნეებს მიეცემათ 665 კილოს რაოდენობით ჰექტარზე. მწკრივად თესვა ჩატარდება 625 ჰექტარზე. ბამბის ავადმყოფობის („ჩორი"-ს) წინააღმდეგ საბრძოლველად გაცემული იქნება ავანსი 18 ათასი მანეთის რაოდენობით ჰექტარზე. სესხის გაცემა დავალებული აქვს მეაბამბეობის მთავარ კომიტეტს.

თამბაქო

თამბაქოს დასათესი სივრცე აყვანილი უნდა იქნეს 16.700 ჰექტარამდე, რომელთაგან 14.500 ჰექტარი დათესილი იქნება აფხაზეთში და 2.200 ჰექტარი საქართველოში. კონტრაქტაცია გავრცელდება: აფხაზეთში 13.200 ჰექტარზე და საქართველოში 2.100 ჰექტარზე.

ავანსის საშუალო რაოდენობა 1 ჰექტარ თამბაქოს ნათესზე განსაზღვრულია: აფხაზეთში 400 მანეთი და საქართველოში 350 მანეთი, რაც მიცემული იქნება შემდეგ ვადებში:

ავანსის 30 პროც. თესვის დაწყებისას, 25 პროცენტი, თოხნის 25 პროცენტი მოკრების დამდეგს და 20 პროც., მოკრეფის შემდეგ.

ყურადღება მიექცევა თამბაქოს გაშენების საქმეს აგრეთვე სამეგრელოში და კახეთში. თამბაქოს ნათესების, ბარაკებისა, და სხვადასხვა მოწყობილობათა საჭიროებისათვის, სასუქის დასამზადებლად და სხვ. გადადებული იქნება 4.230.000 მანეთი (გრძელვადიანი კრედიტი).

კენაფი

კონტრაქტაცია გავრცელდება კენაფის ნათესების 500 ჰექტარზე, ხოლო 1 ჰექტარზე გასაცემი ავანსი განსაზღვრულია 100 მანეთით. სულ ავანსი გაიცემა 50.000 მანეთის რაოდენობით. კენაფის დასალბობად საჭირო მოწყობილობათა (აბანოების) მოწყობის საჭიროებისათვის გაცემული იქნება 20.000 მანეთი. სახ. „კენაფს" დავალებული აქვს 24.000 მანეთის გაღება საბჭოთა მეურნეობებისათვის კენაფის სათესლე მასალების მისაწოდებლად.

შაქრის ჭარხალი

კონტრაქტაციაში მოჰყვება 200 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. კონტრაქტაციისათვის საჭირო თანხა (მოკლევადიანი კრედიტი) განსაზღვრულია 16.000 მანეთის რაოდენობით.

სამუშაო საქონელი

რადგან გლეხთა მეურნეობების 33 პროც. სამუშაო საქონლით უზრუნველყოფილი არ არის, გლეხურ და კოლექტიურ მეურნეობათა ასეთით უზრუნველყოფა, წარმოადგენს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. სამუშაო საქონლის შეძენისათვის საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულ 710.000 მანეთიდან 400.000 მანეთის გაღება დავალებული აქვს „სოფლის კავშირს".

რესპუბლიკანურ კომისიაში

გუშინ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში შესდგა საგაზაფხულო თესვის რესპუბლიკანური კომისიის სხდომა, რომელზედაც ამხ. **ს. ჯულელმა** მოხსენება გააკეთა სათესლე მასალის დასამზადებელ ღონისძიებათა შესახებ. საინფორმაციო განცხადებებით გამოვიდნენ „ცეკავშირი"-ს, „სოფლის კავშირი"-ს, სახელმწიფო ვაჭრობის და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღემდე მიღებულ მასალების მიხედვით, დამზადებულია სათესლე მასალა: „სოფლის კავშირი"-ს მიერ 16.000 ფუთი, „ცეკავშირი"-ს მიერ—3000 ფუთი, მიწსახკომის მიერ—8,600 ფუთი. სულ 27,600 ფუთი.

რესპუბლიკანურმა კომისიამ საჭიროდ სცნო აგრეთვე სიმინდის იმ რაოდენობის გარდა, რომლის შემოზიდვა გათვალისწინებულია დამშეულ რაიონებისათვის, შეძენილ იქნეს კიდევ 100,000 ფუთი სამომხმარებლო (არა სათესლე) სიმინდი. „სოფლის კავშირმა" და ცეკავშირმა" შეთანხმებულად უნდა გამოიმუშაონ წესები ამ სიმინდის განაწილებისათვის ადგილობრივ თესვის [illegible] და ორგანიზაციებს შორის.

იმავე 1908 წელს ჟორდანიამ თავის „მთავარ ორგანოში" მოათავსა მთელი რიგი საპროგრამო წერილებისა, რომელშიც უარყო ჩვენი პარტიის რევოლუციონური პოზიცია. უკუაგდო, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა რევოლუციაში. ჩვენი — ამბობდა ჟორდანია — „ძირითადათ უნდა შევსცვალოთ მთელი პარტიული ტაქტიკა", რომ შესაძლებლათ გავხადოთ „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა გაერთიანება" თვითმპყრობელობის წინააღმდეგ:

ჟორდანიას წერილების წინააღმდეგ საზღვარ-გარეთულ „Дискуссионный Листок"-ში გაილაშქრა კობა სტალინმა. ქართველი მენშევიკების პოზიციის შესახებ ის ამბობდა: ეს არის „ლიკვიდატორობა, ლიკვიდატორობა არა თუ ორგანიზაციული, არამედ ტაქტიკურიც და პროგრამულიც".

ჟორდანიამ იმავე „Дискуссионный Листок"-ში შემდეგნაირათ „უპასუხა" სტალინს:

„ლიკვიდატორობის შესახებ ყველა ბრალდებებში... მართალია მხოლოდ ერთი: ლიკვიდაცია განმათავისუფლებელ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისა... რევოლუციის სათავეში მართლა იდგა პროლეტარიატი, და თუ რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა, ეს იმიტომ, რომ პროლეტარიატი არ შეიძლება იყოს ძლევამოსილ ბურჟუაზიულ რევოლუციის მეთაური".

ჩვენ ლიკვიდატორები ვართ? აბა ასეთი ლაპარაკი რა საკადრისია! ჩვენ „მხოლოდ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას ვუყვებით ლიკვიდაცია. ასეთ „წვრილმან" რამეზე როგორ შეიძლება ასეთი ხმაურობის ატეხა?..

„მაგრამ დახეთ საკვირველებას: ჟორდანიას „პაწია" ლიკვიდაციამ ჰეგემონიის იდეისა აალაპარაკა და ააშფოთა ბოლშევიკებს გარდა პლეხანოვიც. არკომედის წიგნის წინასიტყვაობაში ამიერ - კავკასიის მუშათა მოძრაობის შესახებ პლეხანოვი სწერდა:

— „უკანასკნელ ხანებამდე კავკასიის სოციალ - დემოკრატია განმათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ნიადაგზე იდგა. ეხლა ლიკვიდატორები — უკეთ რომ ვთქვათ, უფრო გულახდილები მათ შორის, — ამ იდეას გამოედევნენ, მას უარყოფენ. იგი აღარ მიაჩნიათ მიზანშეწონილად. და ისინი მართალი არიან. ეს იდეა მართლაც არ არის მიზანშეწონილი... მათი თვალსაზრისით. ხოლო რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით საქმე სულ სხვანაირად გვეჩვენება. ეს ყველაზე უკეთ მტკიცდება რევოლუციონური მოძრაობის ისტორიით კავკასიაში... მაშ რატომ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა, რომელიც ასეთი ნაყოფიერი იყო პრაქტიკაში, აწუხებს ეხლა ჩვენს ლიკვიდატორებს? რატომ ისინი ასეთის გულმოდგინებით უთხრიან მას ძირს? იმიტომ რომ, როგორც ნათქვამია ზემოთ, ეს იდეა სრულებით არ არის მიზანშეწონილი მათი თვალსაზრისით. ადვილი გასაგებია, რომ „პოდპოლიეს" სიძულვილს, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი ლიკვიდატორებისათვის, აუცილებლად თან უნდა დაჰყვეს, — ყოველ შემთხვევაში მათ თავში, რომელთაც ლოღიკა რამდენიმეთ მაინც შეუნარჩუნებიათ, — პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის უარყოფა... აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყურში, ვინემ ლიკვიდატორი მოინელებს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას"... (ხაზი ყველგან პლეხანოვისაა, ი. მ.) (**Г. Плеханов: сочинения, том XIX, стр. 288-289**).

ეს პოლემიკა სწარმოებდა 1910 წელს. ჟორდანია იმ დროს იყო იტალიაში. ის ეცნობოდა იტალიის კოოპერატიულ მოძრაობას. მერე იცით ვისი მინდობილობით? ქართველი კაპიტალისტის დ. სარაჯიშვილის მინდობილობით! ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. 1913 წელს ქუთაისში გამოიცა ჟორდანიას წიგნი: „კოოპერატივები იტალიაში". წიგნი იწყება შემდეგი შესანიშნავი მიძღვნით.

„მუძღვნი
დ. ზ. სარაჯიშვილის,
ამ შრომის სულიერი ავტორის,
დაუვიწყარ ხსოვნას.
მადლიერი ავტორი".

წიგნის წინასიტყვაობას ჟორდანია იწყებს შემდეგი სიტყვებით: „ამ შრომას ვუძღვნი განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას. მხოლოდ მისი წინადადებით და საშუალებით დავყავი იტალიაში ცხრა თვე, დავათვალიერე სასოფლო კოოპერატივები და მოვკრიბე ადგილობრივ საჭირო მასალები. განსვენებულს აინტერესებდა ეს კითხვა არა თეორიულად, არამედ პრაქტიკული მოსაზრებით. მას სურდა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო და შიგ თავისი წვლილი შეეტანა. ეს მას არ დასცალდა"... (ხაზი ჩვენია, ი. მ.).

რამდენადაც ვიცით, ეს საარაკო ფაქტი თავის დროზე ხაზ გაუსმელი დარჩა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა ამ აშკარა პოლიტიკურ „თანამშრომლობას" მენშევიკური ლიდერისა და მსხვილ ქართველ კაპიტალისტს შორის. 1908 წელს ჟორდანია პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას უარყოფს და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას თხოულობს. 1909 - 1910 წლებში ის ამ თანამშრომლობას პრაქტიკულათ ახორციელებს. 1913 წელს ლაქიურ სტრიქონებს უძღვნის კაპიტალისტის და არაყის ქართველ „მეფეს".

ამავე დროს იგი ნაციონალურ საკითხში დგება წმინდა ნაციონალისტურ ნიადაგზე. პლეხანოვმა ჟორდანიას „ახალი" პოზიცია ნაციონალურ კითხვაში დაახასიათა, როგორც „სოციალიზმის ნაციონალიზმით შეგუება". ლენინმა განაცხადა, რომ „ლიკვიდატორობა ა-ნ ანს (ჟორდანიას) მიათრევს სოციალიზმიდან ნაციონალიზმისაკენ"...

დიახ, ყველაფერი ეს გადაჯაჭვული იყო ერთი - მეორეზე. ლიკვიდატორობამ და რენეგატობამ მიიყვანა ქართული მენშევიზმის ბელადი იქამდე, რომ მისი წიგნის „სულიერი ავტორი" გახდა ქართველი ბურჟუა.

დადგა რა კაპიტალისტებთან თანამშრომლობის ნიადაგზე, ჟორდანია სრულიად ბუნებრივათ მივიდა იქამდის, რომ სიხარულით შეეგება ქართველი ბურჟუას აზრს — კოოპერაციაში „პრაქტიკული" მონაწილეობის შესახებ. რა „წვლილი" უნდა შეეტანა სარაჯიშვილს კოოპერაციის საქმეში? როგორი იქნებოდა სარაჯიშვილ-ჟორდანიას კოოპერაცია? ცხადია, ეს იქნებოდა ბურჟუაზიულ - კულაკური კოოპერაცია. სარაჯიშვილი იმდენად კულტურული კი იყო, რომ მიხვედრიყო: თუ კი ჟორდანიები სათავეში იქნებიან, კოოპერაცია ჩვენი, ქართველი კაპიტალისტების ერთ-ერთი ბურჯი იქნებოდა!.. ეხლა, რასაკვირველია, გასაგებია, თუ რატომ მენშევიკურმა საოლქო კომიტეტმა არ გამოაქვეყნა პარტიის რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ. ეს რეზოლიუცია სრულიად არ გულისხმობდა სარაჯიშვილებთან „თანამშრომლობას" კოოპერაციის საქმეში — ის აგებული იყო სრულიად სხვა პრინციპებზე...

ჟორდანიების გაიძვერობის დასახასიათებლათ კიდევ ერთი შენიშვნა: საქართველოში ეს ვაჟბატონები მუხლს იხრიან თავიანთი თხზულებების „სულიერი ავტორი" — კაპიტალისტის წინაშე, რუსეთში კი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ვითომ „პოდპოლიეს" დამცველებათ გამოდიან და „ბოლშევიზმ - მენშევიზმის სინთეზს" ამუშავებენ!.. ერთი უდაოა: ძალიან „მოხერხებული" ხალხი იყვნენ ქართველი მენშევიკები, — თავს იზღვევდნენ მრავალნაირი შემთხვევებისთვის..

მაგრამ დავუბრუნდეთ ლიკვიდატორების „მოღვაწეობას" რეაქციის ხანაში.

ილ. მგელაძე. (ვარდინი).

(დასასრული იქნება)

ამხ. ფ. მახარაძის გამოუქვეყნებელ ნაწერებიდან *)

დროა!

ნახევარ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ყოველი მხრიდან გვესმის, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ დღევანდელი მდგომარეობა კიდევ რამდენსამე ხანს გაგრძელდება, ჩვენი ხსნა შეუძლებელი შეიქნება. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე რუსეთში, არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი ანუ წრე, რომ პროტესტი არ გამოეცხადებინოს დღევანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ბიუროკრატიამ ყური მოიყრუა, ისე გაკმინდა ხმა, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. შეიძლება მას გონია, რომ საზოგადოებას თითონ მობეზრდება ამდენი ყვირილი და შემდეგ გაანებებს თავსო. შეიძლება იგი ერთი ძველი ანდაზის თანახმად იქცევა: ყბედი რომ მოღალაო— თავის ენამაო. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში ბიუროკრატია საშინლად ტყუვდება. დღევანდელი მოძრაობა როდია შემთხვევით გამოწვეული. ან ყბედის მიერ შექმნილი, დღევანდელი უკმაყოფილებას აქვს ღრმა მიზეზები საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში. მართალია ჩვენი საზოგადოება ჯერ-ჯერობით ვერ გადავიდა სიტყვიდან საქმეზე. ჯერ ვერ ახერხებს იმის სისრულეში მოყვანას, რასაც სიტყვიერათ აცხადებს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ რაც აქამდის ითქვა თუ მოხდა, იმის უკან წაღება შეიძლებოდეს. საზოგადოებამ მეტად საგრძნობელი ნაბიჯი გადადგა თვითცნობიერებისაკენ, რომ დღეს მისი მოტყუილება, ან მისი უკან დახევა, საშუალო საუკუნოების წესწყობილებისაკენ დაბრუნება შეუძლებელია. ჩვენ მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ მიტინგების გამართვას და მით უმეტეს პეტიციების წერას. მაგრამ მიუხედავად იმისა, საზოგადოებრივი თვითცნობიერება დღეს იმდენად მომწიფდა, რომ კიდეც ვიმეორებთ, უკან დაბრუნება ჩვენ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია. არსებული სახელმწიფო წესწყობილების უვარგისობა და დღევანდელი პირობებთან შეუსაბამობა დღეს უკვე აღიარებულია იმათგანაც კი, ვინც ამ წესწყობილებას სათავეში უდგას. მართალია ამჟამად არსებული წესწყობილება ჯერ კიდევ არ დანგრეულა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მსვლელობა შეჩერებულია. იგი არ ჩადგება კალაპოტში მანამ, სანამ ეს წესწყობილება ძირიანათ არ შეიცვლება. და მართლაც, რა იხსნის დღევანდელ წესწყობილებას დაღუპვისაგან? სად ინახება ეს ძალა, რომელიც მოარჩენს სასიკვდილოდ გამზადებულ არსებას? ასეთი საშუალება ჯერ არ აღმოუჩენიათ, თუ ყველა იმ ზომებმა, რომლებსაც რუსეთის ბიუროკრატიული თვითმპყრობელი მთავრობა მთელი გასული საუკუნის განმავლობაში ღებულობდა, ვერ მიანიჭეს მას მშვიდობა და მყუდროება, ნუ თუ იგივე ზომები დღეს უშველის მას? უზარმაზარი სახელმწიფო, გავერანებული და გაღატაკებული ხალხი, რომელსაც ამოდენა სახელმწიფოს ხარჯები აწევს კისერზე, მცხოვრებლების უუფლებლობა, ადმინისტრაციის და პოლიციის თვითნებობა, სახელმწიფოს ყველა მოხელეების მექრთამეობა, ცენზურის დარაჯაკში მომწყვდეული მწერლობა, აკრძალვა თავისუფლად თავმოყრის, თავისუფლად კრების გამართვის. გაფიცვის, კავშირების, აი რა შეადგენს დღევანდელი რუსეთის წესწყობილების საფუძველს. 140 მილიონი ხალხის ბედიღბალს განაგებენ ისე, რომ არავინ არ იცის, ხალხს რას უმზადებენ, რას უპასუხებენ. აქ ყოველივე საიდუმლოებით არის მოცული; მთელი ხაზინა რომ ერთი მშვენიერ დღეს რომელიმე მაღალ ხარისხოვანმა მოხელემ გაფლანგოს, ამას ვერავინ ვერ გაიგებს, და თუ ვინმემ ხმის ამოღება გაბედა, იმას შავ დღეს დააყენებენ, ან სრულებით გამოასალმებენ ამ ქვეყანას, ან კიდევ სამუდამოთ კატორღაში დაალპობენ. აქამდის ჩვენი ხალხი გაუგებარი იყო, მას არ ესმოდა თავისი მდგომარეობა, იმან არ იცოდა, თუ სხვანაირათ შეიძლებოდა ცხოვრება, მას ვერ წარმოედგინა, რომ იგიც ადამიანია, მასაც უფლება აქვს თავის თავისათვის იზრუნოს. დიდი დრო და მუშაობა იყო საჭირო, რომ რუსეთის ხალხი გონს მოსულიყო და დაჩაგრული მდგომარეობისაგან თავის დასაღწევად ეზრუნა. პირველად ამის უნარი გამოიჩინა ქალაქის მუშა ხალხმა, ეს გადავიდა სოფლის გაჭირვებული გლეხ-კაცობაში; ამათ ბანი მისცეს ყველა იმათ, ვინც დღევანდელი წესწყობილების მეოხებით შეწუხებული და შევიწროვებულია და აი, ჩვენ მოვესწარით იმ სანატრელ დროს, როცა თითქმის მთელი მუშა ხალხი გამოფხიზლდა და იბრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ახლა უნდა ვიკითხოთ, ვინ უჭერს მხარს მუშა ხალხს ამ დიად ბრძოლაში?

ყველასათვის აშკარაა, რომ მუშა ხალხი არ იბრძვის მარტო თავის თავის განსათავისუფლებლად, რადგანაც მისი განთავისუფლება დღეს ნიშნავს ყველა დანარჩენ კლასების განთავისუფლებას. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება დღეს ყველა საზოგადოებრივ ჯგუფების და კლასების საჭიროებას შეადგენს, მაგრამ მისი მოპოვებისათვის მარტო მუშა იბრძვის. რას ჩადიან დანარჩენი კლასები მაშინ, როცა მუშა ხალხი სისხლსა ღვრის თავისუფლების მოსაპოვებლად? ისინი ამ დროს მოსვენებით არიან, დიდი-დიდი თუ სადმე შეიკრიბებიან და რაიმე რეზოლიუციას დაადგენენ. სიტყვით ისინი ხალხის მოსარჩლე, იმათ ინტერესების დამცველები არიან, საქმით კი ბიუროკრატიას უწევენ დახმარებას. პეტიციებს და რეზოლიუციებს ისინი ვერ გასცილდებიან, სხვა გზა იმათ არა აქვთ. მეტი საშუალება იმათთვის არ არსებობს. ეს საშუალება კი ყოვლად შეუსაბამო და გამოუდეგარია. დღეს ისეთი დროა, რომ დაყოვნება აღარ გვარგია. როდემდის უნდა ვითმინოთ?*)

ამაზე მეტი გაჭირვება და შეწუხება ჩვენ აღარ მოგველოდება. გარეთ, ე. ი. შორეულ აღმოსავლეთში, უსაშინელესი სისხლის ღვრა, ასი ათასობით უდანაშაულო ხალხის ამოჟლეტა და გაღატაკებული ხალხის ზურგიდან ანაგლეჯი, ასი და ათასი მილიონების გაფლანგვა, დაღუპვა; იმავე დროს შინ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაძლიერებული დაცვის და ომიანობის დროის წესები, როცა მცხოვრებლების პიროვნება სრულებით ისპობა და მყარდება სრული ძალ-მომრეობა და თვითნებობა. აი, ამ დროს მხოლოდ მუშა ხალხის ყვირის ხმა მაღლა და პროტესტს აცხადებს უსამართლობის წინააღმდეგ. საზოგადოების დანარჩენი ჯგუფები კი იმავე დროს განზე გამდგარან და თავის ძალას არ უერთებენ იმათ ძალას, ვინც თავგამოდებით იბრძვის დღევანდელი წესწყობილების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მარტო სიტყვით დღეს არაფერი გაკეთდება, საჭიროა საქმე. თუ ოდესმე შესაძლებელია საერთო მოქმედება, საერთო მტრის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ დღეს არის შესაძლებელი. სად არიან დღეს ისინი, ვინც საერთო მოქმედებაზე ლაპარაკობს. გაგვეცით პასუხი, იცოდეთ კი, რომ ეს ან დღეს ან არასოდეს.

ფ. მახარაძე.

*) ხაზები ცენზურისაა.

ან დღეს ან არასოდეს

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სრული განახლება დღეს აშკარაა. მთელი თავისი ძლიერებით, წინ გვიდგას. აქ არ არის ლაპარაკი ერთი რომელიმე მხრის, ერთი რომელიმე კერძო საკითხის, თუნდაც დიდ მნიშვნელოვანის, გადაწყვეტაზე. დღეს ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ერთი დიდი, საყოველთაო მნიშვნელობის საქმე უნდა შევასრულოთ. ადვილი არ არის მისი შესრულება. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის საუკეთესო შვილები გაურჩევლად წოდებისა და სქესისა მისთვის სდებდნენ თავს, მისთვის მუშაობდნენ თავდაუზოგავად. უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში ეს ბრძოლა მეტათ გამწვავდა და თითქმის სამოქალაქო შინაურ ომათ გადაიქცა. ბევრი საუკეთესო ადამიანის სისხლი დაიღვარა, ბევრი მათგანი იქნა სამართლისაგან გაძევებული და გადასახლებული. მაგრამ ის კიდევ აღარ გაკმარა ქვეყანას (დროს გადასულმა¹) წესწყობილებამ (რომელიც დიდი ხანია ხალხის სულთამხუთავადაა გადაქცეული²) გამოიწვია შორეულ აღმოსავლეთში ყოვლად საშინელი და უმაგალითო სისხლის ღვრა. საჭირო იყო ასი-ათასობით მამულიშვილების გაწყვეტა და მილიარდების გაფლანგვა, რომ რუსეთის საზოგადოებას ხმა ამოეღო და აშკარათ დაეგმო ის სამარცხვინო წესწყობილება, რომელმაც ყოველივე ეს მოიმოქმედა.

სულ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ ვიყავით იმის მოწმე, თუ როგორ იზრდებოდა და მატულობდა საზოგადოებაში უკმაყოფილება დღევანდელი ბიუროკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. თითეული დამარცხება ბრძოლის ველზე აძლიერებდა და აძლიერებდა საზოგადოებაში ამ უკმაყოფილებას. მოსალოდნელი იყო, რომ უკანასკნელი დამარცხება, ე. ი. აღმო-

¹) და ²) ამოშლილია ცენზურის მიერ პ. გ.

საჭირო შენიშვნა*)

ეს წერილები საქართველოს ცენტრალურ არქივის მასალებში იქნა აღმოჩენილი. ისინი ეკუთვნიან ამხ. **ფილიპე მახარაძის** კალამს და თავის დროზე ჟურნალ „მოგზაურის" რედაქციისგან წარდგენილი ყოფილან კავკასიის საცენზურო კომიტეტში დაბეჭდვის ნებართვის (ვიზის) მისაღებად. მაგრამ საცენზურო კომიტეტს ამ წერილების გამოქვეყნება აუკრძალავს „მოგზაურისათვის".

„მოგზაური" იყო 1905 წელს ლეგალური სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი, რომელიც ბოლშევიკების ხელში იყო. *).

„მოგზაურს" ხელმძღვანელობდა ამხ. ფილიპე მახარაძე.**). ეს ის დრო იყო, როდესაც 1905 წლის რევოლუციამ, თუმცა მაგრა აუწყვა ზურგი მეფის ჟანდარმს—ცენზურას, მაგრამ უკანასკნელი მაინც იბრძოდა.

ამხ. ფ. მახარაძის აქ მოყვანილი წერილები დაწერილია 1905 წლის მაისიდან—ოქტომბრამდე, ე. ი. მანამდე, სანამ ჯერ კიდევ არ იყო პერიოდულ გამომცემლობათა „მომწესრიგებელი" ახალი საცენზურო წესდება, რომელიც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად, გამოქვეყნებულ იქნა იმავე წლის 24 ნოემბერს. ამ დროიდან ძალაში შევიდა ახალი წესდება და მით მოიხსნა წინასწარი ცენზურა, ხოლო ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით „ბოროტმოქმედების" ჩადენის წინააღმდეგ შემოღებულ იქნა სასამართლოს წესით პასუხისმგებლობა და გაფართოებულ იქნა აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციის კომპეტენცია „მავნე მიმართულების ბეჭდვითი სიტყვაზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით" (იხ. წესდება).

ამრიგად ამ წერილებსაც, რომლებიც „მოგზაურში" გამოსაქვეყნებლად იყვნენ განზრახული, უნდა გაევლოთ წინასწარი ცენზურა.

როგორც ამხ. ფილიპე მახარაძემ პირადათ გადმოგვცა: „იმ დროს, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცენზურა ძლიერ დამფრთხალი იყო. მუშათა მოძრაობის თანდათან უფრო და უფრო გაღრმავების და გაძლიერების გავლენით ძველებურ სისასტიკეს ვეღარ იჩენდა ის. ცენზურა წელში მოტეხილი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად გვიკრძალავდა აშკარა რევოლუციონურ სულისკვეთების მატარებელ წერილებს. თუ შემთხვევია, რომ, როდესაც ცენზურა რომელიმე ფრიად საჭირო და აუცილებელ წერილს გვიკრძალავდა ჩვენ მას მუშების სახელით ვემუქრებოდით და ასე მუქარის ქვეშ ვაიძულებდით მოეცა წერილის დაბეჭდვის ნებართვაო".

„ქართული ენის ცენზორებად, რომლებიც აგრეთვე ჟურნალ „მოგზაურსაც" ცენზორობდნენ, მაშინ იყვნენ პ. გოთუა და პეტრე მირიანაშვილი. ესენი თუმცა ლიბერალები იყვნენ, მაგრამ სამსახურისადმი ვალდებულების შიშით მაინც ცენზურის საერთო წესებს ემსახურებოდნენ"—დასძინა მან.

პირველი წერილი—„დროა" დაწერილია 7 მაისს 1905 წელს. ის აკრძალა ცენზურამ 11 მაისს, როდესაც აწყობილი საკორექტურო-საცენზურო ფურცელი „მოგზაურიდან" განსახილველად მოუვიდა. იგივე წერილი სხვა სათაურით—„კიდევ დღევანდელი მდგომარეობის შესახებ" რედაქციას ხელმეორედ წარუდგენია ნებართვის მისაღებად ცენზურაში, 16 მაისს, მაგრამ უკანასკნელს ის 17 მაისის თარიღით მეორეჯერაც აუკრძალავს. ამნაირად სათაურის შეცვლით წერილის „გაპარების" ხერხს ვერ გაუჭრია.

მეორე წერილი „ან დღეს ან არასოდეს" დაწერილია 28 მაისს, ხოლო აკრძალულია ცენზურის მიერ 31 მაისის თარიღით, როგორც „ტენდენციური".

მესამე წერილი „ჟურნალ-გაზეთებიდან" აკრძალულია ცენზურის მიერ 12 სექტემბრის თარიღით 1905 წელს.

მეოთხე წერილი „აგრარული კითხვა", როგორც ჩანს წარდგენილი ყოფილა ცენზურაში ნებართვისათვის 12 სექტემბერს. მისი აკრძალვა აცნობა ცენზურამ „მოგზაურის" რედაქციას, მხოლოდ 1905 წლის 8 ოქტომბერს.

ზემოდმოყვანილი წერილები ინახება საქართველოს ცენტრარქივში: Дело Кавказского Цензурного Комитета 190 года, с запрещенными по постановлению Комитета к напечатанию статьями для „Могзаури" нач. 28 апреля 1905 года № 3 |1 33.

დასასრულ მადლობა უნდა გამოვცხადოთ არჩილ მიქაძეს, რომელმაც ამ ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიისათვის ფრიად საინტერესო წერილების გამოქვეყნებისათვის თავის დროზე საჭირო ზომები მიიღო.

პ. გუგუშვილი.

*). ფ. მახარაძე—„1905 წელი ამიერ-კავკასიაში", გვ. 133. 1927.

**). იხ. „რევოლუციის მატიანე" № 3 (1923) გვ. 41.

საბჭოთა არჩევნები

საბჭოთა არჩევნები როგორც თბილისში, ისე მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს.--საარჩევნო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 80--95 პროცენტი.--თემებში იმართება მშრომელი გლეხობის საარჩევნო დემონსტრაციები.--მუშები მოითხოვენ მუშათა რაიონებში სამიკიტნოების დახურვას, კოოპერატიული სავაჭროების და წითელი სასადილოების გახსნას და განაპირა უბნების კეთილმოწყობას.--არც ერთი ამომრჩეველი არ უნდა დააკლდეს საარჩევნო კრებებს.

თბილისში

საუკეთესო მუშები აირჩიეს

1 თებერვალს „მილომას“-ის ტრესტის ყველა მუშებმა და მოსამსახურეებმა აირჩიეს ახალი დეპუტატები თბილისის საბჭოში. მუშებმა შეიტანეს 80-დე პრაქტიკული წინადადება თბილისის საბჭოს მუშაობის ყველა საკითხებები პირველ რიგში მოითხოვენ სამიკიტნოების დახურვას და კოოპერატიული სავაჭროების და წითელი სასადილოების გახსნას მუშათა უბნებში. მუშათა წინადადებანი შეეხებიან აგრეთვე განაპირა ადგილების კეთილმოწყობას და კონკრეტულად აღნიშნავენ, თუ სად და რა უნდა გაკეთდეს.

თბილისის წევრებად ერთხმად იქნენ არჩეული: აზტაშ გრიგორიანი, ფიდორ გაცუკატოვი, სარქსის პოპოვი, ალექსი გურდული, კანდიდატებათ: სარქის კარდაშევი, არტაშ [illegible].

—:—

თბილისის საბჭოს ახალი დეპუტატები

2 თებერვალს საარჩევნო კრებები ჩატარდა შემდეგ პუნქტებში:

ტყავის ქარხანაში № 2. საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 100 პროცენტი. საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა ამხ. **ქინწერაშვილი.**

მეტყევეობის მთ.-ს ადგილკომში. საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 85 პროცენტი. დეპუტატებად არჩეულია ამხ. **ასატუროვი. შახკულოვი და ზალიევი.**

ზემო.-კვების კავშირის მუშაკებში. კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 73 პროცენტი. დეპუტატებად არჩეულნი არიან: ამხ. **ჩუტულაშვილი, ფართანოვი, გურული, ნანუმოვი.**

განაწესის დამატებაში მუშები მოითხოვენ სამიკიტნოების დახურვას მუშათა უბნებში; უმუშევართა 50 პროც. მოაწყოს სამუშაოზე შრომის კოლექტივებში; სასადილოების გახსნას უმუშევართათვის; კოოპერატიული ორგანიზაციების გაწმენდას ყოფილი ვაჭრების, სპეკულიანტების და სხვა მავნე ელემენტებისაგან.

ზემო.-კვების კავშირში

4 თებერვალს საღამოთი, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა გაერთიანებული კრება ზემო.-კვების კავშირის პირველი და მეოთხე რაი.-ადგილკომში შემავალ წევრების, გლეხთა სახლის, სასტუმრო „პალასი“-ს და „ორიანტი“-ს მუშა-მოსამსახურეების.

კრებაზე წაკითხული იქნა განაწესი ახლად ასარჩევ საბჭოებისათვის, რაც მთლიანად მიიღეს მცირე დამატებებით.

განაწესის მიღების შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ აირჩია 5 წევრი და 2 კანდიდატი, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: **ბიბინეიშვილი სიმონ, სიხარულიძე, ჯიქია, პერშენაშა** და **კასიმსკაია.** კანდიდატებათ: ამხ. **ფულიძე** და **კარტაშევა.**

ახლად არჩეულ დეპუტატებს კრებამ დაავალაა ნაყოფიერი მუშაობა.

თბილისის მაზრაში

ალგულალის თემი

თემში არჩევნები დაიწყო 1-ლ თებერვალს. ორი დღის განმავლობაში არჩევნები ჩატარდა 8 საარჩევნო პუნქტზე. ყველა საარჩევნო კრებებს დაესწრო 1.150 კაცი, მათ შორის 273 ქალი, ანუ ამომრჩეველ ქალთა რიცხვის 50 პროცენტი.

სულ ამოირჩიეს 22 დეპუტატი და 8 კანდიდატი. არჩეულ დეპუტატებს შორის 8 ქალია, 19 უღარიბესი გლეხი, 7 საშუალო გლეხი, 2 მოჯამაგირე და 2 მუშა-მოსამსახურე.

მცხეთის თემი

1-ლ და 2 თებერვალს არჩევნები ჩატარდა 2 საარჩევნო პუნქტზე. ამომრჩეველთა რაოდენობა ორივე პუნქტზე უდრის 1038 კაცს. საარჩევნო კრებებს დაესწრო სულ 845 ამომრჩეველი. მათ შორის 352 ქალი.

ამორჩეულია 22 დეპუტატი, მათ შორის 5 ქალი, 13 მუშა, 8 უღარიბესი გლეხი, 1—საშუალო გლეხი, 2 მოჯამაგირე და 8 მოსამსახურე. საბჭოს ძველი შემადგენლობიდან ახალ საბჭოში გავიდა ხუთი.

საარჩევნო კრებებზე წარმოდგენილი იყო განაწესი, რომელშიაც ამომრჩევლებს შეჰქონდათ დამატებები. არჩევნების დროს კულაკური ელემენტების აშკარა გამოსვლას არსად არ ჰქონია ადგილი. კრებებზე ერთხმად იღებულობდენ კომუჯრედისა და ღარიბთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილ საკანდიდატო სიებს.

საგარეჯოს თემი

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საგარეჯო, 4 თებერვალი. საგარეჯოს თემში 31 იანვრიდან დღემდე, არჩევნები ჩატარდა 8 პუნქტზე. საარჩევნო კრებებს მიუხედავად მკაცრი სიცივეებისა, ამომრჩეველთა 70 პროცენტი ესწრება. გლეხობა იწონებს ღარიბთა ჯგუფების მიერ შემუშავებულ კანდიდატებს. საარჩევნო კრებაზე აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. **ლ. სუხიშვილს, ვ. ბოლქვაძის, მესხის, შოგირაძის** და **მათიკაშვილის** საბჭოს საპატიო წევრად არჩევას.

ივანე დრეიძე.

სართიჭალის თემი

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სართიჭალა, 4 თებერვალი. ორი თებერვლიდან დაიწყო არჩევნები სართიჭალის თემში, საარჩევნო კრებებს ამომრჩევლები ხალისით ესწრება. სართიჭალაში დაესწრო ამომრჩეველთა 60 პროცენტი, როზენფელდში (გერმანელთა სოფელია), დაესწრო ამომრჩეველთა 67 პროცენტი.

ღარიბ და საშუალო გლეხობის კანდიდატები საბჭოში ერთხმად გავიდენ. გლეხ-ქალების დასწრება დამაკმაყოფილებელია. მოჯამაგირეობა აქტივობას იჩენს, გერმანელ მოსახლეობამ საბჭოს საპატიო წევრად აირჩია ამხ. **ლადო სუხიშვილი.**

გ. გარსიაშვილი.

არჩევნები ზეიმით ჩავატარეთ

სართიჭალის თემი

2 თებერვალს სართიჭალის თემის მშრომელი გლეხობამ პირნათლად მოიხადა მოვალეობა საბჭოს არჩევნებში მხურვალე და აქტიური მონაწილეობის მიღებით. თემი საზეიმოდ არის მორთული. დილის სრულ 9 საათზე გაისმის სასულე ორკესტრის გუგუნი. გლეხობა მწკრივად დარაზმული, საარჩევნო პლაკატებით და დროშებით ხელში მიემართება პირველი უბნის საარჩევნო პუნქტზე. სხდომის გახსნის წინ გლეხობაში გაცხოველებული საუბარია იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აირჩიოს საბჭოს დეპუტატებათ.

11 საათზე ამხ. კ. ახათიანი ხსნის კრებას და აცნობს ამომრჩევლებს საარჩევნო ინსტრუქციას. ხსენებულ უბანში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 855, აქედან კრებაზე გამოცხადდა 96 პროცენტი. ადგილობრივ კომუჯრედის, ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის მიერ წინასწარ შემუშავებული კანდიდატების დასახელებას კრება აღფრთოვანებით შეხვდა და ერთხმად აირჩია საბჭოში. თემსაბჭოს საპატიო წევრად არჩეულ იქნა ამხ. ვანო ბოლქვაძე.

განაწესის წაკითხვის და დამტკიცების შემდეგ კრება ვაშას ძახილით დაიხურა.

ამავე დღეს, სრულ სამ საათზე შესდგა სოფ. როზენფელდის პირველი უბნის საარჩევნო კრება. კრების წინ გაიმართა გერმანელი გლეხების დემონსტრაცია. 4 საათზე სხდომა გახსნა ამხ. გოშოძემ. სხდომას დაესწრო ამომრჩეველთა 92 პროცენტი. აქაც ერთხმად იქნა არჩეული კომუჯრედის და ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის მიერ წამოყენებული კანდიდატები. განაწესის დამტკიცების შემდეგ სხდომა დამთავრდა.

ვლ. ჯიბუტი.

ქუთაისის მაზრაში

ვანის თემი

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ვანი, 4 თებერვალი. 27 იანვრიდან ვანის თემში (ქუთაისის მაზრა) დაიწყო საბჭოს დეპუტატთა არჩევნები. თემი დაყოფილია 12 საარჩევნო უბნად, ამომრჩევლების კრებაზე მოწვევა ხდება კომკავშირის ჯგუფებით. ადგილობრივ სკოლების მოწაფეთა და მასწავლებელთა საშუალებით, რამაც საკმაო დადებითი შედეგი მოგვცა. საარჩევნო პუნქტებზე მოწყობილია გასართობები. ლიტერატურული დილები, კარნავალი, სასულე ორკესტრი, საგიტაციო ურმები და მომღერალთა გუნდები.

არჩევნები უკვე ჩატარებულია 9 უბანში, სადაც ამომრჩევლების დასწრება უდრის (მამაკაცების 82 პროცენტს, ქალების 81 პროც.). 9 უბანში არჩეულია 90 დეპუტატი, აქედან 10 ქალი, 5 პარტიული, 12 კომკავშირელი, 70 უპარტიო.

პავლე ჭაბაძე.

ქუთაისი, 5 თებერვალი. საბჭოების გადარჩევა ქუთაისის მაზრაში დაიწყო 1 თებერვალს. არჩევნები მიმდინარეობს თვითკრიტიკის და მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასების აქტივობის ლოზუნგით.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, კრებებზე დასწრება რაიონებში საშუალოდ შეადგენს 85 პროცენტს.

საკრაულის თემში 10 კულაკი სპეკულიანტკულაკმა მიხეილ გორგაძის და კომკავშირიდან გამორიცხულ დავით დოლგაშვილის მეთაურობით გამოცხადდა საარჩევნო კრებაზე და ატეხა ხმაურობა. კულაკებმა დაასახელეს თავიანთი კანდიდატები და მოითხოვდნენ მათი გაყვანა საბჭოში.

კულაკების გამოსვლაზე ღარიბებმა და საშუალო გლეხებმა ღირსეული პასუხი გასცეს, რის გამო კულაკები იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ კრება (ალხ).

ოზურგეთის მაზრაში

გურიანთის თემი

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 4 თებერვალი. არჩევნები დაიწყო 2 თებერვალს **გურიანთის თემში.** მიუხედავად თოვლისა, საარჩევნო კრებებზე, რომლებიც განსაკუთრებულის ზეიმით ჩატარდა, გამოცხადდა ამომრჩეველთა 84 პროცენტი.

თემის გლეხობამ საბჭოს საპატიო წევრათ აირჩია ჩვენი ბელადი ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

თ. ნიკოლაიშვილი.

ჩიბათის თემი

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ჩიბათი, 4 თებერვალი. 3 თებერვალს შესდგა გომბურის, ჩიბათის და ჭალის (გურია) უბნის საბჭოთა საარჩევნო კრებები. კრებებს დაესწრო სამაზრო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი და აგრეთვე ფოთის მუშა ამხ. თავბერიძე, რომელიც ფოთის მუშების დავალებით მიესალმა კრებას. ამომრჩეველთა დასწრება უდრიდა 7. პროცენტს, აქედან ქალები 37 პროც. ასარჩევი იყო 30 დეპუტატი, დასახელებული იქნა 52 კანდიდატი. პერსონალური კენჭის ყრით არჩეულია 30, აქედან მოჯამაგირე—1, ღარიბი—12, საშუალო გლეხები—13, მოსამსახურე—4. საერთო რიცხვიდან კომუნისტი 11, პარტ-კანდიდატები—3, კომკავშირელი—3, უპარტიო—15.

ანტისაბჭოთა ელემენტების ცდა საბჭოში გაძვრენისათვის სასტიკად დამარცხდა. მათ წინააღმდეგ აღიმართა მშრომელი გლეხობის ასეული ხელები. დეპუტატებზე ჩაბარებულ იქნა 19 მუხლიდან შემდგარი განაწესი.

არჩევნების შემდეგ შესდგა ახლად არჩეულ საბჭოს კრება. გამოყოფილია პრეზიდიუმი 5 წევრისა და 2 კანდიდატისაგან. არჩეულთა შორის არიან: კომუნისტი—2, პარტკანდიდატი—1, კომკავშირელი (მოჯამაგირეთა კომიტეტის თავმჯდომარე)—1, უპარტიო—3. არჩეულთა შორის ერთი ქალია. პრეზიდიუმში შედის 3 ღარიბი, 2 საშუალო გლეხი და 2 მოსამსახურე.

ქ. უჯმაჯურიძე.

ნატანების თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ნატანები, 4 თებერვალი. 3 თებერვალს ნატანების თემში ბრწყინვალედ ჩატარდა საბჭოთა არჩევნები. 1840 ამომრჩევლიდან საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა 1068 ამომრჩეველი, რაც უდრის 79 პროცენტს. მათ შორის ქალი 425 (64 პროც.). პრეზიდიუმში არჩეულია 5 წევრი, მათ შორის ერთი ქალი. თემსაბჭოს საპატიო წევრად არჩეულია ამხ. **ვანო ბოლქვაძე.**

პრეზიდიუმი.

რწმუნებულების დაგზავნა ადგილებზე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით. გუშინ დილით მაზრებში გაემგზავრენ თბილისის წარმოებების ის მუშები, რომლებიც მივლინებული იყვნენ ადგილებზე საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად. სულ მაზრებში დაგზავნილია 34 კაცი, მათ შორის ორ-ორი რწმუნებული მიმაგრებულია—გორის, ქუთაისის, შორაპნის, რაჭა-ლეჩხუმის და ზუგდიდის სამაზრო-საარჩევნო კომისიებთან.

ახალციხის, ახალქალაქის, კახეთის, სიღნაღის და ოზურგეთის სამაზრო-საარჩევნო კომისიების განკარგულებაში გაგზავნილია სამ-სამი რწმუნებული. ავტონომიურ რესპუბლიკებში გაგზავნილია: აჭარისტანში—2 რწმუნებული, აფხაზეთში—1 და სამხრეთ-ოსეთში—2 რწმ.

ბორჩალოს მაზრაში გაგზავნილია 4 რწმუნებული. მივლინებული მუშები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებაში გაგზავნილი იყვნენ საშეფო საზოგადოებისაგან.

რწმუნებულებს დავალებული აქვთ ადგილებზე უხელმძღვანელონ საარჩევნო კრებების ჩატარებას და თვალყური ადევნონ, რომ არსად ექნეს ადგილი საარჩევნო ინსტრუქციის რაიმე გადამახინჯებას.

თბილისის მშრომელთა საარჩევნო დემონსტრაცია თავისუფლების მოედანზე

მისალმება საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ქვემო-მაჩხაანი, 4 თებერვალი. ქვემო მაჩხაანის რაიონის მოჯამაგირეთა გაერთიანებული პირველი კონფერენცია 300 კაცის სახელით აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ და დარწმუნებულია, რომ მოჯამაგირეები თქვენი ხელმძღვანელობით პარტიის მტკიცე დასაყრდენ ძალად გადაიქცევა. ქვემო-მაჩხაანის რაიონის 300 მოჯამაგირეს მტკიცედ აქვთ შეთვისებული, რომ მათი ხსნა მხოლოდ ბოლშევიკურ - ლენინურ პარტიას შესწევს. ფიცს ვსდებთ, რომ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებს დარაზმული შეხვედრებით და გაერთიანებული ფრონტით—მძლავრი შეტევით დავამარცხებთ სოფლად პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებს.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

თბ. საარჩევნო კომისიისაგან

თბილისის ცენტრ. საარჩევნო კომისია ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ საარჩევნო უფლებას მოკლებულ მოქალაქეთა ვინაობა გამოქვეყნებულია ცენტრ. საარჩევნო კომისიის მიერ ნაბეჭდ სიებით სამილიციო რაიონების მიხედვით და მხოლოდ აღნიშნულ სიებში მოხსენებულ მოქალაქეთ აქვთ წართმეული საარჩევნო უფლება.

სხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სიები საარჩევნო უფლებას მოქალაქეთ არ ართმევს.

თბ. ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავმჯდ. ვ. ბოლქვაძე.

თბილისის ცენტრ. საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ მეოთხე რაიონის საარჩევნო უბნის საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სიაში შეცდომით არის აღნიშნული შემდეგი მოქალაქენი: 1) მიქელაძე შალვა ანტონის ძე რცხილაძე გრიგოლ სიმონის-ძე და მიხეილ თათარის-ძე ზანდუკელი. ხსენებულ მოქალაქეთ სრული უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საბჭოების არჩევნებში.

თბ. ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავმჯდ. ვ. ბოლქვაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მეოთხე პლენუმი

პირველი სხდომა

გუშინ, 4 თებერვალს, დილის 11 საათზე სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეოთხე მორიგი პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ, 2) ც. ს. კომისიის და მ. გ. ი. 1928—29 წ. მუშაობის გეგმის განხილვა და დამტკიცება, 3) საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგები, 4) პარტიის რიგების გაწმენდის შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები.

პლენუმმა დაადგინა დღის წესრიგის პირველი და მეოთხე საკითხების განხილვა გადატანილ იქნეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს საკონტროლო კომისიების გაერთიანებულ პლენუმის სხდომაზე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოხსენებით საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. სტურუამ.

კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგები

ამხ. სტურუას მოხსენება

მომხსენებელი ეხება იმ ორგანიზაციულ მეთოდებს, რომელსაც მიმართა საკონტროლო კომისიამ საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის დროს და აღნიშნავს: საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში გადასინჯული იქნა სულ 1.938 კაცი. საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას ცნობებით კი აღნიშნულ უჯრედებში უნდა ყოფილიყო 2.447 კანდიდატი, მაგრამ რადგანაც სინამდვილეში ამდენი არ აღმოჩნდა, რაც მოწმობს კანდიდატთა აღრიცხვის მოუწესრიგებლობას, 509 კაცი მოხსნილი იქნა აღრიცხვიდან. გადასინჯულთა 1.938 რიცხვიდან გამორიცხულია 226 ე. ი. 11,6 პროცენტი, აქედან: მუშები 9,8 პროც., გლეხები 14,2 პროც., მოსამსახურენი 70,8 პროც. და სხვა 5,7 პროც. როგორც ზევით აღვნიშნე, გარიცხვა მოხდა უმთავრესად არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე.

ამასთანავე ერთად გადასინჯვის მასალებიდან ირკვევა, რომ საკანდიდატო რიგებში ადგილი აქვს არა კომუნისტური ელემენტების მოძალებას, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ გამორიცხულთა საერთო რიცხვიდან 46,9 პროცენტია უცხო, მეშჩანური და იდეოლოგიურად მერყევი ელემენტები. იბადება კითხვა, როგორ შემოეტმასნენ ისინი ჩვენს პარტიას, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი პარტიული ორგანოების მიერ მთელი რიგი დირექტივებისა იყო მიცემული ადგილებზე პარტიაში მიღების წესების დაცვის შესახებ? საკონტროლო კომისიას ის დასკვნა გამოაქვს, რომ ბევრი ჩვენი ძირითადი ორგანო ზერელედ ეკიდება პარტიაში ახალი კადრების მიღების საკითხს. ასევე შეიძლება ითქვას პარტიის ცალკე წევრების შესახებ, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ ახლად მისაღებ პირებს. ხშირად პარტიის წევრები რეკომენდაციას აძლევენ ამა თუ იმ პირს სრულიად უპასუხისმგებლოთ, რაც ქმნის პარტიის გახრწნის საშიშროებას ასეთი ელემენტებისაგან, მომავალში როგორც უჯრედების, ისე პარტიის ცალკე წევრების მიერ პარტიის ზრდისა და სოციალური მდგომარეობის მოწესრიგების საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს და პარტიის ის წევრები, რომლებიც პარტიის ამ ხაზს სათანადო ანგარიშს არ გაუწევენ, დასჯილი უნდა იქნენ პარტიის დისციპლინის მთელი სისასტიკით.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს მოსამსახურეთა მიღების დროს მათი რიცხვის მინიმუმამდე დაყვანას და საკავშირო კომპარტიის დადგენილებებით ხელმძღვანელობას პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხში: არაპროლეტარულ შემადგენლობის პარტიაში მიღების დროს სასტიკად გასინჯული უნდა იქნეს მათი აქტივობა საზოგადოებრივ მუშაობაში, მათი მომზადება და სიმტკიცე. გაძლიერებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობა რეკომენდაციების მიცემისა.

თითქმის ყველა გადასინჯულ უჯრედებში პარტდავალებები სისწორით არ არის განაწილებული. უჯრედის შემადგენლობის დიდი რაოდენობა პარტდავალებებით დატვირთული არ არის, რასაც უდიდესად მავნე შედეგები მოსდევს, რაც გამოიხატება იმაში, რომ დავალების გარეშე დარჩენილი პირი არ გრძნობს ორგანიულ კავშირს პარტიასთან და მეორე მხრივ დავალებებით გადატვირთული ამხანაგები თავს ვერ ართმევენ საქმეებს, მათი სიმრავლის გამო. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა გავლენას ახდენს მუშაობის ხარისხზეც.

უჯრედები სათანადო სერიოზულობით არ ეკიდებოდნენ აგრეთვე კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის საქმეს. ხშირად გადარიცხვას არ აწარმოებენ იმ მიზეზით, რომ კანდიდატი პოლიტიკურად მოუმზადებელია, უფრო ხშირად კი სულ უმნიშვნელო შეცდომისათვის. ადგილობრივმა გადამსინჯავმა კომისიებმა 118 მუშიდან, რომლებიც გადარიცხული არ იყვნენ წევრებად უჯრედების მიერ, შესაძლებლათ სცნო 95 კაცის გადარიცხვა. ეს ციფრები მოწმობენ იმას, რომ უჯრედების მიერ წამოყენებული მოტივები მათი გადაურიცხველობის შესახებ უმნიშვნელო იყო.

გადასინჯულ საბჭოთა და სასწავლებლების უჯრედების შემადგენლობიდან კანდიდატთა მოუმზადებლობა სჭარბობს უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოთ კი სახ. უნივერსიტეტში. ნაწილობრივად ეს აიხსნება იმით, რომ სტუდენტთა საკმაო ნაწილი სწავლასთან ერთად მსახურობს კიდევაც და [illegible] პოულობს თავისუფალ დროს პოლიტმეცადინეობისათვის.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შემდეგ ამხანაგებმა:

კამათი

ამხ. შამბა

(აფხაზეთი)

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად მოუმზადებელნი არიან ზოგიერთი არა მარტო კანდიდატები, არამედ წევრებიც, საკმაო იქნება, თუ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში (და თბილისშიც) პარტიის ბევრმა წევრმა არ იცის პარტიის წესდება და ის, თუ ვინ არის კანონმდებელი ორგანო რესპუბლიკაში. პარტიის ბევრ წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური და ტექნიკური უცოდინარობიდან გამომდინარეობს ის, რომ ისინი არ ეტვირთებიან პარტდავალებებით და, ცხადია, ვერ შესძლებენ პარტიის დირექტივების გატარებას. ამიტომ საჭიროა უჯრედებმა მათ მომზადებას უდიდესი დიდი ყურადღება მიაქციონ.

აფხაზეთის ორგანიზაციაში ბევრია ისეთები, რომლებიც 2—3 და 8 წლიდაც კი კანდიდატათ ირიცხებიან. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება მათი მოუმზადებლობით, რაშიაც უჯრედებიც მიუძღვით ბრალი, და მეორეს მხრივ შემდგომი ორგანიზაციებიც აგვიანებენ კანდიდატების წევრად გადარიცხვას საქმეს, რაც ხშირად აიხსნება კანდიდატთა და წევრთა აღრიცხვის საქმის ცუდად დაყენებით.

ხშირია შემთხვევა, როცა უჯრედები გადაჭარბებული სიმკაცრით ეკიდებიან თავიანთ წევრებს და კანდიდატებს. გორის მაზრაში (ხაშურში) იყო შემთხვევა, როცა უჯრედმა გარიცხა პარტიიდან აქტიური ქალი „მეშჩანობისათვის“. ეს „მეშჩანობა“ კი მდგომარეობდა იმაში, რომ ამ ქალმა ბაზარზე იყიდა პალტო, რომელსაც სახელოებზე და ზურგზე ბევრი ღილები ჰქონდა.

ამხ. ავთანდილოვი

აჭარისტანში, სანაპირო რაზმში, ერთ-ერთი პირი 3 წლის განმავლობაში კანდიდატათ ირიცხება იმის გამო, რომ მიმღებ კომისიაში ვერ გამოცხადდა (ბათომში) სამსახურების გამო. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ჩვენი პარტიული ორგანოები ხშირად გადაჭარბებით ებღაუჭებიან ამა თუ იმ ფორმალურ მხარეს. ზოგიერთი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე პირი არ არის პოლიტიკურად მომზადებული. საჭიროა მათ მეტი პოლიტიკური ცოდნა მოეთხოვოთ.

ამხ. მამულია

ჩვენი უჯრედების ბიუროები მდივნებიც ხშირად არ არიან პოლიტიკურად და ტექნიკურად გათვითცნობიერებულნი, განსაკუთრებით სოფლად. ამიტომ ბიუროების არჩევნების დროს ეს მდგომარეობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. უჯრედები ხშირად ვერ ერკვევიან იმაში, თუ ვინ, რომელ სოციალურ დაჯგუფებას მიაკუთვნონ და ამ ნიადაგზე შეცდომებს უშვებენ.

კამათის დამთავრებისა და ამხ. სტურუას საბოლოო სიტყვის შემდეგ, პლენუმმა ც. საკონტროლო კომისიის მიერ [illegible] შემოწმება საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლებში კანდიდატების გადასინჯვის შედეგებისა იცნო დამაკმაყოფილებლად და გამოიტანა სათანადო პრაქტიკული რეზოლუცია, რითაც დაიხურა პლენუმის პირველი სხდომა.

მეორე სხდომა

პარტიის რიგების გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან

ამხ. მეგრელიშვილის მოხსენება

საკავშირო კომპარტიის ცკ-ას უკანასკნელ პლენუმზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიის შემადგენლობის შემოწმებისა და მისი გაწმენდის შესახებ პარტიისათვის უცხო ელემენტებისაგან პირველ რიგში სოფლად. ჩვენი პარტიის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ წინდაწინ ვღებულობთ ხოლმე ზომებს ამა თუ იმ მავნე მოვლენათა აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაშიც პარტიამ დროულად დასვა ეს საკითხი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება აიხსნება იმით, რომ პარტიის უკანასკნელი წმენდიდან საგრძნობმა დრომ განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ მოგვეტმასნენ იდეოლოგიურად უცხო და მერყევი ელემენტები. მათი დატოვება პარტიაში ნიშნავს პარტიის გახრწნის ცდებისათვის ხელის შეწყობას. საბჭოების უკანასკნელმა საანგარიშო კამპანიამ დაგვანახვა, რომ არა მარტო ახლად მიღებული, არამედ ზოგიერთი ძველი კომუნისტიც კულაკურ-მეშჩანურ გავლენის ქვეშ იმყოფება. რასაკვირველია, ასეთი ელემენტები სისწორით არ გაატარებენ პარტიის პოლიტიკას. ისინი კიდევაც გადაუხვევენ პარტიის ხაზს და ზიანს მოგვიტანენ. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს საკონტროლო კომისიის განკარგულებაში მყოფი აურაცხელი მასალა. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, როცა პარტიის ზოგიერთი წევრები, რომლებიც მოყოლილი იყვნენ კულაკური გავლენის ქვეშ, გამოდიოდნენ კულაკების დამცველების როლში და მოითხოვდნენ მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭებას.

სამლოცველოებში სიარული, ლოთობა, ჩხუბი, დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა და ზოგჯერ აშკარა ბოროტმოქმედების ჩადენაც კი ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგიერთ „კომუნისტს“ შორის.

ამ საკითხთან ერთად შეიძლება ბევრმა დასვას მეორე კითხვაც: რატომ არ იშორებენ თავიდან ასეთ ელემენტებს თვით პარტიის ძირითადი უჯრედები, რა საჭიროა პარტიის რიგების ზევიდან შემოწმება? საკითხის ასე დასმა იქნება ამ პარტწმენდის სერიოზულობის შეუფასებლობა. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები პირველ რიგში უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ საქმის სიფრთხილით და დაკვირვებით ჩატარებაში, რათა დაიცვან პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე.

ცკ-ას გადაწყვეტილება წმენდის დაწყების შესახებ სოფლის უჯრედებიდან აიხსნება იმით, რომ ქალაქად, სადაც პარტიული ორგანიზაცია უზრუნველყოფილია პროლეტარული შემადგენლობით, ჩვენ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე სოფლად. (ცხადია მარტო საკონტროლო კომისია ვერ შესძლებს ამ ფრიად სერიოზული ამოცანის შესრულებას, ამ საქმეში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ პარტიის ერთგულ მშრომელს მასას. ამისთვის კი საჭიროა წინასწარ ჩატარებული იქნეს მოსამზადებელი მუშაობა. საკითხი წმენდის შესახებ უნდა განხილულ იქნას პარტიულ კრებებზე.

ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მომავალი წმენდა კიდევ უფრო განამტკიცებს ლენინურ პარტიის რიგებს.

ამხ. მეგრელიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ.ამხ. ვარძიელმა, ავთანდილოვმა, ბახტაძემ, ვაცეკმა, ერისთავმა და ფოფხაძემ. რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია.

—:—

ამხ. გოლდბერგის მოხსენება და ამხ. მეგრელიშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვები მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

რალ როჟდესტვენსკის ესკადრის სრული განადგურება, იმ ესკადრის, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებდენ ბიუროკრატიის წარმომადგენლები, საზოგადოების უკმაყოფილების უკიდურეს ხარისხამდე მიიყვანა. და მართლაც, რისი ან ვიღასი იმედი უნდა ჰქონოდა ამოდენა უდანაშაულო ადამიანის სისხლში ამოსვრილ, შინ და გარეთ შერცხვენილ ბიუროკრატიას, თუ არ კაცთ მოძულე და ბნელის მოყვარულ პირთა, როგორიც არიან გრინგმუტები, მეშჩერსკები და ძმანი მათნი. ეს ასეც მოხდა. იმ დროს, როცა ყველანი, განურჩევლათ მიმართულებისა და პარტიული პროგრამისა, ხმა-მაღლა გაიძახიან ხალხის წარმომადგენლების დაუყონებლივ შეერთებაზე და ბიუროკრატიის წყალობით მოვლენილ საერთო უბედურების თავიდან ასაცილებლათ,—ამ დროს **მხოლოდ გრინგმუტის ხრინწიანი ხმა გაისმის სამხედრო დიქტატურის შემოღებაზე რუსეთის ხალხის ბრწყინვალე ელემენტების, მისი საუკეთესო წარმომადგენლების ამოსაწყვეტად, რათა ბიუროკრატიამ, როგორც აქამდის, თავისუფლათ გზავნოს შორეულ აღმოსავლეთში მსხვერპლნი და დაურცხვენლათ ფლანგოს გაყვლეფილი ხალხისაგან ანაგლეჯი მილიონები**[1].

მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია, ფუჭი ოცნებაა. ხალხის სურვილი უკვე გამოირკვა: ხალხის წარმომადგენლების შეკრება დამფუძნებელი კრების მოსაწყობათ, ომის შეწყვეტა, ბიუროკრატიული წესწყობილების დამხობა. უამისოთ შეუძლებელია ხალხის დამშვიდება, საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის შეჩერება, და მით უმეტეს მისი მოსპობა. ამას თხოულობენ დღეს ისინიც კი, ვინც ყველაზე უფრო ხელს უწყობდა ჩვენ ბიუროკრატიას მის სამარცხვინო მოღვაწეობაში, ამას ამბობენ კაპიტალისტების წარმომადგენლები, მრეწველები, ე. ი. ისინი, ვინც მთავრობას უსისინებდა მუშა ხალხზე, ვინც მთავრობას აქეზებდა ახალ ქვეყნების შესაძენათ, რათა ახალი ბაზარი მოეპოვებიათ თავიანთ საქონლისათვის. 9 მაისს, როცა კუნძულ ცუსიმასთან მომხდარ ბრძოლის შედეგი უკვე გამოირკვა, მრეწველობის წარმომადგენლებმა, რომლებიც მოწვეულ იყვნენ მუშათა საკითხის გამოსარკვევათ დაწესებულ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ, ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს მოხსენება წარუდგინეს, სადაც ისინი ამბობდენ, რომ იმ საერთო უბედურების დროს, რომელიც დღეს თავს დაატყდა რუსეთის ხალხს თუ შინაურ ამბოხებათა, თუ გარეთ დამარცხების გამო, ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად შევყურებდეთ ყოველსავე ამას და თქვენთან მუშაობა განვაგრძოთ. გთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს გადასცეთ ჩვენი ღრმა და გულწრფელი რწმენა, რომ დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან რუსეთს დაიხსნის მხოლოდ დაუყონებლივ ხალხის წარმომადგენლების მოწვევაო. თუ ამას ამბობენ ბურჟუა—კაპიტალისტები, თუ ასეთ გადაწყვეტილებას აღებენ ისინი, ვისი არსებობა ხალხის გაყვლეფაზეა დამყარებული, რაღას უნდა ამბობდენ, რაღას უნდა თხოულობდენ ისინი, ვინც მართლა მშრომელ ხალხის, პროლეტარიატის ინტერესებს იცავენ.

მაგრამ მარტო ყვირილი არ კმარა, მარტო სიტყვებით ვერაფერს გახდებიან. ამიტომ საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი. ამიტომ, ვისაც მართლა გულწრფელათ სურს მშვიდობიანობის დამყარება, ხალხის უბედურებისაგან გამოხსნა, იგი უნდა შეუერთდეს იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია იბრძვის ყველა იმის მოსაპოვებლად, რასაც მონობიდან დახსნა, ადამიანის პიროვნების განთავისუფლება ეწოდება. ეს არის მუშა ხალხი, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს შეერთება საერთო, მახლობელ მიზნის მისაღწევად, რაიმე ერთი იოტის ოდენა დათმობას მოასწავებდეს. ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ დღევანდელი საზოგადოება არსებობს, სანამ ბურჟუაზიული წესწყობილება სრულებით არ დაინგრევა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება. დღევანდელი შეერთება სრულებით არ ნიშნავს იმათ დაძმობილებას და დამეგობრებას. დეე ამაზე ნურავინ ფიქრობს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ იმათ, რომლებიც ხალხის დღევანდელი აღელვებული და აღშფოთებული მდგომარეობით სარგებლობენ, დემოკრატიულ სამოსელში ეხვევიან ხალხის თავისაკენ მისამხრობათ. ვინც ასე იქცევა, ვინც **ხალხის განთავისუფლების დროს ნაციონალისტის დროშით გამოდიან და რაღაც ავტონომიას ჩმახავენ, ისინი ნებსით და უნებლიეთ ხალხის ნამდვილი მტრები არიან. ერთი სიტყვით, დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ დღეს უნდა გადაწყდეს რუსეთის ხალხის ბედ-იღბალი, ან დღეს უნდა მოხდეს მისი განთავისუფლება, ან არასოდეს**[1].

ფ. მახარაძე.

---

[1] ხაზგასმა ცენზურას ეკუთვნის. ფ. გ.

[1] ხაზგასმა ცენზურას ეკუთვნის. ფ. გ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„ივერია“-„ცნობის ფურცელმა“ ამ ბოლო დროს აუარებელი წერილები უძღვნა აგრარულ საკითხს. ისე ნომერი არ გამოვა, რომ თითო ორ-ორი წერილი არ დაიბეჭდოს ამ საკითხის შესახებ. ამ წერილების ავტორებს განსაკუთრებით ის პოზიცია აქვთ მიზანში ამოღებული, რომელსაც „მოგზაური“ ადგას ხსენებულ საკითხის ახსნა-განმარტებაში და რომლის წინააღმდეგ ამოდენა ტყვია-წამალს ხარჯავენ ჩვენი არა მკითხე პუბლიცისტები. სამწუხაროდ დღეს-დღეობით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენ საშუალება არ გვაქვს, დაწვრილებით განვიხილოთ ჩვენი მოწინააღმდეგების სრული უსაფუძვლობა და აზრის სივიწროვე, როგორც საზოგადოთ, ისე განსაკუთრებით აგრარულ საკითხის ახსნა-განმარტებაში. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს საშუალება ჩვენ ახლო მომავალში მოგვეცემა, დღეს კი ჩვენი მოწინააღმდეგებს სრული უფლება აქვთ ამ მხრით ბედნიერათ ჩასთვალონ თავისი თავი ამიტომ სავსებით შეუძლიათ ისარგებლონ შემთხვევით და თავის ოცნებაში გააქარწყლონ დიდებული მეცნიერთა მოძღვრება და მის ადგილას თავისი არარაობა და დაჯინება გამოაცხადონ. იმათი განგაში, იმათი ამხედრება მარქსის და ენგელსის წინააღმდეგ მხოლოდ იმათ უძლურებას, იმათ არარაობას, მოასწავებს. ჩვენ აქ არ შევეხებით მარქსიზმის საფუძველთა და დოგმის კრიტიკოსებს, რომლებიც დღეს სოკოსავით გამრავლდენ, მაგრამ რომლებიც ისევ სოკოსავით ქრებიან ამინდის გამოცვლისთანავე. მოვა დრო და ამათ ჩხირ-კედელაობასაც გამოვამზეურებთ დღის სინათლეზე, იმათ უვიცობასაც დავანახვებთ საზოგადოებას. არც ბ. ბ. გომართელების ტაქტიკას და საქციელს შევეხებით: აქ იმათი ლაჩრობა და „ხან ასე და ხან ისე“ მოქმედება დაგვრჩება აღუნიშნავი, თუმცა საზოგადოება ბრმად ღლისაც ხედავს, თუ რამდენად შესაძლებელია ერთ და იმავე დროს ღმერთსაც ემსახურო და ეშმაკსაც გონდრუკი უქციო. დღეს, როცა ყველაზე უფრო საჭიროა თავისი რწმენის და პოზიციის მტკიცე დაცვა ბ. ბ. გომართლები, ნებსით თუ უნებლიეთ ამ რწმენის და პოზიციის სიმტკიცეს კარგავენ და თავისი მოქმედებით ცასაც ეწევიან და მიწასაც, ბატონსაც მოსარჩლეობენ და ყმასაც, მაგრამ აქ არც იმათ მოქმედებას ვეხებით. აქ ჩვენ მკითხველის ყურადღება გაზ. „ივერია“-ს მეთაურ წერილზე უნდა მივაქციოთ. ეს წერილი დაბეჭდილია № 157 და სათაურათ აწერია: „გაპროლეტარების“ მოძღვრება და ჩვენი ცხოვრება“.

ეტყობა ხსენებულ წერილის ავტორი ენა მახვილობას ჩემულობს, მაგრამ მისდა საუბედუროთ მხოლოდ თავის ქარაფშუტობას ამტკიცებს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ წერილის ავტორი ამბობს, რომ პოლიტიკური და ეკონომიური მონობის გვერდით არსებობს კიდევ მესამე გვარი მონობაო. — ე. ი. გონებრივი მონობაო, და დარწმუნებულია, რომ ეს აღმოჩენა სავსებით მას ეკუთვნის და ასეთი აღმოჩენით გათამამებული იგი აშკარათ გაიძახის, რომ ამ გონებრივ მონობაში იმყოფებიან „ჩვენი მესამე დასელებიო“. ჩვენი უბედური ავტორი წუთისაც არ უფიქრდება თავის ნათქვამს, თორემ ის ადვილად მიხვდებოდა ასეთი დაწამების უხერხულობას, მეტადრე თუ თავის მდგომარეობას სავსებით წარმოიდგენდა. მე მაინც არ მინდა ეს დაწამება „ივერიის“ მეთაურის ავტორის წინააღმდეგ გამოვიყენო.

გავშინჯოთ მხოლოდ ის, თუ რაში ხედავს ჩვენი ავტორი „მესამე დასელების“ გონებრივ მონობას. მოვიყვანოთ აქ მისი სიტყვები! „იმათთვის — გვეუბნება ის — არ არსებობს მეცნიერების წინ სვლა და განვითარება, გარეშე იმ თეზისებისა, რომელნიც მათ პარტიულ პროგრამაში წერია; მათი პროგრამის ყოველი თეორიული თეზისი ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მუდმივი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს და მისი დარღვევა ან ცხოვრების განვითარების მიხედვით, შესწორება, არ შეუძლიათ არავითარ მეცნიერებასა და ფილოსოფიას, მეცნიერების მსვლელობა გაიყინა თურმე თეზისებზე და ამიტომ სწავლა-ცოდნა პარტიის პროგრამის ამა თუ იმ მუხლს თავის დღეში ველარ გასცდებაო“. აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი სიყალბე და ცილის წამებაა. როდის იყო, რომ ჩვენი მეცნიერების წინ-სვლას უარყოფდით, როდის იყო, რომ პროგრამის ყველა თეორიული თეზისი ისეთ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნდა, რომელსაც „მუდმივი“ მნიშვნელობა აქვს. მარქსიზმის უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს მუდმივი, აბსოლიუტური ჭეშმარიტებას. მისი შეხედულებით ჭეშმარიტება სინამდვილეა და ამ სინამდვილის ცვალებადობა. ამ ცვალებადობაში მდგომარეობს განვითარება და მეცნიერებაც ხომ ამ განვითარების შეგნება და ახსნა-განმარტებაა. რაკი ეს ასეა, განა შეიძლება რომ მარქსისტებს მეცნიერების წინ-სვლა არ სწამდეთ? მაგრამ იმათ მართლაც არა სწამთ ბურჟუაზიული მეცნიერება, რომელიც მართლაც ყოველგვარი წინ-სვლის წინააღმდეგია და რომლისთვისაც მეცნიერება ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებზეა დაჯინული. ბურჟუაზიის იდეოლოგები, კი ხანია გაიძახიან, რომ მარქსისტები მეცნიერების განვითარებას აფერხებენ. იმათ არა სწამთ არავითარი წინსვლაო. რასაკვირველია, აქ ბურჟუაზიულ მწერლებს განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომია აქვთ მხედველობაში და ბი ახლა ვიკითხოთ: სად ან პოლიტიკურ ეკონომიის რომელი დარგი წასწიეს ბურჟუაზიის იდეოლოგებმა, რით ან რაში გამოიხატება ეს „წინ-სვლა“?. აბა ერთი დაგვისახელეთ, თუ რა შესძინეს ბურჟუაზიის იდეოლოგებმა პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებას. მაშინ, როცა მარქსისტებმა სოციალური და ეკონომიური მეცნიერება გაამდიდრეს საუკეთესო გამოკვლევებით, როგორც წარსული, ისე აწმყო და მომავალ საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ამას შემდეგ ბურჟუაზიის იდეოლოგებს კიდევ შეუძლიათ იძახონ, რომ მარქსისტებს მეცნიერების წინ-სვლა არ სწამთ, იმათთვის მეცნიერული თეზისები გაყინულიაო? მთელი იმათი დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ეკონომისტებისა, მედგრად იცავენ მარქსიზმის თეზისებს დროისა და გარემოების მიხედვით.

სამწუხაროთ მარტო ასეთი სიყალბით და სიცრუით არ კმაყოფილდება ჩვენი ავტორი, უფრო მეტ სიყალბეს იგი იჩენს მაშინ, როცა ჩვენი სოფლის დღევანდელ ვითარებას ეხება. „მთელი საქართველო რომ დაიაროთ, — უკაცრავად გვეუბნება იგი, — ვერ ნახავთ თითქმის ვერც ერთ სხვილ კაპიტალისტურ წარმოებას, რომელზედაც შეიძლებოდეს ვსთქვათ, რომ იგი უმჯობეს ტექნიკის წყალობით, ჩაგრავს და აქრობს წვრილ მეურნეობას... თუ რაიმე ტექნიკური გაუმჯობესება შედის ჩვენებურ სასოფლო მეურნეობაში, ეს ხდება არა სხვილ მემამულეთა ან მწარმოებელთა, არამედ წვრილ მწარმოებელთა საშუალებით“. „სხვილ წარმოებამ, — რომელიც ჩვენში არ არსებობს,— არა თუ ვერ დაჩაგრა წვრილი წარმოება (საკვირველია: თუ არ არსებობს, როგორ დაჩაგრავდა), არამედ, პირიქით, სხვილ მემამულეთა მიწადმფლობელობას მოაკლდა თვალსაჩინო ნაწილი მიწისა (მაინც რამდენი, ბრძენო ავტორო, რათ არ ამბობთ) წვრილ გლეხების ხელში გადავიდა და ამ გვარათ წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი გამრავლდა. ჩვენ შეგვიძლია თამამად (ოღონდაც, განა შერცხვებათ ტყუილების) ვთქვათ, რომ საქართველოში სხვილ საკუთრებას, ტექნიკის უპირატესობის წყალობით, არც ერთი გლეხი არ გაუპროლეტარებიაო“. ახლა ხომ მიხვდით, თუ რაში მდგომარეობს „მეცნიერების წინ-სვლა“, ახლა რომ გესმით, თუ რათ უსაყვედურებდა ჩვენი ავტორი მარქსისტებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ეკონომისტების [illegible] სიყალბეს დაობს აქ ჩვენი ბურჟუა-ლიბერალი. მისი სიტყვით, ჩვენი კუთხეულ საქართველოში თურმე ერთი მკვიდრი კაპიტალისტური წარმოებაც არ არის ისეთი, რომელიც წვრილ წარმოებას, თუ წვრილ მეურნეობას ჩაგრავდეს— ამავე კუთხეულ საქართველოშივე ყოველგვარ ტექნიკურ გაუმჯობესებას ახდენს თურმე არა მსხვილი მრეწველი, არამედ წვრილი მესაკუთრე. როგორც ხედავთ აქ ავტორმა უკუღმა შეატრიალა არა თუ ნამდვილი მეცნიერება, არამედ ბურჟუაზიულიც კი. მაგრამ სიყალბის უმაღლეს საფეხურამდე აღწევს ჩვენი ავტორი მაშინ, როცა ამბობს, რომ „საქართველოში მსხვილი საკუთრებას, ტექნიკის უპირატესობის წყალობით (ტექნიკის უპირატესობა აქ რა შუაშია. — ეს ჩვენ სრულებით არ გვესმის), არც ერთი გლეხი არ გაუპროლეტარებიათ“, ე. ი. შევიწროვებული და დაჩაგრული ჩვენში, ამ ახირებულ ქვეყანაში წვრილი მწარმოებელი და წვრილი გლეხი კი არ არის, არამედ სხვილი მემამულე და სხვილი მწარმოებელიაო. პირდაპირ ამას ამბობს „ივერიის“ ბელადი და ჩვენ, რასაკვირველია, ეს არ უნდა გვაკვირვებდეს. ვინაიდან სწორეთ ასეთი უნდა იყოს ბურჟუაზიის, ნამდვილი იდეოლოგი. ამნაირად აქ განახლებულმა „ივერიამ“ აშკარათ დაგვანახვა თავისი ნამდვილი ფიზიონომია, გადაჭრით გვითხრა, თუ როგორ უყურებს იგი თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილებას. მაგრამ მის ბურჟუაზიულობას, მის წმინდა ბურჟუაზიულ მისწრაფებას კიდევ უფრო აშკარათ გვიხატავს შემდეგი მისი სიტყვები: „მაშ ჩვენში არ ხდება გლეხთა წრეში გაპროლეტარება, — კითხულობს „ივერიის“ მეთაურის სახელოვანი ავტორი, და ასეთ პასუხს იძლევა: „უეჭველი ხდება, მაგრამ ეს არის გამოწვეული არა სხვილ წარმოების ტექნიკის (აქაც ეს ტექნიკა) უპირატესობით და კონკურენციით, არამედ ხალხის გამრავლებით. ხალხი შეუჩერებლივ მრავლდება, ხოლო მიწის საერთო სივრცე ერთი და იგივე რჩებაო“, — გვეუბნება ჩვენი ავტორი. ერთად ერთი დასკვნა აქედან ის არის, რომ ხალხის გამრავლება უნდა შეიზღუდოს და თუმცა ჩვენი ავტორი დღეს ასეთ ზომაზე არ გვეთითებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ლოღიკურად მსჯელობის უნარი არ აქვს. ჩვენი ავტორი სოფლის მცხოვრებთა ზედმეტ ელემენტებს, რომლებსაც ხალხის გამრავლების მიერ გამოწვეულ უმწეობის გამო სოფელში თავის რჩენა აღარ შეუძლიათ, ქალაქში წასვლას ურჩევს, მაგრამ ამას როდი ფიქრობს ჩვენი ბრძენი ავტორი, რომ ტექნიკის გაუმჯობესება მრეწველობაშიაც შედარებით ამცირებს მუშა-ხელის მოთხოვნას და მაშასადამე, დიდ ძალ ხალხს ულუკმა-პუროთ ტოვებს. მაგრამ საიდან შეტყო მეთაურის ავტორმა, რომ გლეხკაცების გაპროლეტარება ხალხის გამრავლებით ხდება და არა იმიტომ, რომ დიდძალი მამული და მიწა ან მინდორი თითო-ოროლა სხვილ მემამულეების ხელშია? ერთი სიტყვით თუ ლოღიკურად იარა ჩვენმა ავტორმა, იგი უეჭველად იმ დასკვნამდე მივა, რომლამდის ამ ასის წლის წინეთ ცნობილი მალტუსი მივიდა. ესე იგი მან ქართველ ხალხს ე. ი. მუშა-ხალხს, უნდა ურჩიოს, რომ ნუ გამრავლდებით, თორემ სიმშილისაგან სიკვდილი არ აგცილდებათო და განა ამის შემდეგ კიდევ გამოვა ვინმე და იტყვის, რომ განახლებულს „ივერიის“ ხელმძღვანელთ და მის პუბლიცისტებს არ შეტკივათ გული ჩვენი ხალხისათვის? განა ისინი მართლა „ეროვნული“ მწერლები არ არიან? მალტუსსაც ხომ სწორეთ ასე შეტკიოდა გული მუშა ხალხისათვის, როცა იმას ურჩევდა, რომ ეცადეთ, ნუ გამრავლდებით, თორემ ამოწყდებით, რადგანაც ახლა ბუნების კანონით სასმელ-საჭმელი ისე როდი მრავლდება, როგორც ადამიანი, და ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ თქვენ ამოწყდებით. მდიდრები, ე. ი. ისინი ვინც თქვენი ნაოფლარით სუქდება, აქ სრულებით დამნაშავენი არ არიან, ვინაიდან ბუნება თქვენთვის საზრდოს არ იძლევაო. ჩვენი ქართველი მალტუსიანელებიც გაიძახიან, რომ ქართველი გლეხების გაპროლეტარებაში ქართველ სხვილ მემამულეებს არავითარი ბრალი არ ედებათ, ვინაიდან „ხალხი მრავლდება და მოსავლის სივრცე კი ერთი და იგივე რჩებაო. ყოველივე ეს ბუნების ბრალიაო“. ჯერ - ჯერობით ამით გავათავოთ იმათთან საუბარი.

ფ. მახარაძე.

აგრარული კითხვა

ამ ბოლო დროს ჩვენ ჟურ.-გაზეთებში ძლიერ მოუხშირეს აგრარული კითხვის შესახებ წერილების ბეჭდვა. „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ ამ კითხვის გარკვევაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ორივე გაზეთს, ასე ვსთქვათ, „ნაფიცი“ პუბლიცისტები გამოუჩნდენ, რომლებიც აგრარულ კითხვის შესახებ აუარებელ წერილებს სწერენ და კამათობენ. ისე ნომერი არ გამოვა, რომ ერთი, ან ხშირად ორი წერილი არ იყოს დასტამბული ხსენებული კითხვის შესახებ. ეს გარემოება კი უტყუარი ნიშანია იმის, რომ ამგვარ კითხვების გარკვევა უდიდეს საჭიროებას შეადგენს. სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ივერია“—„ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტები ძლიერ მოუმზადებელი დახვდენ ასეთ კითხვების კვლევა-ძიებას, მათ მოულოდნელად დაატყდათ თავზე, როგორც აგრარული კითხვის გარკვევა, ისე მთელი დღევანდელი აგრარული მოძრაობა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი, როგორც საზოგადოებაში, ისე პრესაში გაიძახოდენ, რომ ჩვენში ამგვარი კითხვა სრულებით არ არსებობსო, რომ ყოველივე ეს განგებ გამოგონილია იმათ მიერ, ვინც ჩვენ ცხოვრებას დასავლეთ ევროპის ცხოვრების თვალით უყურებსო და სხვა. ასევე იქცეოდენ ჩვენი ნაქები ვაჟბატონები მუშათა კითხვის შესახებაც. მაგრამ, როცა ცხოვრების ულმობელმა ლოღიკამ უარყო და გააქარწყლა ასეთი ყალბი შეხედულება, მაშინ იმათაც მოღუნეს თითი და იძულებული შეიქნენ ეცნოთ, რომ ჩვენშიაც არსებობს მუშათა კითხვა იმ სახით, რა სახითაც ეს დასავლეთ ევროპაში არსებობს. მსგავსათ ამისა, ის პუბლიცისტები, რომლებმაც გუშინ არც კი იცოდენ, თუ რა ხილი იყო აგრარული კითხვა, დღეს ამის შესახებ აუარება წერილებს ბეჭდვენ. აქ ადგილი არა აქვს არც ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულათ საგნის თეორიულად განხილვას და არც დღევანდელი პირობების ცოდნას. ორივე მხრით ხსენებული პუბლიცისტების წერილები მეტად კოჭლობენ: იქ აგრარული საკითხის ვერც სწორ თეორიულ მოსაზრებას იპოვით და ვერც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეზე დამყარებულ ცნობებს. მართალია, აგრარული პირობები ჩვენში დღემდის გამოუკვლეველია სტატისტიკურად, მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ სწორ თეორიას, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დამყარებულს, რამდენიმედ აქაც შეუძლია სინათლის მოფენა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმის შეგნება, რომ აგრარული საკითხი არ არის გამოყოფილი საზოგადო, საერთო სოციალურ კითხვისაგან, რომ მისი გადაწყვეტა არ შეიძლება ცალკე საერთო საკითხის გარეშე, რომ ერთი სიტყვით, აგრარული საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია საზოგადოთ მუშათა კითხვასთან. ვისაც ეს შეგნებული აქვს, იგი, რა თქმა უნდა, აგრარულ საკითხს არ გამოყოფს ცალკე და არ მოინდომებს მის გადაწყვეტას დამოუკიდებლად. ჩვენი აზრით, თანამედროვე აგრარული კი-

პირადი სიცოცხლის დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევა სხვადასხვა სახის დაზღვევებთან ერთად აწარმოებს ადამიანის პირად დაზღვევასაც.

არის დაზღვევა სიკვდილის შემთხვევაში. ასეთი დაზღვევის წესით დაზღვეული პირი პრემიას პირადათ ვერ მიიღებს, ვინაიდან ჯილდო გაიცემულ იქნება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ასეთი სახის სიცოცხლის დაზღვევა ბევრს არ აკმაყოფილებს. მათ სურთ თავისი თავი უზრუნველყონ სიბერის დროს და სიცოცხლეშივე მიიღონ დაზღვევის ჯილდო. ასეთი პირებისათვის არსებობს დაზღვევის სხვა სახე, რომელსაც ეწოდება შერეული გეგმით დაზღვევა.

შერეულ გეგმით დაზღვევის დროს სახდაზღვევო ვალდებულია გასცეს ჯილდო, თუ დაზღვეული მიაღწევს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჰასაკამდე, ან იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული უდროო ადრე გარდაიცვალა. გარდა ამისა ამ წესით დაზღვეულს სახდაზღვევო უზრუნველჰყოფს უბედურ შემთხვევისაგან სამუდამოთ ან დროებითი შრომის უნარის დაკარგვის დროს.

სიცოცხლის დაზღვევის ასეთი განსაკუთრებული სასარგებლო თვისებით აიხსნება, რომ ყველა ქვეყნებში ის დიდათ არის გავრცელებული. წინად სიცოცხლის დაზღვევა როგორც ჩვენში ისე რუსეთშიც, ფართოდ იყო განვითარებული. მაგრამ ამ საქმის სათავეში იდგა კერძო კაპიტალისტები, რომლებიც მთავარ მიზნად ისახავდნენ, პირად მოგებას. ჩვენს პირობებში კი სახელმწიფო დაზღვევის სათავეში უდგას თვით პროლეტარული სახელმწიფო. სახელმწიფო დაზღვევის მიზანს არ შეადგენს მოგება. მისი უმთავრესი მიზანია: დახმარება გაუწიოს დაზღვეულს გაჭირვების დროს.

რამდენად დიდია ის თანხები, რომელსაც ხდიან მოქალაქეები დაზღვევისათვის? თუ 25 წლის მოქალაქე დააზღვევს თავის სიცოცხლეს 1.000 მანეთში 30 წლით მას დაახლოებით მოუწევს თვეში გადასახადი 2 მანეთამდე. მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასა ღებულობს თვეში 70—80 მან. ამ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთათვის ყოველთვიურად 2 მანეთის გადახდა დაზღვევისათვის არ იქნება მეტად ძნელი.

თითეულმა მშრომელმა, სანამ ის დასდებს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას, უნდა გაითვალისწინოს შესძლებს თუ არა ის სისტემატიურად აწარმოოს დასაზღვევო გადასახადის შეტანა. დაზღვევა შესაძლებელია არა მარტო ათას მანეთში, არამედ ნაკლებშიაც, რის შესაფერისადაც დაზღვევის პრემიაც მცირდება.

არის სიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა ფორმები—არის დაზღვევა ერთპიროვნული (ინდივიდუალური) და ჯგუფობრივი. ერთპიროვნულ დაზღვევის დროს თითეული ცალკე მოქალაქე დამოუკიდებლად აზღვევს თავის სიცოცხლეს. ჯგუფობრივ დაზღვევის დროს იზღვევს თავს ერთ და იმავე წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მთელი ჯგუფი. (ჯგუფში უნდა შედიოდეს არა ნაკლებ 8 კაცისა). დაზღვევა შეიძლება ექიმის შემოწმებით და შეუმოწმებლადაც. არის შემთხვევა, როდესაც დასაზღვევი პირები ვერ მიდიან ექიმთან, არ სურთ დრო დაჰკარგონ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს საექიმო შემოწმება დაზღვეულს აძლევს უპირატესობას: თუ დაზღვევა მოხდა სამკურნალო შემოწმებით, სახდაზღვევო გასცემს ჯილდოს დაზღვეულის სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებლათ იმისა, რისგან მოკვდა დაზღვეული და როდის; სულ სხვაა დაზღვევა სამკურნალო შემოწმების გარეშე. აქ სახდაზღვევო მხოლოდ მაშინ იწყებს დაუყოვნებლივ პასუხისმგებლობას როცა დაზღვეულის სიკვდილი გამოწვეულია უბედური შემთხვევისაგან ან მძიმე გადამდებ სენისაგან. მაგრამ, თუ სიკვდილი გამოწვეულია სხვა რაიმე მიზეზით, სახდაზღვევა არ ღებულობს დაუყოვნებლივ პასუხისმგებლობას.

თუ დაზღვეული გარდაიცვალა პირველი წლის ნახევარშივე, სახდაზღვევო დაუბრუნებს დაზღვეულის ოჯახს მხოლოდ უკვე შეტანილ პრემიას. თუ სიკვდილი მოხდა დაზღვევის წლის მეორე ნახევარში, სახდაზღვევა გასცემს დაზღვევის ნახევარს. თუ დაზღვეული გარდაიცვალა დაზღვევის დადებიდან ერთი წლის შემდეგ, სახდაზღვევო გასცემს დაზღვევის თანხას მთლიანად, რისგანაც არ უნდა გარდაიცვალოს დაზღვეული.

დაზღვევისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადასახადი საგრძნობლად მცირეა. საშუალო ასაკის მშრომელი, რომელიც დააზღვევს თავის სიცოცხლეს მაგალითად, 1000 მანეთში, დაახლოებით წლიურად გადაიხდის 30—40 მანეთს. ცხადია ამ თანხის ერთბაშად გაღება ძნელია. ამიტომ სახდაზღვევო ანაწილებს ამ გადასახადს წლის მეოთხედობით და თვეობითაც კი. ასეთი განაწილებით გადასახადის შეტანა ხდება პროცენტების დაურიცხავად.

დაზღვეულს უფლება აქვს ამა თუ იმ საჭიროებისათვის სახდაზღვევოდან მიიღოს სესხი. სახდაზღვევო ვალდებულია გასცეს სესხი არა უმეტეს გამოსასყიდი თანხის რაოდენობისა. სახდაზღვევო ვალდებულია აგრეთვე, თუ დაზღვეულმა დაჰკარგა შრომის უნარი არა ნაკლებ 30 პროცენტისა, განთავისუფლოს დაზღვეული გადასახადისაგან და უსასყიდლოდ დასტოვოს ის დაზღვეულად მთელი დანარჩენი დროის გასვლამდე. თუ დაზღვეულმა შრომის უნარი დაჰკარგა 30 პროც. მეტი, მაშინ ის მიიღებს დაზღვევის თანხის ნაწილს და განთავისუფლებული იქნება შემდგომში დასაზღვევო პრემიის გადასახადისაგან.

დაზღვევის თანხის დანარჩენი ნაწილი გაიცემა დაზღვეულის სიკვდილის შემდეგ. თუ დაზღვეულმა დაჰკარგა შრომის უნარი მთელი 100 პროცენტით, სახდაზღვევო დაუყოვნებლივ მისცემს მას დაზღვევის თანხას მთლიანად. ასეთია ის უმთავრესი შეღავათები რომელსაც სახდაზღვევო ანხორციელებს.

სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება სახელმწიფო დაზღვევის ყველა კანტორებში და სამაზრო საქალაქო და საუბნო სააგენტოებში. დაზღვევის თანხა და დრო დამოკიდებულია დასაზღვევი პირის სურვილზე.

ა. დ—ძე.

აბრეშუმის მრეწველობის პერსპექტივები

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა განიხილა და მიიღო აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის 5-წლიანი პერსპექტიული გეგმის მეორე ვარიანტი. გეგმით გათვალისწინებულია, რომ აბრეშუმის ძაფის გასაყიდი ფასები შემცირებულ იქნეს 5 წლის ბოლოსთვის 15 პროცენტით ხოლო აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხნების პროდუქციის თვითღირებულება—28 პროცენტით.

მუშების საშუალო ხელფასი აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებში გადიდებული უნდა იქნეს 52 მანეთამდი იმ მოსაზრებით, რომ ფაბრიკების პროდუქციის ზრდას, არ ჩამორჩეს მუშათა ხელფასის საშუალო დონე.

მომავალი 5 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუშათა საბინაო აღმშენებლობას, რისთვისაც გათვალისწინებულია დაიხარჯოს 200.000 მანეთი.

7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ გეგმა ითვალისწინებს შემდეგს: 1929-30 წლის განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. დანარჩენ ფაბრიკებში შემცირებული სამუშაო დღე შემოღებული იქნება მომავალ 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა ვადებში. შემცირებული სამუშაო დღის შემოღების საკითხი აბრეშუმის ტრესტმა, ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეუთანხმოს პროფკავშირებს.

5-წლიანი პერსპექტიული გეგმის მეორე ვარიანტის განხილვის შემდეგ, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა აბრეშუმის ტრესტს 1931-32 წელს თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში შემოიღოს 3 ცვლათ მუშაობა. აღნიშნული ფაბრიკა ამუშავდება მიმდინარე წლის გაზაფხულზე. გარდა ამისა ტრესტს დაევალა შეისწავლოს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, ან რა წესით უნდა მოხდეს აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკებში პროდუქციის გადამუშავების შემდეგ დარჩენილ მასალის, ე. წ. ნარჩენების გამოყენება და იქედან ახალი საჭირო პროდუქტების დამზადება.

კანონი პროფკავშირთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

დღემდე პროფკავშირთა ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არ იყო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს ინიციატივით წარდგენილი კანონი პროფკავშირთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. კანონში ნათქვამია, რომ პროფკავშირები და მათი საკავშირთაშორისო გაერთიანებები არ აგებენ პასუხს თავიანთ მოქმედებაში მაშინ, როდესაც ისინი მუშების და მოსამსახურეების ინტერესებს წარმომადგენლობენ და იცავენ. ისინი პასუხს არ აგებენ არც კოლექტიური და ინდივიდუალური ხელშეკრულებების გამო. პროფკავშირული ორგანიზაციები, რომელნიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობენ, ქონებრივად პასუხისმგებელნი არიან იმ საერთო წესების მიხედვით, რომლებიც სამოქალაქო კანონმდებლობით არის დადგენილი. კანონი წარმოდგენილია საკავშირო სახკომსაბჭოში საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ დასამტკიცებლად.

ჭიათურა

რა გვაკლდა—რა შევიძინეთ

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მარგანეცის ტრესტი კონცესიონების წასვლის მეორე დღიდანვე შეუდგა ჭიათურის განადგურებულ წარმოების აღდგენას. მუშაობა ქარხანა-მაღაროების აღსადგენად მოითხოვდა უამრავ მასალას (ხე-ტყეს, რელსებს, ვაგონეტკებს, მანქანებს და სხვა), რაც ტრესტს არ ჰქონდა საკმაო რაოდენობით. პირველ ხანებში ამ მხრივ ტრესტი განიცდიდა კრიზისს. შემდეგში კი, მიღებული ზომებით, ეს კრიზისი აღმოფხვრილი იქნა.

კონცესიონერმა დასტოვა ჭიათურაში — 120.000 ბიჯგი, აქედან თვით ჭიათურაში იყო 80.000 ბიჯგი, მაღაროებში იყო ატანილი — 40 ათასი ბიჯგი.

წინასწარი გამოანგარიშებით ეს ბიჯგები უნდა ჰყოფნოდა ტრესტს 10 თვის განმავლობაში.

მაგრამ, რადგან მუშაობამ მაღაროების აღსადგენად მიიღო ფართო ხასიათი და საჭირო შეიქნა მაღაროების დიდი რიცხვის ამუშავება, ტრესტს ბიუჯეტი არ ეყო.

მიმდინარე წლის 1-ლ იანვრისათვის ტრესტის საწყობში იყო 21.000 ბიჯგი, მაღაროებში—27.000, იანვრის პირველ რიცხვებში მიღებულ იქნა 8000 ბიჯგი.

ეხლა, როდესაც მაღაროების დიდი რიცხვი აღდგენილია, ბიჯგების ეს რაოდენობა ეყოფა ტრესტს იანვრის და თებერვლის განმავლობაში.

ჭიათურის უზრუნველსაყოფად ბიჯგებით შემდგომი მუშაობისათვის ტრესტმა დაუკვეთა საჩხერის სატყეოს 50.000 ბიჯგი, ოზურგეთის სამაზრო გლეხკომს—60.000 ბიჯგი, ინვალიდთა არტელი „გურია-სამეგრელო“ ამზადებს 100.000 ბიჯგს.

ამის გარდა ტრესტი შეუთანხმდა შავი ზღვის სანაპიროების სატყეოს 400.000 მუხის ბიჯგის დამზადების შესახებ.

ამრიგად ტრესტი ამჟამად სავსებით უზრუნველყოფილია ბიჯგებით.

რელსების მხრივ პირველ დღეებში მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. უნდა ითქვას, რომ კონცესიონერმა სამი წლის განმავლობაში შემოიტანა ამერიკიდან მხოლოდ 5 ვაგონი რელსი, რაც წარმოადგენს ფრიად უმნიშვნელო რაოდენობას ჭიათურისათვის.

მარგანეცის ტრესტმა (სრულიად რუსეთის ფოლადის სინდიკატს დაუკვეთა 25 ვაგონი რელსი, მიღებულია ცნობა, რომ 10 იანვარს სინდიკატს გამოეგზავნება 4 ვაგონი რელსი. დანარჩენი რელსები მიღებული იქნება თანდათანობით.

რელსების მხრივ ჭიათურა სავსებით უზრუნველყოფილია დიდი ხნით.

ასეთივე მდგომარეობაა ვაგონეტკების მხრითაც.

აქაც, ჩვეულებრივ, კონცესიონერმა გამოიჩინა „ეკონომია“ და შემოიტანა ამერიკიდან მხოლოდ 75 ვაგონეტკა.

ტრესტი ნოვოჩერკასკში ამზადებინებს 85 ვაგონეტკას, აქედან 45 უკვე მიღებულია. დანარჩენი 40 ვაგონეტკა მიღებული იქნება თებერვალში.

ამას გარდა 26 კომუნარის სახელობის ქარხანა (თბილისში) ამზადებს 200 ცალ ვაგონეტკას. ქარხანამ უკვე მიაწოდა ჭიათურას 80 ვაგონეტკა.

საბინაო მშენებლობა

კონცესიონერის დროს საბინაო მშენებლობა მიმდინარეობდა ფრიად სუსტად. ტრესტი ამჟამად განიცდის უბინაობას, ბევრ ქარხანა-მაღაროებთან არ არის საცხოვრები ბინები მუშებისათვის.

საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია 500,000 მანეთი. დადებულია ხელშეკრულება სატყეო ტრესტთან ხის მასალის დამზადების შესახებ. მასალა უკვე მზადდება და გაზაფხულზე ტრესტი შეუდგება მუშებისათვის ბინების აგებას.

ტელეფონები

ყველა ქარხანა-მაღაროში მოკლე ხანში გაყვანილი იქნება ტელეფონის ხაზი, რომ გაფანტული ქარხნები და მაღაროები დაკავშირებულ იქნენ ერთი-მეორესთან და ცენტრთან.

ამ მიზნით ტრესტი ამზადებს ტელეფონის 500 ბოძს.

სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი შეუდგა ტელეფონის აპარატების დამზადებას ჭიათურისათვის.

ტელეფონების გაყვანისათვის გადადებულია ტრესტის მიერ 15.000 მანეთი.

სპეცტანსაცმელი

მარგანეცის ტრესტს სპეცტანსაცმელი და საპონი ამჟამად საკმაო რაოდენობით მოეპოვება.

ტრესტი უკვე ამზადებს სპეცტანსაცმელის მარაგს 1929 წლისათვის.

საზოგადოება „მკერავი“ ამზადებს ტრესტისათვის მაღიუსკინის ხალათების 500,000 კომპლექტს.

ტრესტის ცნობით უკვე მიღებულია ხალათების 200.000 კომპლექტი.

მზადდება 8.000 ცალი წინსაფარი, 500 ლიბა, ხელთათმანები, ხალათები დამლაგებლებისათვის და სხვა.

საკავშირო ტყავსინდიკატს დაკვეთილი აქვს 10.000 წყვილი ფეხსაცმელი, სინდიკატი ვალდებული იყო უკვე მიეწოდებინა ტრესტისათვის ფეხსაცმელები, მაგრამ ვერ მოასწრო შეკვეთის შესრულება. მიღებულია ცნობა, რომ სინდიკატი ყოველდღიურად მიაწოდებს ტრესტს 2,000 წყვილ ფეხსაცმელს.

ტრესტი ამზადებინებს სპეციალურ ქუდებს ბრეზენტისაგან, რადგან ამერიკული ტიპის ქუდები საბჭოთა კავშირში არ მზადდება.

მანქანების შემოზიდვა

მარგანეცის ტრესტს შედგენილი აქვს მანქანების იმპორტის გეგმა, რომლის მიხედვით ტრესტი რეგულიარულად მიიღებს საზღვარგარეთიდან საჭირო მანქანებს და მანქანების ნაწილებს.

მოკლე ხანში მიღებული იქნება 8 ბენზინომავალი: 4 ამერიკიდან, 4 გერმანიიდან.

მიღებული იქნება 1 ექსკავატორი, რომელიც იმუშავებს არა ორთქლით, არამედ ელექტრო-ენერგიით.

აგრეთვე შემოზიდული იქნება მანქანების მრავალი ნაწილი.

ყველა მის გარდა საბჭოთა ფირმას „ლითონის საწყობს“ დაკვეთილი აქვს 200.000 მანეთის სხვადასხვა იარაღი და ხელსაწყოები.

როგორც ვხედავთ, შავი ქვის ტრესტის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები ჭიათურის წარმოების უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო მასალით, რათა წარმოება არ შეფერხდეს და ჭიათურამ შეასრულოს მთავრობის მიერ დასახული გეგმა.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 3 თებერვალი.

კოლმეურნეობათა მშენებლობა აფხაზეთში

აფხაზეთის კოოპერატიულმა კავშირმა შეადგინა აფხაზეთში მეთამბაქოების კოლმეურნეობათა განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. გეგმა უკვე დამტკიცებულია ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ და ახლა დაწყებულია გეგმის იმ ნაწილის განხორციელება, რომელიც ეხება მიმდინარე 1929 წელს. ამჟამად ეწყობა სამი კოლექტიური მეურნეობა, რომელთა დანიშნულებაა თამბაქოს გახმობა საერთო ძალღონით; ამ კოლმეურნეობათა გარშემო გაერთიანებული იქნება 35 თამბაქოს მეურნეობა 26 ჰექტარი მიწით.

გაერთიანებების მოწყობა გნზრახულია გუდაუთის, ეკატერინო-მერხეულის და ოჩემჩირის რაიონებში. ამ კოლექტივების თამბაქოს სახმობ ფარდულების ასაგებად აფხაზეთის კოოპერატიულ კავშირის მიერ გამოთხოვილია 33.000 მანეთი.

ამას გარდა ეწყობა კიდევ ერთი კოლექტიური მეურნეობა (მიწის საერთო წესით დამუშავებელი კოლმეურნეობა) სოფ. ალახაძის რაიონში და ხუთი კოლმეურნეობა დრანდის, იშერო-გუმისტის, ეკატერინო-მერხეულის, გუდაუთის და მიხაილოვის რაიონებში. სულ კოლმეურნეობებში თამბაქოს დასათესად გამოყოფილია 40 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის სულ გამოთხოვილია 100.000 მანეთი. კოლმეურნეობათათვის მიცემულ კრედიტების დაფარვა განზრახულია 5—8 წლის განმავლობაში 2.5 პროც. დარიცხვით წლიურად. ფინანსებს გარდა ახალ კოლმეურნეობებს მიეცემათ სასუქიც. მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები ხეხილის ნერგები და საწარმოო მასალები გაცემული იქნება ნისიად მოკლე ვადით.

კოლმეურნეობებთან ერთად, აფხაზეთის კოოპერატიული კავშირი აწყობს უფრო წვრილ გაერთიანებებსაც რაიონულ კოოპკავშირებთან არსებულ სანერგეების საექსპლოატაციოდ. ამ ამხანაგობებს ევალებათ აგრეთვე თესლის დამზადება. ამას გარდა, გადაწყვეტილია მიმდინარე წლის გაზაფხულიდან ეკატერინო-მერხეულის რაიონის სოფ. ბაგმარანში გახსნილი იქნეს კოოპერატიული მეურნეობა საჩვენებელი პლანტაციით.

საქართველოს მერძევეთა არტელების წარმომადგენელთა ყრილობა

პირველი სხდომა

კვირას, 3 თებერვალს, კოოპსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა საქართველოს მერძევეთა არტელების წარმომადგენლების პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა „სოფლის კავშირი“-ს გამგეობის წევრმა ამხ. შ. დუგლაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ რევოლიუციის წინა ხანებში საქართველოში მოიპოვებოდა მერძევეთა მხოლოდ სამი ამხანაგობა, ეხლა უკვე ჩამოყალიბებულია მერძევეთა 67 კოოპერატიული არტელი, რომელშიაც შეკავშირებულია 5.900 მეურნეობა. მეძროხეობის სას.-სამ. კოოპ. მშენებლობას აქამდე ხელმძღვანელობდა „სოფლის კავშირი“-ს მერძეობის სექცია. მერძეობის კოოპერაციის მშენებლობის უფრო ფართოდ და სწორად წარმოება მოითხოვს, რომ სას.-სამ. კოოპერაციის ამ დარგს ხელმძღვანელობდეს სპეციალური კავშირი. ყრილობა მოწვეულია იმ მიზნით, რომ გაიცნოს „სოფლის კავშირი“-ს მერძეობის სექციის მიერ ჩატარებული მუშაობა, შექმნას მერძეობის კოოპერატიული ცენტრი და მისცეს მას გარკვეული სამუშაო გეგმა.

შემდეგ არჩეული იქნა ყრილობის პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პირველი სხდომა დაიხურა და ყრილობის წევრები მიწვეული იქნენ კონცერტზე გლეხთა სასახლეში.

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე, 4 თებერვალს დილით, მოსმენილი იქნა „მასლოცენტრი“-ს წარმომადგენელ ამხ. კოსტინის მოხსენება საბჭ. კავშ. მერძეობის სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობის შესახებ:

ამხ. კოსტინის ცნობით, ამჟამად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებულია 6 ათასზე მეტი მერძევეთა არტელი, რომლებშიაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მერძეობის საქმის კულტურულად დაყენებას. არტელებს დაქირავებული ყავთ სპეციალური მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მეწველი საქონლის კვებას და მოვლა-პატრონობას. ამ ღონისძიებების შედეგები თვალსაჩინოა. ჩრდილოეთ-კავკასიაში არტელებს ყავთ ძროხები, რომლებიც წლიურად იძლევიან 450 ფუთამდე რძეს (პრიმიტიულად მოვლილი ძროხები კი ძლევიან 50—70 ფუთ რძეს).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბალახეულის თესვას და საძოვრების გაუმჯობესებას.

მერძეობის კოოპერაციის საკუთარი თანხები 1928 წლის ივლისში უდრიდა 40 მილიონ მანეთს. აქედან ძირითად ქსელში დაგროვილი იყო 30 მილიონი მანეთი.

ყველ-კარაქის ქარხნების შეკეთებაზე გასულ წელს დაიხარჯა 13,5 მილიონი მანეთი. „მასლოცენტრის“ ბრუნვა 1924—25 წელში უდრიდა 40 მილიონ მანეთს, გასულ წელს—25 მილიონ მანეთს. აგრიკულტურულ ღონისძიებებზე გასულ წელს დაიხარჯა—1.800.000 მანეთი.

მესაქონლეობისა და მერძეობის განვითარების პერსპექტივები

მესაქონლეობის და მერძეობის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა მიწადმოქმედების ზოოტექნიკურ სადგურის უფროსმა პროფ. ჯანდიერმა.

ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური,—ამბობს მომხსენებელი,—რომ ჩვენში არ ვარგა საქონლის ჯიში. ეს მართალი არ არის. საქართველოში ადგილობრივი მეწველი საქონლის მთავარ ჯიშს წარმოადგენს „ხევსურული“ ფშავური, სენაკელი, თარაქამა და მეტისი. არის აგრეთვე ევროპიული კულტურული ჯიშებიც, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას და ძნელად იცავენ სხვადასხვა ეპიზოოტიას. ეპიზოოტია ჩვენში ხოცავს ევროპიული ჯიშის საქონელს 50—98 პროცენტამდე, ადგილობრივ ჯიშის საქონელს კი 20 — 40 პროცენტამდე.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ზოოტექნიკურმა სადგურმა გასულ წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიძინა 40 ადგილობრივი ჯიშის ძროხა, რომლებიც წინად წლიურად იძლეოდენ 40 ფუთამდე რძეს, რაციონალური კვების და მოვლა-პატრონობის შემდეგ ამავე ძროხებმა წლიურად მოგვცეს 90 ფუთი რძე.

ჩვენებური ძროხები რომ ცოტას იწველიან, ამისი მიზეზი არის ის, რომ ჩვენი გლეხობა ვერ უვლის მეწველ საქონელს.

მერძეობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს წესიერი კვების შესწავლა. მერძეობის განვითარების საერთო პირობებს წარმოადგენს: გზების გაყვანა-შეკეთება (რომ რძე არ ილახებოდეს ქარხანაში მიტანამდე), რძის პროდუქტების ფასების სწორი პოლიტიკა, მაცივრების აგება, საკრედიტო დახმარების გაძლიერება და რძის პროდუქტების დამამზადებელ სპეციალისტების კადრის შექმნა.

განზრახულია ყველ-კარაქის ქარხნების ქსელის გაფართოება და არსებული ქარხნების შეკეთება, გაერთიანებული ფარეხების მოწყობა რაციონალური კვების შესასწავლად; საგრილებელი პუნქტების მოწყობა; საკვების მიწოდება კოოპერაციის საშუალებით და ბალახეულობის თესვის გავრცელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შვეიცარული ყველის დამზადების გაძლიერებას. ზოოტექნიკური სადგური ამჟამად ამზადებს ყველის დასამზადებელ წმინდა კულტურას, რომელსაც ახლო მომავალში მივაწვდით მერძევეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით.

მიმდინარე წლის გეგმით მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს განზრახული აქვს 8 საგრილებელი პუნქტის მოწყობა, რა მიზნითაც გადადებულია 43.400 მანეთი, ჯიშიანი მომშენებლების შესაძენად 70.000 მანეთი, მერძევეთა მოკლე ვადიან და ორ თვიანი კურსების მოსაწყობათ—8.900 მანეთი; ყველ-კარაქის დამზადების საჩვენებელ 45 პუნქტის მოსაწყობათ—26.640 მან., 40 ადგილას მოწყობილი იქნება საჩვენებელი კვება; 7 რაიონში მოეწყობა გამოფენა რაც დაჯდება—7.000 მანეთი; მოეწყობა 4 შეჯიბრება, რაც დაჯდება 8.000 მანეთი. მეწველი საქონლის შესაძენად გადადებულია 240.000 მანეთი, ძველი ქარხნების შესაკეთებლად გადადებულია 60.000 მან., ახალი ქარხნების ასაგებად—420.000 მანეთი და ქარხნების საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად—300.000 მანეთი.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მომხსენებლებს მისცეს შეკითხვები.

მშენებლობის გასაიაფებლად

წარსული წლის დეკემბერში საკავშირო მთავრობამ გასცა განკარგულება მშენებლობის გაიაფების შესახებ (მომავალ სააღმშენებლო სეზონში).

ამ განკარგულების განსახორციელებლად შრომისა და თავდაცვის საბჭომ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. პირველ ყოვლისა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს წინადადება მიეცა მიიღონ ზომები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სააღმშენებლო მასალების თავის დროზე მიწოდება ადგილობრივ ბიუჯეტიდან. ამ ღონისძიების შესრულებისათვის დაწესებული უნდა იქნეს პიროვნული პასუხისმგებლობა.

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატს წინადადება მიეცა გამოსცეს ინსტრუქცია სააღმშენებლო მასალების გასაცემი ფასების დაკლების შესახებ და 1922 წლის 1-ლი აპრილისათვის წარუდგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოხსენება სააღმშენებლო მასალებზე ფასების ფაქტიურად დაკლების შესახებ.

სააღმშენებლო მასალების ღირებულებას ამჟამად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშენებლობის გაიაფების საქმეში. ამიტომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიიღოს სასწრაფო ზომები სააღმშენებლო მასალების, კერძოდ კი—ფანჯრის მინის, აგურის და სხვ. ღირებულების გასაუმჯობესებლად.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს სტანდარტიზაციო კომიტეტს წინადადება მიეცა შეიმუშაოს 1929 წლის სააღმშენებლო სეზონში საჭირო ხე-ტყის, ლითონისა და სხ. სააღმშენებლო მასალების ასორტიმენტი.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა შექმნას ტრესტი სტანდარტული ტიპის სააღმშენებლო მასალების დასამზადებლად და გაატაროს სილის, ხრეშისა და თიხის დამზადების მექანიზაცია მშენებლობის მსხვილ ცენტრებში.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ხელის შეწყობის და ეკონომიის დაცვისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში ტექნიკური ძალებისა და მუშების ჩაბმის მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სასწრაფო წესით შეიმუშაოს წახალისებელი ღონისძიებანი, კერძოთ კი—დადგენილება დაჯილდოების სისტემის შესახებ ფაქტიური მიღწევებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის გამომუშავების გაფართოების და მათი ღირსების გაუმჯობესების დარგში.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატ. კავშირის დაარსება

კვირას, 3 თებერვალს, „სოფლის კავშირში“ შესდგა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობას დაესწრენ საქართველოდან—„სოფლის კავშირი“-ს, აზერბეიჯანიდან—„კებირილიგი“-ს და სომხეთიდან „აიგიუხკოოპი“-ს წარმომადგენლები.

ყრილობაზე განხილული და დამტკიცებული იქნა ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის კავშირის წესდება, რის შემდეგ არჩეული იქნა კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობა არჩეულ იქნა შვიდი კაცის შემადგენლობით.

გამგეობის წევრებად არჩეული არიან ამხ. კირილე კაკაბაძე (კავშირის თავმჯდომარე), პიჩიკიანი, შირვანსკი, ამხ. ძ. ჩხენკელი (ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე) [illegible] („სოფლის კავშირი“-ს თავმჯდომარე), ა. ფარაჯ-ზადე („კებირილიგი“-ს თავმჯდომარე) და არუთიუნიანი („აიგიუხკოოპი“-ს თავმჯდომარე). სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნენ რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირის ახლად არჩეულ გამგეობას ყრილობამ წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შეუდგეს ოპერატიულ საქმიანობას ექსპორტისა და იმპორტის დარგში.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი

მეექვსე სხდომა

შაბათს, 2 თებერვალს დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ა.-კ. რკინის გზებზე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

მოხსენებებით გამოვიდნენ ა.-კ. რკ. გზების საფინანსო განყოფ. უფროსის თანაშემწე ამხ. ნუროევი და ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ავაქიანი.

ამხ. ნუროევმა განაცხადა, რომ გზაზე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები გასულ სამეურნეო წელში ვერ იქნა შემცირებული 20 პროცენტით. წლის პირველ ნახევარში ხარჯების შემცირება გამოიხატა სამმართველოში 6,5 პროც., ხაზზე—1,9 პროც., ხოლო მთელს გზაზე 4,2 პროც.

წლის მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. ხარჯების შემცირება ამ პერიოდში გაიზარდა. სამმართველოში ხარჯები შემცირდა—22 პროცენტით, ხაზზე—6 პროცენტით, ხოლო მთელს გზაზე—14 პროცენტით

მიმდინარე სამეურნეო წლის ოქტომბერში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები მთელს გზაზე შემცირდა 18 პროცენტით, ნოემბერში 18,6 პროცენტით.

სრულიად სხვაგვარი მდგომარეობა დაუხატა პლენუმს ამხ. ავაქიანმა.

მუშ. და გლეხთა ინსპექციის გამოანგარიშებით, ადმინ.-სამეურნეო ხარჯების შემცირება გზაზე გასულ წელში გამოიხატა 5,8 პროცენტში, იმ დროს, როდესაც დანარჩენ გზებზე შემცირება უდრიდა 15-დან—20 პროც.

დირექტივის შეუსრულებლობას მომხსენებელი ხსნის იმით, რომ გზის გამგეობა გვიან შეუდგა ხარჯების შემცირებას.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა დაწინაურებულ მუშების ამხ. ასლანოვის (ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი) და სტეფანოვის (ა.-კ. რკ. გზ. წევის დარგის უფროსის თანაშემწე). მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ სამეურნეო ორგანიზაციაში.

ორივე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ პირველად მათ ძალიან უძნელდებოდათ მუშაობა, მაგრამ ეხლა, აპარატის და მუშაობის ხასიათის გაცნობის შემდეგ უფრო იოლად ერკვევიან საკითხებში.

როგორც ამხ. ასლანოვმა, ისე სტეფანოვმა განაცხადეს, რომ გზის გამგეობა და სპეციალისტები მათ ყოველმხრივ ეხმარებიან.

მეშვიდე სხდომა

იმავე დღის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ასლანოვის და სტეფანოვის მოხსენებების გარშემო.

შემდეგ გაიმართა კამათი ინჟ. შახბუდაგოვის მოხსენების (გზის 5 წლიანი გეგმა) გარშემო.

განსაკუთრებით ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საკითხმა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის შესახებ.

ინჟ. ლაზარევმა (ინჟინერ-ტექნიკოსთა ბიუროდან) განაცხადა, რომ უღელტეხილის ელექტროფიკაცია ნაადრევია; უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა უღელტეხილზე მეორე ხაზის დაგება, რადგან იგი უფრო იაფი დაჯდებოდა.

ინჟ. შახბუდაგოვმა არ გაიზიარა ინჟ. ლაზარევის აზრი და მრავალი მასალებით დაამტკიცა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის აუცილებლობა. მისი სიტყვით ელექტროფიკაცია უფრო იაფი ჯდება, ვინემ მეორე ხაზის გაყვანა.

მერვე სხდომა

კვირას, 3 თებერვალს, დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხ. კულიევის მოხსენება საკლუბო მშენებლობის ხუთ წლიან პერსპექტიული გეგმის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში გზაზე უნდა აშენდეს ექვსი კლუბი: ხაშურში—800 კაცისათვის, ლენინაკანში—800 კაცისათვის, აჯიკაბულში—500 კაცისათვის, სამტრედიაში—1000 კაცისათვის, თბილისში—1500 კაცისათვის და ბაქოში—1500 კაცისათვის.

სულ კლუბების აღმშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს—4.132.260 მანეთი.

ამხ. კულიევის მოხსენების შემდეგ, პლენუმმა მოისმინა ამხ. უსტიაშვილის ინფორმაცია გენერალური კოლექტიური ხელშეკრულების ვადის ერთი წლით გაგრძელების შესახებ.

შემდეგ საპროგრამო საკითხად იყო დასმული საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმში ამხ. რაზმაძის (თბილისის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე), ამხ. გრუზენნიკოვის (საგზაო კომიტეტის წევრი) და ამხ. მახმუდოვის (განჯის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე) ჩაბმა.

პლენუმმა ხსენებული ამხანაგები დაამტკიცა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ მოხსენებების შესახებ და პლენუმი დაიხურა.

ხელფასის მომატება მასწავლებლებისათვის

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების პედაგოგიურ პერსონალის ხელფასის გასადიდებლად, გაცემულია დამატებითი კრედიტი 415.740 მანეთის რაოდენობით. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების სახ. კომისარიატს ამ თანხიდან 236.000 მანეთი მოახმაროს პედაგოგიური პერსონალის ჯამაგირების გადიდებას იმ ანგარიშით, რომ პირველი იანვრიდან 12 საათისათვის მუშაკის მასწავლებლებმა მიიღონ 90 მანეთამდე. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მასწავლებლებმა—85 მანეთი, და არა ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მასწავლებლებმა 75 მანეთამდე. დანარჩენი 179.740 მ. უნდა მოხმარდეს სტიპენდიების რიცხვის გადიდებას და განათლების კომისარიატის სხვა საჭიროებას.

ქაღალდის ეკონომიის დასაცავად

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: წინადადება მისცეს კავშირის ყველა ცენტრალურ გამგეობებს, დაწესებულებების ადგილკომების საშუალებით ხელი შეუწყონ ქაღალდის მაკულატურის შეგროვებას და ამ მიზნით მუშაობაში ჩააბან ეკონომიური კომისიები და თათბირები. მათვე წინადადება ეძლევათ გამოარკვიონ უკვე ნახმარი ქაღალდის რაოდენობა, რომელსაც არა აქვს საარქივო მნიშვნელობა, იმ მიზნით, რომ ეს ქაღალდი გადაეცეს სათანადო ორგანოებს. მათვე უნდა გამოიმუშაონ ღონისძიებები ქაღალდის ხარჯვის შესამცირებლად.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას მოიწვიოს ძირითად პროფორგანიზაციების და ეკონომკომისიების თათბირი სათანადო ინსტრუქციების მისაღებად ამ საკითხის შესახებ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა აგრეთვე დასვას საკითხი ასეთი მუშაობის ჩატარების შესახებ სამაზრო პროფბიუროებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პროფსაბჭოების წინაშე.

თხვა სოფლის პროლეტარიატის, სოფლის მუშების კითხვაა, და გზა მისი გადაწყვეტა შეიძლება ისე რომ მთელი მუშა ხალხის ბედი არ გადაწყდეს. ვისაც ეს შეგნებული არა აქვს, იმას, რასაკვირველია, წარმოდგენილი არ აქვს, თუ რამდენათ რთული და ძნელი გადასაწყვეტია დღეს აგრარული კითხვა. ავიღოთ მაგ., ბ-ნი გ. რ. ეს ახლად გამოჩენილი პუბლიცისტი ალბად დარწმუნებულია იმაში, რომ აგრარულ საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საზოგადოთ მთელი მშრომელ ხალხის ბედიღბალთან და ამიტომ იგი ახლავე გვირჩევს მიწის სოციალიზაციას, ესე იგი მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას, მისი საზოგადო საკუთრებათ გამოცხადებას. მაგრამ იგი ერთ წუთსაც არ უფიქრდება იმ გარემოებას, რომ განა შეიძლება კერძო საკუთრების მოსპობა წარმოების ერთ დარგში, ესე იგი მეურნეობაში, თუ იმავე დროს მრეწველობაში კერძო საკუთრების პრინციპი ხელუხლებელი დარჩება. მიწის და საზოგადოთ წარმოების ყოველგვარ იარაღის საერთო საკუთრებათ გამოცხადება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ძირიან - ფესვიანად შეიცვლება მთელი თანამედროვე წესწყობილება, რომელიც კერძო საკუთრებასა და დაქირავებულ შრომაზე არის დამყარებული. სანამ არ მოხდება ეს ძირითადი და საყოველთაო ცვლილება, მიწის სოციალიზაციაზე ლაპარაკი ფუჭია. ფუჭია აგრეთვე ყველა იმ პარტიების მოღვაწეობა, რომლებიც ახლა დაუყოვნებლივ, ბურჟუაზიულ წესწყობილებაში, თავის პროგრამის მთავარ მუხლად მიწის სოციალიზაციას აყენებენ.

აგრარულ კითხვას ჩვენ უყურებთ ისე, როგორც მთელი თანამედროვე მუშათა საკითხის ერთ ნაწილს. ამიტომ, აშკარაა, ჩვენი შეხედულებით, ამ კითხვის გადაწყვეტა მჭიდროდ დაკავშირებულია მუშათა კითხვის გადაწყვეტასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ იმას, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტის დროს ჩვენ განსაკუთრებულ პირობებთან გვაქვს საქმე, და ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს. ეს განსაკუთრებული პირობები უმთავრესად ორგვარია: ზოგიერთი იმათგანი მომდინარეობს იქიდან, რომ მიწა, როგორც წარმოების იარაღი, სრულებით არა გავს წარმოების სხვა იარაღს, რასაც ჩვენ დაწვრილებით ქვევით განვიხილავთ. მეორე - გვარი პირობები იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მფლობელობას სავსებით დღემდისაც არ დაუკარგავს წარსულიდან, ესე იგი ბატონყმობის და ფეოდალური წესწყობილების წრიდან ნაანდერძევი თვისებები. მაგრამ იმავე დროს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენათაც ძლიერი არ უნდა იყოს ყველა ამ ფაქტების გავლენა სოფლის მუშების მდგომარეობაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქაც იმ სისტემას აქვს, რომელიც დღეს წარმოებებშია გაბატონებული, ესე იგი კაპიტალისტურ წესწყობილებას. მიწის სიმცირე თუ სივიწროვე, საიჯარო გადასახადის რაოდენობა, სამეურნეო ნაწარმოების ფასის აწევა თუ დაწევა, — ყოველივე ეს კაპიტალისტური წარმოების ფარგალშია მომწყვდეული, და იმათი თავიდან აცილება შეუძლებელია მანამ, სანამ თვით ეს წესწყობილება არ მოისპობა და მის ადგილს სოციალიზმი არ დაიჭერს.

მაგრამ სოციალიზმი ხომ პროლეტარიატის მოძღვრებაა, ესე იგი იმ საზოგადოებრივი კლასის, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საწარმოვო იარაღს. ამიტომ ძალაუნებურად იბადება საკითხი: აქვს თუ არა სოციალიზმის მოძღვრებას ნიადაგი თანამედროვე სოფლის პირობებში, ვინაიდან გლეხობის უმრავლესობას დღემდის შერჩენილი აქვს მიწა, თუმცა ეს მიწა მისთვის კერძო საკუთრების აჩრდილს წარმოადგენს და არა ნამდვილ საკუთრებას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ დღევანდელ სოფლის პირობებს, არ გავიგებთ იმას, თუ რა ხდება, ან რა მოხდა აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნული იქნას, თუ რა მოახდინა სოფელში კაპიტალისტური წარმოების გავლენამ, თუ როგორ დაყო მცხოვრებლები სხვადასხვა ჯგუფებათ, თუ როგორ ვითარდება და ფეხს იკიდებს სოფლად, მეურნეობაში, კაპიტალისტური წარმოება, თუ როგორ ხდება გლეხობის ერთ ნაწილის სულ უმიწა-წყლოდ დარჩენა, თუ როგორ იზრდება სოფელში მოჯამაგირეების და კაპიტალისტურ მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი, თუ როგორ მატულობს იმ გლეხთა რაოდენობა, რომლებიც სოფლიდან გარეთ, ფაბრიკა - ქარხნებში, მოდიან სამუშაოდ. ყველა ამის შესწავლა საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანი პასუხი გავცეთ არა მარტო ზევით დაყენებულ კითხვებზე, ესე იგი აქვს თუ არა სოციალიზმის მოძღვრებას ნიადაგი თანამედროვე სოფლის პირობებში, არამედ აქედან ჩვენ ადვილად დავინახავთ , თუ სოფელში დღეს რაგვარი მუშაობა და მეცადინეობაა საჭირო, ესე იგი, თუ რა პრაქტიკული პროგრამით უნდა ხელმძღვანელობდეს დღეს სოფელში საზოგადო მოღვაწე. ამ მოკლე შესავლით ჩვენ რამდენიმეთ განვსაზღვრეთ შემდეგი წერილების შინაარსი[1].

ფ. მახარაძე.

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ზუგდიდის მაზრაში

მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთ ერთი მთავარი დარგია ზუგდიდის მაზრაში. ამ კულტურის წარმოებაში ჩაბმულია მაზრის მოსახლეობის 70%-ი. ომამდე მაზრაში მოჰყავდათ 30.000 ფუთი ნედლი პარკი. ომისა და რევოლიუციის ხანებში მეაბრეშუმეობა ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, დაეცა. 1924 წლიდან დაიწყო მისი აღდგენა და უკვე 1926 წელში მიაღწია ომამდე არსებულ დონეს. აი ცხრილიც.

წლები	დარიგებული თესლის რაოდენობა		მოსავალი
	კოლოფ.	მისხლ.	ფუთებში
1923	6790	40740	5281
1924	17634	106100	6445
1925	16000	96000	23000
1926	19330	115980	29228
1927	19080	114480	23000
1928	15915	95490	27000

დღევანდელ პირობებში ერთი კოლოფი თესლიდან საშუალოდ გამოდის 20 კილო და 800 გრამი პარკი. აბრეშუმის პარკის საშუალო წლიური მოსავალი მაზრაში უდრის 480.000 კილოგრამს, რაც შეადგენს საქართველოს მეაბრეშუმეობის პროდუქციის 21%-ს.

მეაბრეშუმეობის პროდუქცია მაზრაში შეადგენს მაზრის სოფლის მეურნეობის ყველა დარგების წლიური პროდუქციის 7,9%-ს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მოსახლეობამ არ იცის აბრეშუმის ჭიის წესიერი მოვლა, გამოკვება. აკლიათ საკვები მასალა და საჭირო ინვენტარი და საერთოდ არა აქვთ საკმაო ცოდნა მეაბრეშუმეობის რაციონალურად წარმოებისათვის, მეაბრეშუმეობის დარგში გეგმით გათვალისწინებული იყო ყველა ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ, საპერსპექტივო პირველი ხუთწლედის დასასრულში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეაბრეშუმეობის პროდუქცია გაიზრდება 50 პროცენტით.

მოსახლეობაში დარიგებული აბრეშუმის ჭიის თესლის რაოდენობა კოლოფებში წლების მიხედვით უდრის:

	1926 წ.	1927 წ.	1928 წ.
ზუგდიდის მაზრაში	19330	19080	15915
საქართველოში	97000	97828	87500

ქუთაისის მაზრის შემდეგ მეაბრეშუმეობის დარგში მოსავლიანობისა და პარკის ხარისხის მიხედვით პირველა ადგილი ზუგდიდის მაზრას უჭირავს. როგორც მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აბრეშუმის ჭიის თესლის წლიური მოხმარება ზუგდიდის მაზრაში შეადგენს საქართველოში დარიგებულ რაოდენობის 19,5 პროცენტს. თუ დღეს მაზრას საკუთარი მოთხოვნილებისათვის ესაჭიროება 20.000-მდე კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი, გეგმით განზრახული ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ ეს რაოდენობა გაიზრდება დაახლოვებით 50 პროცენტით.

როგორც უკანასკნელი ათეული წლების გამოცდილებიდან ვიცით, რომ ზუგდიდში დამზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი გამოდის საქართველოში არსებული ყველა საგრენაჟო სადგურების თესლებზე უკეთესი ხარისხის. ოთხი უკანასკნელი წლების დაკვირვებების შედეგებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივად დამზადებული თესლიდან მოსავალი, შედარებით სხვა სადგურების თესლებთან, საგრძნობლად დიდია და ჭიის დაავადმყოფების პროცენტი სრულიად უმნიშვნელოა. ზუგდიდში დამზადებულმა თესლმა სახელი მოიპოვა არა მარტო ზუგდიდის მაზრაში, არამედ მაზრის გარედაც. ზუგდიდის თესლი ცნობილია სამურზაყანოს, სენაკის, ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში, საიდანაც ყოველწლიურად მოდის მოთხოვნილება ამ თესლზე. ეს აიხსნება მეაბრეშუმეობისათვის ხელის შემწყობი ადგილობრივი ბუნებრივი პირობებით.

დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზუგდიდის საგრენაჟო სადგური რომლის აგება განზრახულია, მოგვცემს საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლს მთელს რესპუბლიკაში. ამიტომ არა მარტო მაზრის, არამედ რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვენ გამოყენებული იქნეს აბრეშუმის ჭიის თესლის დასამზადებლად ფრიად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და დახელოვნებული ადგილობრივი მუშა-ხელი, რომელიც ჩვენს მაზრაში საკმაოზე მეტია

მეორე საშუალება, რომელიც მისცემდა სტიმულს მეაბრეშუმეობის განვითარებას, ეს არის ძაფსახვევ ქარხნის აგება ზუგდიდში. ჩვენი მთავრობას განზრახული აქვს კიდევ ერთი ქარხნის აგება მიმდინარე საბიუჯეტო წლიდან, რომელიც ჩვენი აზრით, ზუგდიდში უნდა აშენდეს.

მესამე საშუალება მეაბრეშუმეობის განსავითარებლად ზუგდიდის მაზრაში, ეს არის თუთის ხეების გაშენება, რომლისათვის გადაიდგა რეალური ნაბიჯი. ზუგდიდის მაზრაში ეწყობა თოთხმეტი დესეტინა მიწაზე სანერგე ორ ადგილას: ერთი ხობის რაიონში და მეორე ჩხოროწყუს. ორივე სანერგეებიდან ორი წლის შემდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ ორ მილიონ ნახევარი ძირი თუთის ნერგი, რომლებიც უფასოდ უნდა დაურიგდეს საშუალო და ღარიბ გლეხობას. ამით ჩვენ მოვსპობთ ერთ მთავარ დაბრკოლებას, მეაბრეშუმეობის განვითარების დარგში ზუგდიდის მაზრაში.

მეოთხე, არის საინკუბაციო კამერების მოწყობა. გასულ წელს საინკუბაციო, ესე იგი ჭიის გამოსაყვან კამერების მოწყობამ ზოგიერთ ჩვენს თემებში მოგვცა ფრიად კარგი შედეგები. გამოირკვა, რომ ჭიის გამოყვანა იმ წესით, ისე პრიმიტიულად, როგორც ეს ხდებოდა და დღესაც ხდება გლეხების მიერ, ძალზე აზიანებს ჭიას, რომელიც თანდათან ავადმყოფდება და იხოცება. ამრიგად საინკუბაციო კამერები უნდა მოეწყოს ყველა თემებში და ყველა კოლექტივებში, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ.

მეხუთე საშუალება, აბრეშუმის მოსავლიანობის გასადიდებლად, ეს არის ჭიის მოსაყვანი ბინების აშენება. ჯერჯერობით ამაზე არავის უფიქრია და თუ ვინმე ფიქრობს — საქმედ არ ქცეულა. ხოლო უამისოდ, ყველა ზემოაღნიშნული საშუალებანი კიდევაც რომ ამოვწუროთ, მიზანს მაინც ვერ მიაღწევთ. ამნაირად საჭიროა სათანადო ბინების მოწყობა ჭიების მოსაყვანად. ის ბინები, რომლებშიაც გლეხობის დიდი უმრავლესობას მოჰყავს აბრეშუმის ჭია, უვარგისია, ვინაიდან ყოვლად შეუძლებელი ხდება გარკვეული ტემპერატურის დაცვა. აბრეშუმის ჭია ვერც ზედმეტ სითბოს იტანს და ვერც სიცივეს. არსებულ ბინებში კი ტემპერატურის მოწესრიგება შეუძლებელია. უამისოდ კი მთელი შრომა გლეხის მთელ ოჯახს ტყუილ - უბრალოდ ეკარგება. ამიტომ საჭიროა მეაბრეშუმეობის რაიონებში საჩვენებელ პუნქტებთან მოწყობილ იქნეს ტიპიური ბინები აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად: ზუგდიდის მაზრაღმასკომის აგრონომიული განყოფილება უკვე შეუდგა ასეთი ბინების აშენებას ზუგდიდის რაიონის საჩვენებელ პუნქტში, სადაც მიმდინარე წელში იქნება ორი კოლოფი თესლიდან გამოყვანილი ჭია მოთავსებული და მოყვანილი. ბინასთან ეწყობა საინკუბაციო კამერაც. საჭიროა ასეთ მაგალითს სხვა მეაბრეშუმეობის რაიონებშიც მიბაძონ, მოაწყონ ასეთივე ბინები, რაც მოსავალს ერთი ოთხად და კიდევ მეტად გაადიდებს. ტიპიური ბინა, რომლის პროექტს აქ ვათავსებთ, ჩვენ გვიჯდება 600 მანეთი, ხოლო გლეხს ეს შეუძლია დაიჯდინოს გაცილებით ნაკლებად, — აი როგორ:

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები სახლი*)



განაკვეთი ა—ბ-ზე.



საკუთარი მასალის და შრომის გარდა დასჭირდება: 1) ლურსმანი — 10 მან., 2) მინები ფანჯრებისათვის—34 მანეთი; 3) კარების და ფანჯრების პეტლები — 4 მან., 4) გაკეთების ხელფასი 50 მან. სულ 98 მან. თუ გაკეთება თვითონ შეუძლია, დაუჯდება 50 მანეთამდე.

ამნაირად ის ფართე გლეხურ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია. იქ შეიძლება ტემპერატურის მოწესრიგება, კულტურულად ყაჭის მოვლა და მისი მოყვანა.

აი, ყველა ის ღონისძიებები და საშუალებები, რომლებიც ჩვენ დასახული გვაქვს ზუგდიდის მაზრაში მეაბრეშუმეობის განსავითარებლად.

ი. ჟვანია.

წითელი არმიის 11 წლის თავისათვის

წითელი არმიის მე-11 წლის თავის ჩატარებისათვის, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ცალკე სამხედრო ნაწილებს და უფროს შემადგენლობას შორის გამოცხადებულია შეჯიბრება-გამოძახება საუკეთესო წინადადებაზე, იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდეს წითელი არმიის მე-11 წლის თავი. 17 თებერვალს შეჯიბრება-გამოძახებას დაუკეთდება დასკვნა და გამოცხადდება დღესასწაულის ჩატარების ფორმაც.

ქუთაისი

ბოროტმოქმედება

ქუთაისი, 3 თებერვალი. საქართველოს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს კომისიამ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს სარევიზიო განყოფილების ინსპექტორის ამხ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით მოახდინა ბარიტის ქარხნის, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის და მოწამეთის კირის ქარხნის მშენებლობის გამოკვლევა. აღმოჩენილია დიდი ბოროტმოქმედებანი და უყაირათობა. მშენებლობა სწარმოებდა უგეგმოდ, რის გამო აუარებელი ზედმეტი თანხები დაიხარჯა. ხარჯთაღრიცხვით ახალი შენობების ასაგებად გადადებული იყო 1.300.000 მან.; ჯერჯერობით ყველა შენობები არ არის დამთავრებული და უკვე დახარჯულია 2 მილიონი მანეთი. დაპატიმრებულია სამუშაოების უფროსი ინჟინერი გაუსმანი, მისი თანაშემწე ინჟინერი შენგელიძე, მატერიალური ნაწილის გამგე ნაზაროვი და სხვ. (ადს).

ქუთაის - აბჯესის გადამცემი ხაზი

ქუთაისი, 3 თებერვალი. მუშაობა აბჯეს-ქუთაისის ელექტრო - გადამცემ ხაზზე დამთავრდა. 3 თებერვალს სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ელექტრო - გადამცემ ხაზის გამოცდა (ადს).

საავტომობილო მოძრაობის შეწყვეტა

ქუთაისი, 3 თებერვალი. დიდი თოვლის გამო შეწყვეტილია საავტომობილო მოძრაობა ქუთაის-ონს შუა. შეწყვეტილია აგრეთვე საავტომობილო მოძრაობა ქუთაის-ბაშს შუა. (ადს).

ბარიტის ქარხანა

25 იანვარს დამთავრდა ბარიტის ქარხნის აგების ყოველგვარი სამუშაოები. ამჟამად ქარხნის ამუშავება ელექტროენერგიის უქონლობის გამო, დროებით შეჩერებულია, ხოლო 10 თებერვლიდან აბჯეს-ქუთაისის ელექტროდენის გადმოყვანის დასრულებისთანავე განზრახულია ქარხნის ამუშავება. ქარხანაში იმუშავებს 60 მუშა.

მშრომელი ებრაელები სამუშაოებზე

ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობამ ებრაელთა უბანში ხელოსან ებრაელთათვის გახსნა ფეხსაცმელების კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანდა 30 ებრაელი. ამ დღეებში განზრახულია აგრეთვე ებრაელთათვის მეჩოთქეთა, მკერავთა და ქუდების მოხელეთა კოლექტივების გახსნა.

ხელოვნება

მოზარდ-მაყურებელთა სახ. თეატრი

„კოჩა“—შ. კობელისა

დადგმა რეჟ. თაყაიშვილის და გამრეკელის, მხატ. მ. გოცირიძე

სამ მოქმედებიანი ორიგინალური პიესა „გოჩა“ მეოთხე პრემიერად დაიდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

ამ პიესის შინაარსი ბევრად უფრო ბავშური და რეალურია, ვიდრე „რობინ გუდის“ ან „ალტაელი რობინზონების“. მაგრამ უფროსების უადგილო ჩარევიდან ვერც „გოჩა“ გადარჩენილა და გამეორებულია ყველა ის შეცდომები, რომლებიც თან სდევს სამოქალაქო ომებიდან აღებულ სიუჟეტს.

ქართლის ერთ-ერთ სოფლიდან რამოდენიმე ოჯახის მეთაური წასულია თეთრების წინა აღმდეგ. უპატრონოდ დარჩენილი ბავშები შეუკედლებია სოფლის მასწავლებელს, კომუნისტს. ბავშები დიდების ბაძვით, ისინიც „ომობენ“, როდესაც თეთრების დამარცხებული შტაბი სოფელს შეაფარებს იმავე სოფლის ეკლესიის ნანგრევებში; ბავშები დიდებს დაეხმარებიან მათ დაპატიმრებაში.

ასეთი სიუჟეტის აღების დროს პირველ ადგილზეა ყალბი გმირობა და ბავშებისათვის გაუგებარი სიტყვიერი მასალა დიდებისა. ცხადია, ეს არ ეგუება იმ რეალიზმის გეზს, რომლითაც მიდის საბჭოთა თეატრი. არავისათვის საკამათო აღარაა, რომ საბავშო თეატრი უნდა იყოს ორგანიზატორი ბავშების ყოველ დღიურ საქმიანობისა და აზროვნების.

პიესების ავტორებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება; უარ ჰყონ ძველი ტრაფარეტი და გამოიყენონ ის უმრავი მასალა, რომელსაც იძლევა საბჭოთა სკოლა და სრულიად ახალი ყოფა.

რაც შეეხება „გოჩას“ დადგმას,—თუმცა იმავე სიძლიერით არის გადმოცემული, როგორც წინა პიესები, მაგრამ რეჟისორული „მოგონება“ მაინც ემჩნევა, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში.

ვაჟების ასეთი ტიპი, პროვინციალური კილო გმირების და [illegible] და თავისი მხატვრული ღირსებითაც [illegible] საბჭოთა კულტურისათვის.

მსახიობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ ბავშის როლებში შემსრულებლები, უმთავრესად კი კუპრაშვილი და თავლიაშვილი.

ბ. ბ.

ინდუსტრ. მეორე სესხის ტირაჟის
ოფიციალური ცხრილი
დაიბეჭდება ხვალ ჩვენს გაზეთში

---

[1] ამხ. ფ. მახარაძეს, როგორც თვითონ გადმოგვცა, მიზნად ჰქონია ამ წერილის შემდეგ დაეწერა აგრარულ საკითხზე, მთელი სერია მუშათა ფართო მასებისათვის გასაგები წერი-
რ. გ.

*) აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები სახლი შედგება 2 განყოფილებიდან: 1) 4 მეტრი სიგრძე თუთის ხის ფოთლის გასაშრობი ოთახი 2) 12 მეტრი სიგრძე ჭიის გამოსაკვები ოთახი. გლეხურ მეურნეობაში 2 კოლოფი თესლისათვის საკმარისია ერთი განყოფილება 12 მეტრის სიგრძით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

სათემო შემარიგებელი სასამართლოები

საქართველოს სახკომსაბჭომ დამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარდგენილი დებულების პროექტი, სათემო შემარიგებელ სასამართლოების შესახებ და დასამტკიცებლად გაუგზავნა იგი საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საცდელად მოაწყოს თითო-თითო ასეთი შემარიგებელი სასამართლოები სენაკის, ქუთაისის და გორის მაზრებში. ექვსი თვის შემდეგ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა უნდა წარადგინოს მოხსენება სახკომსაბჭოში ამ სასამართლოების მუშაობის შედეგების შესახებ.

ზემო სვანეთის გზატკეცილი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჯვარ-მესტიის გზატკეცილის გასაყვანად გამოყოფილ კომისიის მოხსენება. კვლევა-ძიებით სამუშაოებისათვის და გზატკეცილის პროექტის შედგენისათვის დამტკიცებულია კრედიტი 35.000 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შეუდგეს კვლევა-ძიებითი სამუშაოების მოწყობას. კვლევა-ძიებითი მუშაობის განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წინად ჩატარებული მუშაობა. გზატკეცილის პროექტი წარდგენილი უნდა იქნეს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ამა წლის აგვისტოს თვისა. ამასთანავე ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წინადადება მიეცა კრედიტების გახსნისთანავე შეუდგეს გზის გასაყვან მუშაობას 19—60 კილომეტრის მანძილზე. ეს სამუშაოები მოითხოვენ 390.000 მანეთს. 316.000 მანეთი დაიხარჯება მიმდინარე წლის ბიუჯეტის საერთო ასიგნობიდან; 75.000 მანეთის სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნეს საგზაო ბეგარით.

შრომის ბეგარა

ა. კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველომ ჯამი გაუკეთა გასულ საბიუჯეტო წელს სოფლად ჩატარებულ შრომის ბეგარას, რომელიც რესპუბლიკისა და ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად იქნა გამოყენებული. შრომის ბეგარის ღირებულება აზერბეიჯანში შეადგენდა გასული წლის განმავლობაში დაახლოებით 430.000 მანეთს, სომხეთში—200.000 მანეთს და საქართველოში 70.000 მანეთს.

შავი ქვით დატვირთულ გემის დაღუპვა

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის გამგეობამ მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ატლანტის ოკეანეში ჩაიძირა დეკემბრის დამლევს ფოთიდან ამერიკაში გასული იტალიური გემი „კაპოვადო“, რომელიც ჭიათურის შავი ქვით იყო დატვირთული. გემს ამერიკაში მიჰქონდა 6383 ტონა შავი ქვა. შავი ქვის მთელი რაოდენობა ტრესტს დაზღვეული ჰქონდა.

მწერალ-ქალის განდეგილის დაკრძალვა

კვირას, 3 თებერვალს, მიწას მიაბარეს განსვენებულ მწერალი ქალის განდეგილის ნეშტი. ნაშუადღევის 1-ლ საათზე დიდძალი ხალხის თანდასწრებით განსვენებულის კუბო გამოასვენეს ხელოვნების სასახლიდან.

ხელოვნების სასახლეში სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა-ქალმა ან. ერისთავ-ხოშტარიამ, რომელმაც დაახასიათა განსვენებულის ღვაწლი და დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე.

ხელოვნების სასახლიდან სამგლოვიარო პროცესია გაემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ. ელბაქიძის დაღმართზე პროცესია შეჩერდა განსვენებულის ბინასთან და შემდეგ კუბო წაასვენეს დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ნაშუადღევის 4 საათზე განდეგილის ნეშტი მიაბარეს მიწას.

თბილისის აღმასკომში

◆ **სავალდებულო დაზღვევა.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით თბილისის მაზრის სოფლებში შემოღებულ უნდა იქნეს სავალდებულო დაზღვევა.

◆ **სასტუმროების გადაცემა.** სასტუმრო „ირანი“-სა და „ბაქოს“ შენობები გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტს ქიმიური ლაბორატორიის შენობიდან მდგმურების გადასასახლებლად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **სანიტდახმარების პუნქტები.** ჯანმრთელობის კომისარიატის წინადადებით სამთო მრეწველობის რაიონებში მოწყობილ უნდა იქნეს 1-ლი დახმარების სანიტარული პუნქტები.

◆ **ექიმთა კონგრესის შრომები.** გადაწყვეტილია ცალკე კრებულად გამოიცეს საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესის შრომები.

მიწადმოქმედების კომისარიატში

◆ **მუშა-საქონლის შეძენა.** მესაქონლეობის განყოფილებას დაევალა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მუშა-საქონლით უზრუნველყოფის გეგმის შედგენა.

◆ **მებაღეობა-მებოსტნეობის კურსებზე.** გაიგზავნა თითო აგრონომი—თბილისის, გორის, ქუთაისის, ახალციხის და ზუგდიდის მაზრებიდან.

სხვადასხვა

◆ **„საგზაო საქმე ამერიკაში“.** 6 თებერვალს, საღ. 7 საათ. პროფსაბჭოსთან არსებულ ინჟინერთა კლუბში შესდგება ინჟ. ა. ჯორჯაძის მოხსენება „საგზაო საქმე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში“.

◆ **ბალახების თესლის შემოტანა.** „ზაკსელმაშის“ სახელზე საზღვარგარეთიდან მიღებულია იონჯის თესლი—5 ტონა, კოინდარის—5 ტონა, სამყურასი—1 ტონა, ესპარცეტის—5 ტონა და წითელი სამყურა ბალახის—3 ტონა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ზუგდიდიდან—პოხონელიძეს, ვლადივოსტოკიდან—ძნოვს, ხულოდან—კობიძეს, ცხინვალიდან—მაჩაბელს, ხარაგაულიდან—დევდარიანს, რიონიდან—ჩიქოვანს, ბათომიდან—კანევსკის და სხვ.

შემთხვევები

მკვლელობა

კვირას, 3 თებერვალს, თავის ბინაზე (ტროცკის ქ. № 2) იპოვნეს მოკლული კაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, მორიგე გამომძიებელი **რ. ქორჩილავა** და სასამართლოს ექიმი.

გვამი პირდაღმა მოთავსებული იყო ლოგინზე. იატაკზე ეგდო სისხლში გასვრილი დანა. მოკლულის ტანსაცმელზე ბლომად იყო სისხლის წვეთები.

მოკლული აღმოჩნდა ზაქრო ავაქის ძე ფირუმოვი (მეტ სახელად „ალეი-ბუდიშ“).

მოკლულს აქვს რამოდენიმე ჭრილობა დანით—თავზე, სახეზე და მუცელში.

თუ რა პირობებში მოხდა მკვლელობა, ეს ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მხოლოდ წინასწარი გამოძიება ცხადჰყოფს, რომ მკვლელობა მომხდარა შაბათს, 2 თებერვალს, ღამით.

ფიქრობენ, რომ მკვლელობა ჩადენილია შურისძიების ნიადაგზე.

დღეს ექიმ-ექსპერტები მოახდენენ გვამის განკვეთას. გამოძიება გრძელდება.

მგლები მცხეთაში

თბილისში მიღებული ცნობებით, გუშინწინ ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე, მცხეთიდან ნახევარი ვერსის დაშორებით გამოჩნდა მგლების ხროვა. მგლების მოახლოვება შეამჩნია თბილისში მიმავალმა მილიციელმა, რომელმაც მგლები თოფის სროლით მოიგერია.

მგლების ხროვა თავს დაესხა აგრეთვე გლეხს ი. მაისურაძეს, მაგრამ მან თავი გადაირჩინა ხეზე ასვლით.

ხანძარი

კვირას, 3 თებერვალს, ახალ ბაზარში ცეცხლი გაუჩნდა ორ დუქანს. საჩქაროდ გამოწვეულმა სახანძრო რაზმმა ცეცხლი ჩააქრო 20 წუთში. ხანძრის გაჩენის მიზეზი ირკვევა.

თავის ჩამოღრჩობა

გუშინწინ, თოკით თავი ჩამოიღრჩო **მარგარიტა არაქელას ასულმა ბაბაჯანოვმა** (მცხ. ავლაბრის ქ. № 36). დატოვებულ ბარათში ის სწერს, რომ თავს იღრჩობს 10 წლის ქალიშვილის გარდაცვალების გამო.

წამლის მაგიერ—საწამლავი

3 თებერვალს, **კეკე ნალებაშვილმა** (მცხ. ახალციხის შესახ. № 13) შეცდომით წამლის მაგიერ დალია შაბიამანის ხსნარი. ნალებაშვილი გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

გუშინ, დღისით, ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა **შალვა სოლომონის ძე თხილაძემ** (ზუბალოვის შესახ. № 58), თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება. თხილაძე სიკვდილს გადაარჩინეს.

ორი კაცის დაჭრა

მეოთხე სამილიციო უბანში გამვლელებმა აღმოაჩინეს ვიღაც ბოროტმოქმედთა მიერ დანით მძიმედ დაჭრილი—**რუბენ სუკატიანცი** (მცხ. კომუნალური ქ. № 32) და **აიკა არუთინოვი** (უბინო). დაჭრილებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ტრამვაიზე ქურდობის „სპეცი“

თბილისის ერთი ხანია ესტუმრა ტრამვაიზე ქურდობის „სპეციალისტი“ ჯიბგირი—გურგენ ვართანის ძე ოსიპიანცი. ოსიპიანცი დააპატიმრეს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა.

რეციდივისტები

მილიციამ დააპატიმრა ქურდი—რეციდივისტები: ვართან მიკირტიჩის ძე გრიგორიანცი და ბენია აბრამის ძე ონანოვი, რომლებიც თბილისში ეწეოდენ ბინებისა და მაღაზიების სისტემატიურ გაქურდვას.

სასამართლო

დაზღვეული ძროხა და ფირან ბედუკაძე

ფირან ანდრიას ძე ბედუკაძე და მისი დაზღვეული ძროხის ბედი ისე დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან დაშორება.

მკითხველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ფირან ბედუკაძე ანანაურის (დუშეთის მაზრა) თემაღმასკომის თავმჯდომარე იყო იმ დროს, როცა მისი ძროხა ყოველგვარი ხიფათისაგან დაზღვია სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივმა საგენტომ.

ბედუკაძის ძროხა, ისევე როგორც თვით ბედუკაძე, იმ ხანებში მშვენივრად გრძნობდა თავს. იყო ჯანსაღი, იშვიათად მსუქანი და არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა იმისი, რომ დღე დღელეოდა ახლო მომავალში.

თემაღმასკომის თავმჯდომარის ბეჭედს ბევრი რამ შეუძლია. ბედუკაძემ თავის ბეჭედი გადმოაბრუნა და დაარტყა ქაღალდს, რომელზედაც ტრაგიკულად იყო აღწერილი მისი ძროხის ბედი.

...ძროხა „დაიმტვრა“. მოსტყდა ფეხი, რქა, ჩაელეწა გვერდები. დაავადმყოფდა. დაჩიავდა ისე, რომ ბედუკაძემ ხორცადაც ვერ გამოიყენა ის.

ასე ღაღადებდა ქაღალდი, რომელსაც ამშვენებდა თემაღმასკომის თავმჯდომარის ბეჭედი.

სახელმწიფო დაზღვევის საგენტოს რა უფლება ჰქონდა არ დაეჯერებია ოფიციალურ ოქმისათვის. ბედუკაძეს უსიტყვოდ მიართვეს დაზღვეულ ძროხის საფასური.

ბედუკაძის ძროხა კი ამ დროს კუნტრუშით მიჰყვებოდა ვაჭარ ლაზიევს, რომელიც ხარბი თვალით უყურებდა მსუქან საქონელს და წინდაწინ ითვლიდა, თუ რამდენი მოგება დარჩებოდა ამ ძროხის ხორცის გასაღების შემდეგ.

ძროხა დაიკლა, გაიყიდა. ბედუკაძემ ორმაგი ფასი გაინაღდა. ყველაფერი თითქოს ჩუმად და მალულად ჩატარდა.

მაგრამ მითქმა-მოთქმა და „ჭორები“ დაბეჯითებით ვრცელდებოდა ანანაურში. სათანადო ორგანოებმა მიაქციეს ყურადღება ამ მითქმა-მოთქმას.

დაიწყო გამოძიება. დადასტურდა ბედუკაძის ყალთაბანდობა, რისთვისაც იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

ფირან ბედუკაძეს **მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.**

გაუმაძღარი მევახშე

მოქ. ალბერტა იოსების ასული მალინოვსკაია ცნობილია სასამართლო ორგანოებისათვის, რადგან არა ერთხელ ყოფილა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მევახშეობისათვის.

მალინოვსკაია ცხოვრობს მევახშეობით, მალინოვსკაია არ კადრულობს ჯაფას და გარჯას, რომ მის „მანიკიურს“ ფერი არ წაუვიდეს. იცვამს უკანასკნელ „მოდაზე“.

ფული უხვად აქვს, რადგან ზღაპრულ პროცენტებში ასესხებს ფულებს, ტყავს აძრობს განსაცდელში და გაჭირვებაში ჩავარდნილ მოქალაქეებს.

ავიღოთ მაგალითი.

1925 წელს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოქ. იოსებ წერეთელს 225 მანეთი „მიაშველა“ მალინოვსკაიამ: ფულის გარანტიის სახით მალინოვსკაიამ თან წაიღო წერეთელის პიანინო, ხოლო ყოველთვიურად იღებდა 25 მანეთს სარგებელს.

მალინოვსკაიამ იცის, რომ გირაოს აღება და საერთოდ მევახშეობა კანონით აკრძალულია.. მან შეცდომაში შეჰყავს მოქ. წერეთელი თავისი „პატიოსანი“ სიტყვით და ართმევს მას ყოველ შემთხვევისათვის ქაღალდს იმის შესახებ, თითქოს ეს პიანინო მან იყიდა.

— რასაკვირველია, ეს შინაურული ხელწერილია. თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ფულის გასტუმრებისთანავე პიანინოს უკანვე მიიღებთ,—ასე ჩაიჭირა ხელში გაუმაძღარმა მევახშემ მოქალაქე წერეთელი.

წერეთელმა იხადა პროცენტები მთელი 2 წლის განმავლობაში. 225 მანეთში სარგებლის სახით მალინოვსკაიამ მიიღო 800 მანეთი. ეს კიდევ არაფერი.

მოქ. წერეთელმა როგორც იქნა შეაგროვა ფული, მიუტანა მალინოვსკაიას და სთხოვა პიანინოს უკანვე დაბრუნება.

— რისი პიანინო! ეს ხომ ნაყიდი მაქვს თქვენგან! აი თქვენი ხელწერილი,—უპასუხებს მალინოვსკაია.

ასე უნდოდა მალინოვსკაიას პიანინოს ხელში ჩაგდება, მაგრამ საქმეს მიეცა კანონიერი მსვლელობა. მოწმეებმა სასამართლოში დაადასტურეს მალინოვსკაიას აფერისტული ხრიკი.

გაუმაძღარ მევახშეს თბილისის 1-ლ უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით. პიანინო დაუბრუნდა მოქ. წერეთელს.

გერ.

ფიზკულტურა და სპორტი

თბილისის ფიზკულტუროსანთა საააგიტაციო-საესტაფეტო რბენა

კვირას, ნაშუადღევის პირველ საათზე, გაიმართა თბილისის ფიზკულტუროსანთა საააგიტაციო-საესტაფეტო რბენა. რბენაში მონაწილეობა მიიღეს—სახელმწიფო უნივერსიტეტის, გემო-კვების მუშაკთა კავშირის, განათლების მუშაკთა კავშირის, რკინის გზელების, მელითონეების და სხვა პროფკავშირებთან არსებულ ფიზკულტურის წრეებმა.

გემოკვების მუშათა კავშირის რაზმი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა რბენაში

გადარბენაში მონაწილეობის მისაღებათ სულ გამოყოფილი იყო 410 კაცი. გადარბენა დაიწყო თავისუფლების მოედნიდან. რბენის მარშრუტად დანიშნული იყო: თავისუფლების მოედანი—რუსთაველის პროსპექტი—ელბაქიძის დაღმართი—გორკის ქუჩა—პლეხანოვის პროსპექტი—კარლ მარქსის მოედანი—შუა ბაზარი—პუშკინის ქუჩა—თავისუფლების მოედანი. რბენის მანძილი დაყოფილი იქნა 10 უბნად. თითოეულ საუბნო პუნქტზე დაყენებული იყვნენ ცალკე პროფკავშირებისა და ორგანიზაციების ფიზკულტუროსნები, რომლებიც მიიღებდენ თუ არა შესაფერ ნიშანს თავის ჯგუფის წარმომადგენელისაგან, რბენით მიეშურებოდნენ შემდეგი პუნქტისაკენ.

სტარტიდან პირველად გამოვიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტუროსნები, მაგრამ გზაში მათ გაასწრო გემო-კვების კავშირის ფიზკულტუროსნებმა, რომლებმაც პირველობა ბოლომდე შეინარჩუნეს.

თავისუფლების მოედანზე (ფინიშთან) პირველად მოვიდნენ გემო-კვების მუშაკთა კავშირის ფიზკულტუროსნები, მეორეთ—მელითონეები და შემდეგ სხვები.

გადარბენის მონაწილეებს თან მიჰქონდათ საგიტაციო პლაკატები არჩევნების შესახებ.

რბენის მონაწილეებს მიჰყვებოდა სანიტარული დახმარების ავტომობილი. რბენის განმავლობაში, მიუხედავათ ცუდი ამინდისა ადგილი არ ჰქონია მონაწილეთა დაშავებას და სხვა უბედურ შემთხვევებს.

მოტო-გადარბენა

თბილისი—სიღნაღი—თელავი

გადარბენის მონაწილეთა გამგზავრება

3 თებერვალს, დილის 11 საათისათვის გადარბენის ყველა მონაწილეებმა თავისი მანქანებით თავი მოიყარეს თავისუფლების მოედანზე.

მანქანების გასვლის წინ ტრიბუნასთან შეიკრიბა დიდძალი ხალხი, ტეხნიკურმა კომისიამ დაამთავრა მანქანების შემოწმება და მიტინგიც გახსნა.

გადარბენის მონაწილენი სტარტის წინ.

ტრიბუნაზე გამოდის ამხ. ვანო ბოლქვაძე, რომლის გამოჩენასაც მიტინგი მქუხარე ტაშით ხვდება.

— ამ გადარბენის მიზანი,—ამბობს ამხ. ბოლქვაძე,—მდგომარეობს ერთის მხრივ საგზაო აღმშენებლობისა და ავტომობილიზმის იდეების პროპაგანდაში და მეორეს მხრივ—ხელის შეწყობაში მიმდინარე საბჭოთა არჩევნებისათვის იმ ქალაქებში და სოფლებში, საიდაც გადარბენის მონაწილენი გაივლიან.

ამხ. ვ. ბოლქვაძის სიტყვის შემდეგ ამხ. აზარნიო გადარბენის მონაწილეებს აცნობს გადარბენის წესებს და მარშრუტს.

დილის 11 ნახევარ საათზე გადარბენის კომანდორი ამხ. აზარნიო იძლევა განკარგულებას მანქანების გასვლის შესახებ. აგუგუნდენ მანქანები და დაიძრა კომანდორის ავტომობილი, რომელიც რამდენიმე წუთით უფრო ადრე გავიდა, ვიდრე გადარბენაში მონაწილე სხვა მანქანები.

გადარბენაში მონაწილენი დაიყვნენ ორ ჯგუფად. 1-ლი ჯგუფი ათი მოტოციკლეტის შემადგენლობით გაჰყვა კომანდორის ავტომობილს, ხოლო 5 წუთის შემდეგ დაიძრა მეორე ჯგუფიც.

მოტოციკლეტების გასვლის შემდეგ გავიდენ საბარგო ავტომობილები და სანიტარული ავტომობილი, რომელიც საჭიროების დროს საექიმო დახმარებას აღმოუჩენს გადარბენის მონაწილეთ.

გუშინ, ჩვენმა რედაქციამ მოტო-გადარბენის კომანდორის ამხ. აზარნიოსაგან მიიღო შემდეგი დეპეშები:

გომბორი, 3 თებერვალი. სალამოს 5 საათზე უკვე გომბორში ვიყავით. გზაში ჩავატარეთ ოთხი მიტინგი. ხალხი ყველგან აღფრთოვანებით გვხვდებოდა. გადარბენის მონაწილენი კარგად არიან.

აზარნიო.

გომბორი, 4 თებერვალი. გომბორში მოეწყო დიდი მიტინგი, რომელზედაც გაკეთებულ იქნა ვრცელი მოხსენება მიმდინარე არჩევნებისა და „ავტოდორის“ მნიშვნელობის შესახებ. ავიღეთ შეფობა სოფ. გომბორზე.

დღეს, დილის 7 საათზე გავალთ თელავისაკენ. სალამოს სიღნაღში მივალთ. თოვლი დიდია.

აზარნიო.

თელავი, 4 თებერვალი. შუადღის 12 საათსა და 20 წუთზე გადარბენის მონაწილენი ჩამოვედით თელავში, სადაც ჩავატარეთ დიდი მიტინგი.

გომბორის უღელტეხილის გადალახვა მეტად გაგვიძნელდა. 2 საათსა და 30 წუთზე გავალთ სიღნაღისაკენ, სადაც ჩავალთ სალამოსათვის. გზაში შეგვხვდება დიდი დაბრკოლებები, ვინაიდან გამუდმებით სთოვს და მოსალოდნელია გაუკვალავმა გზამ ხელი შეუშალოს მანქანების სისწრაფის განვითარებას.

გადარბენის მონაწილენი კარგათ გრძნობენ თავს.

აზარნიო.

თბილისი—დუშეთი—ფასანაური

თბილისის მოტო-ველო საზოგადოებას „ავტო-გზას“ სექცია ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით მართავს მეორე საგიტაციო მოტო-გადარბენას. გადარბენა დაიწყება დღეს დილით, თავისუფლების მოედნიდან. გადარბენის მარშრუტი შემდეგია: თბილისი—დუშეთი—ფასანაური—თბილისი.

გადარბენის მონაწილენი გზადაგზა გამართავენ მიტინგებს საბჭოთა არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით. გადარბენის მონაწილეთ გაჰყვებიან თბილისისა და მისი მაზრის საარჩევნო კომისიის რწმუნებულები, რომლებიც დარჩებიან სოფლებში არჩევნების ჩასატარებლად. გადარბენასთან ერთად ცალკე ავტომობილით წაიღებენ მოძრავ კინოს, რადიო აპარატურას, პლაკატებს და ლიტერატურას. იმ სოფლებში, სადაც გადარბენის მონაწილეებს მოუხდებათ ღამის გათევა, ნაჩვენები იქნება საარჩევნო კამპანიის შესატყვისი სურათები, სოფლებში მოეწყობა აგრეთვე „ავტო-გზას“ უჯრედები.

გადარბენის მონაწილეთ რადიოს საშუალებით მუდმივი კავშირი ექნებათ თბილისის რადიოს მეგობართა საზოგადოებასთან; ყოველ სალამოობით საღ. 8 საათზე თბილისის რადიო სადგური გამოიწვევს გადარბენის მონაწილეთ და გადასცემს მათ სხვადასხვა ცნობებს.

გადარბენას გაჰყვება სახ. კინომრეწველობის ოპერატორი გიგელაშვილი, რომელიც გადაიღებს კინო-ქრონიკას.

გადარბენაში მონაწილეობას იღებს 12 მოტოციკლეტი. კომანდორად დანიშნულია ამხ. ჯაიანი.

დღეს, დილის 11 საათისათვის გადარბენის მონაწილენი შეიკრიბებიან თავისუფლების მოედანზე, სადაც გაიმართება მიტინგი.

ამინდი საქართველოში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, 4 თებერვალს, დილის 7 საათისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში ასეთი ამინდი იყო:

სოხუმში. სითბო 3 გრადუსი, ჩრდილოეთის სუსტი ქარი. ქარის ამოვარდნამდე წვიმდა.

ფოთში. ჰქროდა სუსტი ქარი. კვირას მთელი დღე წვიმდა. სითბო 4 გრადუსი.

ბათომში. მოღრუბლული, სუსტი წვიმა. სითბო 4 გრადუსამდე, 4 თებერვალს დილისათვის წვიმამ გადაიღო.

სამტრედია. მოღრუბლული. სითბო 3 გრადუსი.

ბორჯომი. ღრუბლიანი დღე. სიცივე 7 გრადუსამდე.

ლიბანში. 5 გრადუსი ყინვა.

გორი. აღმოსავლეთის სუსტი ქარი. მოღრუბლული. სიცივე 2 გრადუსი.

გუდაური. ჩრდილოეთის ქარი. სიცივე 5 გრადუსი. თოვდა.

თბილისი. ჰქროდა სამხრეთ-დასავლეთის სუსტი ქარი. სიცივე 2 გრადუსი. ცა მოღრუბლული. 4 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათისათვის სიცივემ დაიკლო 1 გრადუსამდე. ქარიც შესუსტდა.

ამინდი რუსეთში

გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ რადიოთი მიღებული ცნობებით, 4 თებერვალს, დილის 7 საათისათვის ლენინგრადში სიცივე აღწევდა 15 გრადუსს. ჰქროდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სუსტი ქარი. კვირას თოვდა.

მოსკოვში სიცივე უდრიდა 11 გრადუსს. კვირას თოვდა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვალოდია ქათამაძეს (კავშ. წიგნ. № 22926)

კითხვა:

1922 წ. გარდაიცვალა დედა ჩემი. მამამ შეირთო მეორე ცოლი რომელთანაც შეეძინა ორი შვილი. 1925 წ. მეც შევირთე ქალი და მყავს ერთი შვილი. ოჯახური მდგომარეობა გამწვავდა. დედინაცვალმა და მამამ მოგვინდომეს ოჯახიდან გაგდება და მთელი ქონების მითვისება. მამა ჩემს აქვს სოფელში ერთი ოთხოთვალიანი სახლი, ერთი სასიმინდე, ერთი ძროხა, ორი ხარი, 5 ქცევა საყანე და 3 ქცევა ტყე. 1926 წლის დამლევს მე გამიწვიეს ჯარში, საიდანაც დავბრუნდი 2 წლის სამსახურის შემდეგ და განვაგრძე ოჯახში ცხოვრება. მაგრამ მათთან ცხოვრება შეუძლებელი გახდა და მე მოვითხოვე ჩემი კუთვნილი წილი. ამაზე მამამ უარი მითხრა. მაშინ მივმართე სასამართლოს, მაგრამ იმანაც უარი მითხრა ქონების გამოყოფაზე.

კანონიერია თუ არა სასამართლოს და მამ ჩემის მოქმედება?

პასუხი:

თანახმად მიწ. კოდ. მე-48 მუხ., კომლის მიწების გაყოფა-განაწილება კომლის შემადგენელ ოჯახთა შორის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ განაყოფს შეუძლია (ცალკე მეურნეობის საწარმოებლად საკმაო მიწა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ ნახევარი კანონიერი ნორმისა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყოფა მხოლოდ კომლის საერთო ქონება. თუ თქვენ სთვლით, რომ კანონს ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სწორი და იგი უკვე ძალაშია შესული, შეგიძლიათ მიმართოთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოს შუამდგომლობით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იქნეს გადასინჯული ზედამხედველობის წესით.

რკინისგზელ მაქს. [illegible]

კითხვა:

3 წელიწადია, რაც [illegible] ჩემთან არ ცხოვრობს, [illegible] ძენილი ქონება მას წაღებული აქვს, თვითონ ღებულობს პენსიას. ახლა სასამართლოს წესით მთხოვს წილს იმ სახლისას, რომელიც ავაშენე მისი წასვლის შემდეგ და რომლის აშენებაში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ვარ რკინისგზელი და ოჯახი შესდგება ხუთი სულისაგან.

ერგება თუ არა ჩემს [illegible] რძალს წილი ჩემი სახლიდან ან ქონებიდან?

პასუხი:

თუ თქვენი რძალი, როგორც შეკითხვაში განმარტეთ, გამოყოფილი იყო თქვენგან და ამის შემდეგ თქვენ ააშენეთ საკუთარი სახლი, მაშინ ამ სახლიდან თქვენ რძალს წილი არ ეკუთვნის, მაგრამ თქვენ მაინც უნდა დაუცადოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, და თუ ასეთი არ დაგაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ გაასაჩივროთ იგი სათანადო წესით.

პლატონ გესელიას

კითხვა:

ვარ ღარიბი გლეხი, წვრილ (კოლშვილის პატრონი; მაქვს დაშავებული მკლავი გერმანიის ფრონტზე 1915 წელში, და მუშაობა არ შემიძლია. შემიძლია თუ არა დახმარების მიღება, ან სად და ვის უნდა მივმართო თხოვნით?

პასუხი:

სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება, როგორც ომის ინვალიდს, თანახმად ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წ. 30 სექტემბრის დადგენილებისა (კან. კრ. 1927 წ. № 9, მ. 133), გაქვთ ამისათვის უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

6 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის (რუსთ. პროსპ. № 21) აგიტპროპმუშაობის კაბინეტში შესდგება ჯგუფობრივი კონსულტაცია ქართულ ენაზე—როგორ უნდა სწარმოებდეს მხატვრული ლიტერატურის კითხვა. კონსულტანტი ამხ. სულავა.

მეცადინეობაზე მოწვეული არიან კაბინეტთან არსებულ ბიბლიოთეკის ყველა მკითხველები. დასწრება შეუძლიათ აგრეთვე ყველა მსურველ პარტიულებს და კომკავშირელებს.

—:—

ამხ. კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში შესვლის მსურველთა საყურადღებოთ, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება დამატებით აცხადებს, რომ აკადემიაში შესვლის შესახებ განცხადებების მიღება გაგრძელებულია ა. წ. 8 თებერვლამდე.

იმ ამხანაგებმა, რომელთაც სურთ შევიდენ კომუნისტური აღზრდის აკადემიაში, განცხადება და მასთან დართული სათანადო დოკუმენტები უნდა შემოიტანონ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდის ქვე-განყოფილებაში.

—:—

დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შენობაში მოწვეულია მე-3 და მე-4 კურსის, (მე-6 უჯრედის) წევრთა საერთო კრება, უჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, სალამოს 5 საათზე უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში შესდგება „მსუბუქი კავალერიის“ საერთო კრება.

„კავალერიის“ წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

სამშაბათს, 5 თებერვალს, სალამოს სრულ 5 საათზე რკინის გზის მე-8 შრომის სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 136) მოწვეულია განათლების მუშაკთა კავშირთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის სხდომა, რომელზედაც დაუგვიანებლივ უნდა გამოცხადდნენ: ამხ. ნოვიკოვი, მარიამ აბაშიძე, სუპრუნი, მარდალეიშვილი, ჩახმახოვი, მელიქ-სტეპანიანი, ბენიამინე გოგუა, კობიძე, ძინძიბაძე, ჩირაძე, ხარისაშვილი, დეკანოზიშვილი, ძნელაძე, წვერავა, ღლონტი, კიკნაძე, გორდაძე, ასათიანი და მექვაბიშვილი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ოდონტოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული კომკავშირის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ 5 თებერვლიდან 8 თებერვლამდე, ბიურო-კოლექტივის ოთახში, ამხ. ჯიქიასთან იწარმოებს კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა ხელახალი აღრიცხვა.

აღრიცხვა იწარმოებს დილის 10—12 საათამდე, აღრიცხვაში გასატარებელმა ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ რაიკომიდან მიცემული ტალონები.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის 1-ლ და მე-2 კურსთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება შესდგება დღეს, სალამოს სრულ 6 საათზე.

უჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

ოთხშაბათს, 6 თებერვალს სალამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში, ამხ. ლ. სუხიშვილის კაბინეტში შესდგება **სამეცნიერო მუშაკთა სექციის წევრ-კომუნისტების თათბირი.**

სამეცნიერო მუშაკთა სექციის იმ წევრ-კომუნისტებისა და კანდიდატების დასწრება, რომლებიც თბილისში იმყოფებიან, სავალდებულოა.

დამწუხრებულნი შვილები: გორგასლანი, ალბერტი რაზმაძეები, ქალიშვილი თამარა, სიძე მილტიადი კეფალიდი; შვილიშვილი—ლულუკა აუწყებენ საზოგადოებას, რომ 1-ლ თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და უძვირფასესი დედა

ანეტა იოსების ასული ბარამიძე

პანაშვიდი სალამოს 5 საათზე. ტროცკის ქ. № 1. 336

დამწუხრებული მეუღლე ფატმან, რძალი მარო, შვილები პროკოფი, იონა, მიშა და შვილიშვილი დათიკო აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელი

დავით ივანეს-ძე ჩხიკვიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 2 საათზე სოფ. საჭილაოში.
ნ 2222

რუსთაველის თეატრი
1—1 ნ. 2223

სამშაბათს, 5 თებერვალს ხოზიკას.
„ხოჭოების დოლი“ კომ. 3 მოქ.
დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი **უძლეველნი**
აპოლო	მე-2 კვირა **სანაძლეო ქორწინება** კარმენ ბონის მონაწილეობით
არფასტო	წარმატების გამო მე-2 კვირა **ქარიშხალის პანოხები** ნინა ლის მონაწილეობ.
სოლეი	გრძელდება საუკეთესო კომედია **ნამდვილი ჯენტლმენი** მონტი ბენქსის მონაწილეობით
მინიონი	
პალასი	ჰაროლდ ლოიდი მხატვრულ სურათში **მეშვიდე ცაზე**
დარბაზი	საუკეთესო კომედია აღმოსავლეთის ცხოვრებიდან **ბილიანის ასული**
პროლეტარი ავლაბარი	ისტორიული სურათი **ჯანყი** მე-2 სერია

0—4

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64
3—1 ნ. 2221

დღეს
სანახაობა ახალი პროგრამით
ახალი გასტროლები
ვარენი, ადელინა და ჟანი, ჰასანბეგი, კარო, დოროსი და სხვები
აგრეთვე ჰიპნოტიზიორის
ორნალდოს გამოსვლა
(მასიური ჰიპნოზი)
ორნალდოს გამოსვლები გაგრძელებულია რამდენიმე დღით
დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. წაიკითხეთ აფიშები

ს.მ.უ.ს. სამთო ტრესტი
(პუშკინის ქ. № 3, ელსმენი № 12—76)
ყიდის თავის საწყობიდან
სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებზე და კერძო პირებზე
შენობების გასათბობად
— ტყიბულის მსხვილ —
ქვანახშირს
2—2 ნ. 2217

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25-22

მალე
არფასტო კინო-თეატრებში **აპოლო**

გრანდიოზული ფილმი
ყინულთა სამეფოში
(„კრასინის“ და „მალიგინის“)
გმირული გალაშქრება

მხატვრული სურათი
ჯიმი ხიგინს
ე. სინკლერის რომანის მიხედვით

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს. ნ. 2225

მუშკოოპი
ა. წ. 1 თებერვლიდან შეუდგა
ავეჯის კრედიტის გაცემას
პაის პატრონთათვის
ავეჯის გაცემა სწარმოებს სპეციალური მაღაზიიდან, რომელიც მდებარეობს პლეხანოვის პროსპექტზე (ყოფ. საქართველოს სატყეო ტრესტის მაღაზია).
კრედიტის ვადა—10 თვეა.
კრედიტის გაცემის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება მაღაზიის გამგესთან.
3—2 ნ. 2218

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი
(რუსთაველის თეატრის შენობა, შესავალი ეზოდან) რუსთაველის პროსპექტი № 21, ტელ. № 4—70
დღეს, 5 თებერვალს სალამოს 6 საათზე
დაიწყება მეცადინეობა
ქალ. თბილისის სამრეწველო წამოწყებათა ხელმძღვანელი შემადგენლობის გადასამზადებელ კურსებზე
მოწვეულია ყველა, ვინც ჩაეწერა
ჩაწერა გრძელდება.
კურსი სამთვიანია. სწავლა უსასყიდლოდ.
ნ. 2224. გამგეობა.

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
214 2—2

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. სალამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 8 თებერვალს 1929 წ. დღის 3 საათზე სახლში № 3 აღმასკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტელ „ახალი გზა“-ს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს და საკონდიტროს მოწყობილობას შეფასებულს 105 მანეთად, მარიამ ნანეიშვილის და ნ. ილაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 დეკემბერს და 2 იანვარს 1928/9 წ. თარიღით, № 6323—1 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 343

ქ. თბილისის საბინაო სასამართლოს აღმასრულებელი
ლვალაძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 თებერვალს 1929 წ. დღის 2 საათზე 1-ლი მაისის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბარბალე მელქონის ას. ბალასანიანცის ორსართულიან სახლს, რომელიც შესდგება რვა ოთახისაგან, შეფასებულს 3000 მანეთად, მოქ. ბარბალე ბერიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 9 იანვრის 1928 წ. თარიღით. № 85 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 334

ახალ-სენაკის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. კიზირია

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 9 თებერვალს დილის 10 საათზე სოფ. საჭილაოში—მარნის თემში, პლატფორმის მახლობლად, **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება იმავე თემის აგურ-კრამიტის ქარხანა ინვენტარით და შენობებით: ქურები, ყაზარმები, ატლასის სისტემის ძრავი. კრამიტის მოსაჭრელი დაზგა და 4000 ცალი კრამიტი, შეფასებული ერთად 2380 მან., დასაკმაყოფილებლად იმავე ქარხნის მუშების და სხვ. ვალისა, თაანხმად აღმასრულებელი ფურცლებისა. საჯარო ვაჭრობა მეორეა. 345

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. სალამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
სალამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების დათმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25 | 1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—1

კბილის ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობაა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჩნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25 -11

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.
18—ნ. 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 15 მარტის № 12, ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ფარნმოზ ნიკოლოზის-ძე მაყაშვილმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე კახელიშვილზე.
340

დაკარგა, მე-8 უბნის სამხ. საღრიცხვო წიგნაკი № 66 და გემოკვების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნ. № 2542 ვასილ ხაჟომიას სახელზე, ჩ. გ. 341

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი მიხეილ ტორიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 342

დაკარგა, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 25889 შალიკო ჩილუნაძის სახელზე, ჩ. გ. 344

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული ხესტაფონის სამხედრო მაგიდის მიერ გიორგი გიორგის-ძე ცერცვაძის სახელზე, ჩ. გ. 337

დაკარგა: წითელი არმიელის სამსახურის წიგნაკი ევგენი ილიას-ძე ძამნიაშვილის სახელზე ჩ. გ. 338

დაკარგა: სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 515 მოცემული ყოფ. მე-11 სამილ. უბნიდან - აკაკი დათეშვილის სახელზე, ჩ. გ 339

დაკარგა: დაბადების მოწმობა გაცემული „მმაჩი“-ს მიერ სოფიო არკადის ასული ტერ-საკოვის სახელზე, ჩ. გ. 333

დაკარგა: საპენსიო წიგნაკი, პირადობის მოწმობით, მოცემული ამიერ-კავკასიის რკინის გზის დამხ. ლევ. სალ-როდან ელისაბედ ცხვედიანის სახელზე, ჩ. გ. 330

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 9 გაცემული მე-6 სალიანდაგო უბნის უფროსის მიერ ვერა რუხაძის სახელზე, ჩ. გ.

კოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 48.
მთავლიტი № 904.